



ისტორიული გეგვიდრობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, თებერვალი, 2010 წ. ფასი 3 ლარი

№2
(4)

სა
ქართველ
ეკლესიაში

საქართველოს
ისტორია



მეფე გიორგი მესამე გორგასალი

8 ქართულ
ეკლესიაში
მეფობა

15 იოსებ
გრიგოლიძის
ქველი
თბილისის
შესახებ

19 სხვის
დიდობები
პირიქო
ანჯაფარიძე

24 ფოლ-
ქმრობის
და
ქორწინების
ნება

27 უკანასკნელი
გვირაბი

41 უხმოვი
ეპიგრაფიკის
მეცნიერების
პერიოდის
საქართველოს
ისტორიდან

46 გორგასალის
ჯანსუყი
საქმიანობა
საქართველოში

50 გიულდენ-
შტადტის
მოგზაურობა
საქართველოში

54 ქორ-
ნიკონის
ქანტი და
ლუნი, ანუ
329 და
357 წლების
ქართული
ნარჩენები

თეთრიწყაროს რაიონი.
ქველი ღრანეთის ტაძარი



სარჩევი

■ გეოგრაფიული მდებარეობა ნეკრის მდინარე და მდინარეების სისტემა	4
■ დიპლომატიის ისტორიიდან ქართულ გეოგრაფიაში	8
■ ქართული გეოგრაფიის ლენინი და ანდროპოვი	12
■ კვლევის მეთოდების ისტორიიდან იოსებ ბერიძის: საქართველოს გეოგრაფია	15
■ სტატისტიკის მეთოდები ვერიძის ანგარიშები	19
■ რეგისტრაცია ივანე ჯავახიშვილი: სოციალური და ქორეოგრაფიის ნახევარი საქართველოში	24
■ რეგისტრაცია უკანასკნელი გეოგრაფიის საქართველოდან	27
■ ეროვნულ-გეოგრაფიის შესახებ ქორეოგრაფია II: „ივანე ჯავახიშვილის გეოგრაფიის ისტორიაში“	29
■ მართალი ისტორია გეოგრაფიაში რ.ი. კოსტავაძე: სტალინი და ლენინი	34
■ მართალი ისტორია გეოგრაფიაში „გეოგრაფია და სტალინი“	40
■ ისტორიის გაკვეთილები უკანასკნელი გეოგრაფიის ივანე ჯავახიშვილის პერიოდის საქართველოს ისტორიიდან	41
■ ეს უნდა გიცოდეთ გეოგრაფიის სექტორის ქართული სექციის საქმიანობა საქართველოში	46
■ უცხო ტყვეობა გეოგრაფიის მეთოდები საქართველოში	50
■ გეოგრაფიის მეთოდების შესახებ ქორეოგრაფიის კვლევა და ლენინი, ანუ 329 და 357 წლების უკანასკნელი ქართული ნახევარი	54

გამომცემელი: არასამეცნიერო იურიდიული პირი „ისტორიული გეოგრაფია“
მთავარი რედაქტორი თეიმურაზ ქორეოგრაფია
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97

ნეილა მეფა ვახტანგ გორგასალი

ქართველებს ოდითგანვე არაერთი მტერი ჰყოლია. ჩვენი ქვეყანა წარმტაცი ბუნებითა და სიმდიდრით ხიბლავდა უცხო ტომთა შვილებს და ისინიც მადააღძურლნი მოისწრაფოდნენ მის დასაპყრობად და ქართველთა დასამორჩილებლად. მაგრამ უტეხი ხასიათი, მაღალი ზნეობა, ერთმანეთის სიყვარული და გატანის სურვილი მუდამ შველოდა ერს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა მხოლოდ ხალხის თავდადება ვერას უშველიდა, ქვეყნის სათავეში გონიერი, ძლიერი და უშიშარი ხელმწიფეები რომ არ ყოფილიყვნენ. ისინი იკრებდნენ ერს და სწორი გზით წარმართავდნენ მის გამბედაობასა და თავდადებას. ბრძოლის ველზე უტეხი მეომრები, ქართველი მეფეები, მშვიდობიანობის დროს ციხე-კოშკებს, ქალაქებსა და ტაძრებს აგებდნენ, მშვიდობასა და ერის კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ. ამიტომაც მათ მთელი ერის სიყვარული დაიმსახურეს და გმირებად შეირაცხნენ.



ვახტანგ გორგასლის ფრესკა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში

ერთი ასეთი მეფე იყო ვახტანგ გორგასალი. იგი V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა ქართლში. ამ დროს ჩვენი ქვეყნის დაპყრობას სპარსეთი ლაშობდა. ვერაგი მტერი ძლიერ ავიწროებდა ერს, ცდილობდა მის გათიშვას, შუღლის ჩამოგდებას, აკისრებდა ქართველთ დიდძალ ხარკს. სხვადასხვა არაერთი მტერი გამოუჩნდა ქვეყანას. დაქსაქსვა და დაპირისპირება საქართველოს დაღუპვას ნიშნავდა. ამიტომაც ვახტანგ გორგასალი ქვეყნის გაერთიანებისა და სპარსელთა განდევნისათვის იბრძოდა თავდაუზოგავად.

„გორგასალი“ ვახტანგს სპარსელებმა უწოდეს, რაც „მგელთავას“ ნიშნავს. მტერს შიშის ზარს სცემდა მეფის საბრძოლო მუზარადი, რომელზეც მგლის თავი იყო გამოსახული.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ვახტანგ გორგასალი ლაღატიტ მოკლეს. აღესრულა ვახტანგ მეფე ციხე-ქალაქ უჯარმასში. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

ცნობები ვახტანგ გორგასლის შესახებ ამოღებულია „ქართლის ცხოვრებიდან“, კერძოდ, ჯუანშერის თხზულებიდან „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.

სპარსელებმა დაიპყრეს ქართლი, შერყვნეს ეკლესიები. შეძრწუნებულმა ქართველებმა ჯვრებიც კი გადამაღეს. ყოველ ეკლესიაში მახუდებდნენ დამპყრობლებმა ცეცხლი დაანთეს. მაგრამ მალე სპარსეთს თავად დაუდგა გასაჭირი, რადგანაც მრავალრიცხოვანი მტერი აუშხედრ-

და აღმოსავლეთიდან. ამით ისარგებლა ქართველთა მეფემ არჩილმა, ვახტანგის პაპამ, და შეუტია დამპყრობელს. არჩილმა დაარბია რანი და მოვაკანი — სპარსთა სამფლობელოები. ძლევამოსილი გამარჯვებიდან შემობრუნებულმა მეფემ მთელ ქართლს ამცნო: „არც ძალით, არც მხნეობით, არც სიბრძნით და არც სიმრავლით ვძლიე მტერს. გამარჯვება მომპოვებინა მხოლოდ იესო ქრისტეს, ღვთის ძისა და ჩვენი უფლის, ჯვარმა, რომელიც მაცხოვარმა მოგვცა წინამძღვრად. ყოველმა ქართველმა ადიდეთ ღმერთი და განიმტკიცეთ რწმენა“.

არჩილის დაწყებული საქმე სახელოვნად განაგრძო მისმა ძემ, მირდატმა, ვახტანგის მამამ. მირდატმაც სძლია რანს, მოვაკანსა და ადარბადგანს. მეფე თავად ედგა ლაშქარს სათავეში. რანის ერისთავს, ბარზაბოდს, ულამაზესი ასული ჰყავდა, საგდუხტი. მირდატს შეუყვარდა ქალი, დამორჩილებულ ერისთავს ზავი შესთავაზა და ასული სთხოვა ცოლად. დამარცხებულსა და გასაჭირში ჩავარდნილ ბარზაბოდს ძლიერ გაეხარდა ამ ამბის გაგონება, მშვიდობის ფიცი ითხოვა არჩილისა და მირდატისაგან და, როდესაც მიიღო, საკუთარი ასული მზითვით ცოლად მისცა მირდატს. არჩილ მეფემ სამშვილდე უბოძა თავის ძეს. აქ იყო მირდატისა და საგდუხტის სატახტო ქალაქი.

საგდუხტ დედოფალი ქრისტეს სჯულს ეზიარა. იგი ქრისტიანი სჯულისმცნეიერი ადამიანების დახმარებით გაეცნო სახარებას და ირწმუნა,

რომ ჭეშმარიტი ღმერთია იესო ქრისტე, ადამიანთა ხსნისათვის განკაცებული. საგდუხტი მოინათლა, უარყო ცეცხლთაყვანისმცემლობა და ააგო სამშვილდის სიონის ტაძარი.

საგდუხტსა და მირდატს სამი შვილი ეყოლა: უფროსი ქალი — ხუარანძე, მისი მომდევნო — ტახტის მემკვიდრე, რომელსაც სპარსულად ერქვა ვარან-ხუასრო-თანგი, ხოლო ქართულად ვახტანგი და ნაბოლარა, ასული მირანდუხტი. ვახტანგის დაბადებამ ძლიერ გაახარა მშობლები. მათ მთელ ქვეყანას აცნობეს ვაჟის შექენა და დიდძალი საბოძვარიც გასცეს. მეფემ დიდი პურობა გამართა. საურმაგ სპასპეტმა მირდატს სთხოვა, მემკვიდრე მისთვის მიეცა აღსაზრდელად. მეფემ საურმაგს თხოვნა აუსრულა, რადგანაც მაშინ წესად იყო მიღებული ტახტის მემკვიდრის წარჩინებულთან აღზრდა, მეფის ასული მირანდუხტი კი კასპის სპასალართან წარგზავნეს.

შვიდი წლის იყო ვახტანგი, როდესაც მეფე მირდატი გარდაიცვალა.

დაქვრივებული საგდუხტ დედოფალი მამის, ბარზაბოდის, შიშმა შეიპყრო. „ვაითუ, ჩემი მამამთილისა და ქმრისგან მრავალგზის აკლემბულმა, ჩემ მიერ რჯულის გამოცვლით განრისხებულმა შური იძიოს და დაღუპოს ჩემი ძე, აიკლოს ქართლი და წაწყმიდოს ქრისტიანობა“, — ფიქრობდა შეძრწუნებული დედოფალი. მან გადაწყვიტა ხლებოდა მამას და პატიება ეთხოვა მისთვის. ქალმა სპასპეტთან შეკრიბა ერისთავები და შეავედრა მათ ძე თვისი.

საგდუხტი ეახლა მამას, მის ფეხთა წინაშე ქედი მოიხარა, მუხლი მოიდრიკა, პირქვე დაემხო და ცრემლით დაუღბო მშობელს ფეხები. ქალმა შენდობა სთხოვა ბარზაბოდს, თან ევედრებოდა, რწმენა არ გამოეცვლევიინებინა.

ბარზაბოდმა შეინდო ასული, მცხეთაში კი წარგზავნა ცეცხლთაყვანისმცემლები და მათი ეპისკოპოსი ბინქარან, რომელიც ერს სპარსთა სჯულს უქადაგებდა. წინააღმდეგობის გამწევი არავინ იყო და ერი მაზღვანობის ალმა მოიცვა. ბარზაბოდის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ვარაზ-ბაკურმა, საგდუხტის ძმამ, ბარზაბოდის ძემ.

ვახტანგი ამ დროს ათი წლისა იყო. ქართლის დაძაბუნებით ისარგებლეს ოსებმა და დიდძალი სპით შემოიჭრნენ, დაარბიეს ქართლის ქვეყანა, თან ვახტანგის სამი წლის და, მირანდუხტი ტყვედ წაიყვანეს. სრულად მოაოხრეს ოსებმა ქართლის ხეხეები, კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი; მიწასთან გაასწორეს რანი და მოვაკანი — სპარსთა სამფლობელოები და გამარჯვებულნი ძლიევით შებრუნდნენ ოსეთში. ამავე დროს ბერძნებმა დაიპყრეს აფხაზეთი. შემფოთებული ქართველები ამბობდნენ: „ცოდვები ქავამრავლეთ და უფალმა დაგვსაჯა. ჩვენი ქვეყანა აიკლეს ბერძნებმა და სპარსელებმა. ერი ურწმუნოებამ მოიცვა. ჩვენი მეფე მცირენლოვანია და არ ძალუძს ჯვრითა და ქრისტეს სასოებით გაგვიძღვეს წინ შურის საძიებლად“. ქართველები წუხდნენ.

ვახტანგი იზრდებოდა. ჭაბუკი გულისხმიერებით ეწაფებოდა ქრისტეს სჯულს და კარგად ხედავდა ქვეყნის გასაჭირს. თხუთმეტი წლის ვახტანგმა შემოიკრიბა ქართლის ნარჩინებულნი, ტახტზე დაჯდა და ერი თუ ბერი იხმო. სადარბაზოდ შეკრებილთ მჭევრმეტყველმა ვახტანგმა ასე მიმართა: **„მეფესა და ერს განსაცდელი მაშინ ელის, როდესაც ღმერთს ივიწყებს. თუკი შვილი არასწორად შეისმენს მამის სწავლებას, მამა სცემს მას, რომ უკეთ შეისმინოს, რაც საჭიროა. ღმერთი ასევე გვნერთნის ჩვენ“.**

შემდეგ ვახტანგმა განაგრძო: „ახალგაზრდა ვარ და ჩემგან ჯერ კარგი არაფერი გინახავთ. ჩემ წინაპართაგან კი ბევრ დიდებას შესწრებინათ. ამჟამად განსაცდელი გვადგას, მაგრამ არ შევარჩენ მტერს ჩვენს ჯავრს. სპარსთა და ბერძენთა

განმგებლები გვაგინროვებდნენ და ვითმენდით. ამას ოსთა ძალადობაც დაერთო, ამის მოთმენას კი სიკვდილი სჯობს“.

წამოდგა ჯუანშერ სპასპეტი და თქვა: „მაღლობა შეგწიროთ ღმერთს, რომ ძლიერი და გმირი მეფე მოგვივლინა ქვეყნად. ყმა იყავ და იმძლავრა მტერმა. ახლა კი გხედავთ მხნესა და ძლიერს. შენგან ველით ხსნას გასაჭირთაგან.“

მეფეო, სიბრძნითა და ძლიერებით, მხნეობითა და ასაკით სრულყოფილი, ომში გამოუცდელი ხარ. ამიტომაც ამოარჩიე ერთი ჩვენგანი, ვინც ლაშქარს წინ წაუძღვება. შენ კი შინ დარჩი და სამეფო მართე. თუ დავმარცხდებით, შენი მეფობა მაინც უვნებლად გადარჩება. შენი დალუპვა კი ქვეყანას წარწყმედს“.

გორგასალმა უპასუხა სპასპეტს: „ჯუანშერ, ეგ სიტყვები ერთგულებამ გათქმევინა, მაგრამ მაინც ვერ დავყვები შენს რჩევას. დიდი განსაცდელი გვადგას, ჩემი ცხოვრების ყოველი დღე მწუხარებაში მაქვს გატარებული. ჩემი დის, მირანდუხტის, სიბრალული გულს მისერავს, როგორც ცეცხლის მახვილი. სიკვდილი მირჩევნია ასეთ ყოფნას. ღვთის შეწევნითა და ჯვრის წინამძღოლობით ვავემართები საბრძოლველად. ღმერთი არ გამწირავს და ვძლევ მტერს“.

მეფეს ვერვინ შეებდა წინააღმდეგობის განწევა.

ვახტანგმა რანის ერისთავს, თავის ბიძას, ვარაზ-ბაკურს, აცნობა ოსეთზე ლაშქრობის განზრახვა და მისგან თანადგომა ითხოვა. რანის ერისთავი სიხარულით დათანხმდა, რადგანაც ოსთაგან აკლებული იყო. მეფემ შეკრიბა დიდძალი სპა: ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქვეითი. მათ ვარაზ-ბაკურის გამოგზავნილი თორმეტი ათასი მხედარი შეუერთდა.

ვახტანგი მცხეთისკენ დაიძრა. კარგად აღჭურვილი, საუკეთესო ბედაურებზე ამხედრებული, მრისხანე და ლალი ლაშქარი შურისძიებით აღვისილი მიემართება ოსეთისაკენ. ომში გამგზავრების წინ ვახტანგი დედასა და დას გამოემშვიდობა და ანდერძი დატოვა: მისი ბრძოლიდან არდაბრუნების შემთხვევაში, ხუარანძე, ვახტანგის და, ვახტანგის მამის ძმისწულს, მირიანს უნდა შეერთო და გამეფებულიყო. ვახტანგმა მცხეთა დატოვა.

თიანეთში მეფის სპას ორმოცდაათათასიანი ლაშქარი შეუერთდა. მეომრებმა განვლეს დარიალანი (ოსთა

კარი) და თექვსმეტი წლის გორგასალი მხედრონითურთ ოსეთს შევიდა. ოსთა მეფე ხაზარებს შეუკავშირდა და გაძლიერებული ლაშქრით დახვდა გორგასალს.

მონინააღმდეგეებმა განვლეს დარიალანი და ოსეთის ველზე, მდინარის პირას დაიბანაკეს. ამ მდინარესაც არაგვი ერქვა, რადგან იმავე მთიდან იღებდა სათავეს, საიდანაც ქართლის არაგვი. მონინააღმდეგენი მდინარის გაღმა-გამოღმა დაბანაკდნენ და გადაკეტეს კლდოვან ნაპირთა მისასვლელი. შვიდი დღე იდგნენ აქ. შვიდი დღის მანძილზე ბუმბერაზები ერკინებოდნენ ერთმანეთს.

ხაზართა დამხმარე ლაშქარში გოლიათი თარხან ერია. გამოვიდა თარხანი და ხმამაღლა განუცხადა ვახტანგის მეომრებს: „თქვენ შორის უძლიერესს შევერკინები“.

ვახტანგს სპარსთა დამხმარე ლაშქარი ჰყავდა, რომელშიც ერია კაცი, სახელად ფარსმან-ფარუხი. მან ბრძოლაში მეტოქეობას ვერვინ უწევდა, რადგანაც ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ლომის ხელით შეპყრობა შეეძლო. გავიდა ფარსმან-ფარუხი თარხანთან საბრძოლველად. გოლიათებმა მაღალი ხმით დაიყვილეს და ერთმანეთს ეკვეთნენ. თარხანმა უმაღლე ხმლით გაუპო თავი სპარსთა გმირს. ვახტანგი და მისი მეომრები შეცბნენ, რადგანაც სხვა ამგვარი გმირი მათ არა ჰყავდათ.

დალამდა. ვახტანგმა ლოცვა წარმოთქვა და უფალს შეწევნა სთხოვა.

გორგასალმა განიზრახა თავად შებმოდა ხაზართა გოლიათს. მეფე უშიშარი იყო, ვითარცა უხორცო.

გათენებისთანავე კვლავ მოადგა თარხანი მდინარეს. მუქართა და ყვედრებით ინვევდა ვახტანგის მებრძოლთაგან ვინმეს შესარკინებლად, მაგრამ მასთან შეებმა ვერვინ გაბედა.

მაშინ ვახტანგმა ლაშქარს განუცხადა თავისი განზრახვა, თვით შევებმები იმ გოლიათსო. მეფეს აჩერებდნენ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ გადაეთქმევინებინათ თარხანთან შერკინება, მაგრამ გორგასალმა არ შეისმინა. მან ზეცისკენ ალაპყრო ხელები და წარმოთქვა: „უფალო, ყოვლის დამზადებელო, კეთილის გამამრავლებელო და ყველას ამამალლებელო, შემენ მეყავ და დავეც ურჯულო იგი“. შემდგომ იგი ამხედრდა, დაამშვიდა თავისი სპა და გაეშურა საბრძოლველად.



ვახტანგი მდინარის პირას ჩავიდა. ხელთ ჰოროლი ეყრა.

თარხანმა შეხედა და თქვა: „მე გოლიათებთან ბრძოლას ვარ ჩვეუ-ლი და არა შენაირ ყმანვილებთან თავის დამდაბლებას“. დაიყვილეს და ეკვეთნენ ერთმანეთს. ვახტანგ-მა ჰოროლი ჰკრა თარხანს, ზურგი გაუპო და განგმირა.

გახარებულმა ქართველებმა ყიჟინ-მა დასცეს.

მეორე დღეს ოსთა ბუმბერაზი ბა-ყათარი გამოვიდა საბრძოლველად. ვერვინ ბედავდა მასთან შებრძოლე-ბას. ბაყათარს მშვილდი თორმეტი მტკაველის სიგრძისა ჰქონდა, ხოლო ისარი — ექვსი მტკაველისა. გოლი-ათი მოადგა მდინარეს და გამოსა-ხა ვახტანგს: „ვახტანგ მეფეო, თარ-ხანთან გამარჯვება ნუ გაგალაღებს. ის არ ეკუთვნოდა გოლიათთა რიცხვს, ამიტომაც ყმანვილურად მოცვდა. თუ ჩემთან შესარკინებლად გამოხვალ, გაგემებ ფიცხელ ბრძო-ლასა და ომს. თუ შენ არ შემერკინე-ბი, რომელიმე შენი მებრძოლი გამო-ვიდეს“.

ვახტანგმა მიუგო ბაყათარს: „არ მეშინია შენი, როგორც ძაღლისა, რადგანაც ქრისტე და მისი ჯვარი მფარავს“.

ვახტანგმა გაამზადა სპა, ამხედრ-და ჯავშანშემოსილ ტაიჭზე, ხელთ იპყრა ვიგრის ტყავის ფარი, რომელ-საც მახვილი ვერ ჰკვეთდა, ჩაიარა მთის ფერდი და გასაძახა ბაყათარს: „მე არ გადმოვალ მდინარეზე და არ ვეახლები ოსთა სპას, რადგანაც მე-

ფე ვარ და არ შემეფერის. შენ კი მონა ხარ და შენი დაღუპვით, როგორც ერთი ძაღლის სიკვდილით, ოსთა ლაშქარს არაფერი დააკლდება, გად-მოდი მდინარეზე“. ბაყათარი გადმო-ვიდა და თქვა: „მე, შენი მომკვლელი, გადმოვდივარ მდინარეზე. დაიხიე უკან“.

ბაყათარმა ისარი დაუშინა ვახ-ტანგს. გორგასალი მახვილი თვა-ლით, გამჭრიახი გონებით, მარდი ტაიჭით ირიდებდა ისარს. ორივე მხრიდან ბუკსა და დაფდაფს ჰკრეს მეომრებმა. ქართველთა და ოსთა ყიჟინამ მთა და ბარი შეძრა. ორ ისარზე მეტი ვერა ჰკრა ბაყა-თარმა ვახტანგის ფარს, მესამე ის-რით კი ვახტანგის ტაიჭი განგმი-რა და ვიდრე ცხენი დაეცემოდა, ვახტანგი მიეჭრა ოსთა გოლიათს, ჰკრა ხმალი მხარზე და გულამდე გააპო. მაშინ წაიქცა ვახტანგის ცხენი, გორგასალმა კი სწრაფად წაავლო ხელი ბაყათარის ბედა-ურს, ღმერთს მადლობა შესწირა, ამხედრდა, თავის სპას ჩაუდგა სა-თავეში და გაამხნევა: „მხნედ იყა-ვით და გაძლიერდით, რადგანაც ღმერთი ჩვენთან არის“.

გამზადებული სპა, ცხენ-თოროსა-ნი და ჯაჭვ-ჩაბალახიანი, წინ მხედ-რები და მათ შემდგომ ქვეითნი, და-იძრა ოსებისაკენ. კლდის ქიმზე მომ-დგარმა მტერმა ისარი დაუშინა ვახ-ტანგის სპას. მეფე ამხნევებდა ლაშ-ქარს, ნუგეშს სცემდა. ბრძოლა გა-ხურდა. ვახტანგის ხმა, როგორც ლომის ხმა, ისე ესმოდა. მეფის გვერ-დით მხნედ იბრძოდნენ არტავაზ, ძუ-ძუმტე ვახტანგისა, და სეფენული ბივრიტიანი.

დამარცხდნენ ოსები. ვახტანგმა ტყვეები შეიპყრო, რათა შემდგომ დატყვევებულ ქართველებში გაეც-ვალა. ქართველთა მეფემ შემუსრა ოსთა ქალაქები, დაიმორჩილა ყივჩა-ლებიც და შექმნა ოსეთის კარი — და-რიალი. ზედ აავო ციხე-სიმაგრეები და მცველად მთიულეები დააყენა, რომ არავის, არც ოსსა და არცყივ-ჩალს, არ შესძლებოდა ქართველთა მეფის ბრძანების გარეშე ქვეყნის საზღვრის გადმოლახვა. მირანდუხ-ტის გამოსახსნელად ვახტანგმა სა-მასი ტყვე ოსი გაათავისუფლა.

მრავალი სახელოვანი ბრძოლა გა-დახდა ვახტანგს. არა ერთი უცხო ტომი დაიმორჩილა. სრულად შეძრა ჩრდილო კავკასიის ტომები. რაინ-დულად იბრძოდა გორგასალი მტრის

წინააღმდეგ. მას მიზნად არა ჰქონია ხოცვა-ჟლეტა. დამარცხებულ და დატყვევებულ მტერს სიცოცხლეს უნარჩუნებდა. ყველა გამარჯვებაში მისი მიზანი იყო არა პირადი განდი-დება, არამედ ქვეყნის, რწმენისა და ერის ერთგულება. სწორედ ეს ჰმა-ტებდა მას განუსაზღვრელ ძალას.

მაგრამ ვახტანგი მარტო ჩრდილო-კავკასიელ ტომებს არ იმორჩილებ-და. იგი ქართლის ყველა მტერს ებ-რძოდა. მან ბერძნებზეც გაილაშქრა. ვახტანგი სარწმუნოების განმტკი-ცებაზე ზრუნავდა და ვინც კი ჯვარს შეურაცხყოფდა, ყველას იმორჩი-ლებდა.

ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლაში ვახტანგის მოკავშირე, მისი დედის ძმა, რანის მთავარი ვარაზ-ბაკურიც მონაწილეობდა. მაგრამ ერთ-ერთი ბრძოლის შემდგომ, როდესაც შე-იტყო, რომ ვახტანგმა კეისარს მო-ციქულები გაუგზავნა, იგი განუდგა გორგასალს. „გველო და ასპიტთა ნათესავო, — უთხრა მან გორგა-სალს, — არ იცი, რომ მამაშენის დე-და ბერძენი იყო? და აი, იყივლა შენ-ში სისხლმა, ჯვარცმული მკვდარი კაცის სიყვარულითა ხარ შეპყრო-ბილი და გინდა ჩვენ ბერძენთა ხელთ ჩაგვაგდო“. ვახტანგმა მიუ-გო: „აი, შენ და აი, ბერძენები. ნახავ ძალას იმ მკვდარი კაცისა და შენი ცოცხალი რწმენისაც“.

სცეს საყვირს და სპარსელები, სომხები და დარუბანდელეები გამო-ეყენენ ვახტანგს. ქართველთა ლაშ-ქარი განზე გადავა და უყურებდა გა-მოყოფილთ. ბერძნებმა შეუტიეს და მოკლეს ვახტანგის ბიძა, სპარსთა ერისთავი, და იპაჯაჯი, ლეკთა მეფე. მრავალი ერისმთავარი ამონყვიტეს ბერძნებმა. მათ სათავეში ედგათ პა-ლეკარპოს სპასპეტი, ბერძენთა მე-ფის დისწული.

ვახტანგი გადმოვიდა ეტლიდან და თქვა: „ჩვენ მშვიდობა გვინდოდა. სპარსთა ურჩობამ კი დაღუპა თა-ვად ისინი. მოიტანეთ ჯვარი, წინ წა-ვიმძღვართ, რომ როგორც ჩვენ გვძლევენ, ისე მათ მიეზლოთ“.

პეტრე მღვდელმა ჯვარი მოიტანა. მეფემ თქვა: „დადეთ იგი მტრის წინ და უთხარით — თაყვანი ეცით ჯვარს. ვინც არ აღასრულებს თქვენს ნათქვამს, მოკალით“. ვახ-ტანგმა უბრძანა დემეტრე ერისთავ-სა და ჯუანშერ სპასპეტს, ჯვარს გაჰყოლოდნენ. პალეკარპოს სპასპე-ტი, მგელივით სისხლში მოსვრილი, გამძვინვარებული ლომივით მოს-

დედა მათ და შეურაცხყოფდა. მაშინ ვახტანგი შეერკინა მას.

ბრძოლის წინ გორგასალმა წარმოთქვა: „ადამიანი ძლიერია არა საკუთარი ძალით, არამედ ღვთის მიერ“. ამის შემდეგ ვახტანგმა ხმალი ამოიღო და საბრძოლველად გაემზადა. მან თქვა: „ლომი ხარს არ ებრძვის. მე მეფე ვარ და შენ მონა. მე ერისათვის დავდებ თავს, რომ მან ირწმუნოს უფლის ჯვრის ძალა“.

მოვიდა პალეკარპოს. ვახტანგი ნელ-ნელა, დინჯად მიუახლოვდა მას. ორივე მეზობლმა საშინელი ხმით შეჰყვილა. ეს ხმა ჰგავდა ქუხილს, რომელიც ქვეყანას შეძრავს. პალეკარპოსმა ვახტანგის ფარს ხმალი დასცა და ვახტანგის ვიგრის ტყავის ფარიც კი გაკვეთა, რადგანაც სპასპეტის ხმალი კაცის მკლავის სისხო იყო. ვახტანგმა ფარი პალეკარპოსის ხმალს შეატოვა, თავი კი ბეჭამდე გაუპო სპასპეტს.

ვახტანგის მეომრები ბერძენთა ლაშქარს შეესივნენ, განდევნეს და გუნდ-გუნდად სდიეს პონტოს ზღვის პირამდე. ბერძენთა ნაწილმა გაასწრო ნავით.

ვახტანგს ამ ბრძოლაში ორმოცდასამი ათასი მეომარი დაეღუპა, ხოლო ბერძენებს — ასოცდახუთი ათასი, ტყვედ კი ოცდახუთი ათასი ბერძენი ჩავარდა.

ბერძენებთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგის ბიძა ვარაზ-ბაკური. ქართველთა ლაშქარმა იგლოვა იგი, ნესი აუგო და ცხედარი მის სამფლობელო ბარდავში წაასვენა.

ვახტანგმა განკარგულება გასცა, ყველა ტყვე კეისრისთვის გაეგზავნათ. კეისარმა ვახტანგს დაუბრუნა ქართლის საზღვარი, ციხე თუხარისი და კლარჯეთი, მაგრამ მოითხოვა ზღვისპირეთი: „ეგრისის წყლიდან ხაზარეთამდე ბერძენთა საზღვარია, რომელიც შენ ჩაგიგდია ხელთ. და აბრუნე და როდესაც შენს ასულს შეირთავ, კვლავ უკან მოგცემ“.

ქართლისკენ წამოსულმა ვახტანგმა კლარჯეთი გადაიარა. არტანუჯის მფლობელს არტავაზს, თავის ძემუმიტეს, ციხისა და ეკლესიის აგება უბრძანა. არტავაზმა ააგო არტანუჯის ციხე, ოპიზის მონასტერი და სამი ეკლესია: დაბა მერესი, შინდობისა და ახიზის...

ვახტანგი მცხეთას დაბრუნდა...

გორგასალი სპარსელებს ებრძოდა...

სპარსთა მეფე ხოსრო კახეთს მოადგა, შემუსრა კამბეჩოანი, ქერმის

ციხე და ველისციხე. მან ივრის პირას დაიბანაკა. სამი დღე იბრძოდნენ და დიდძალი სპა ამონყვიტეს.

ვახტანგმა პეტრე კათალიკოსს უხმო და უთხრა: „იცოდე, ხარკის გამო კი არ გვებრძვის, არამედ სურს ქრისტიე უარგვაყოფინოს. ქრისტესგან განდგომას მე სიკვდილი მიჩვენებია, რათა მოვიპოვო სასუფეველი, როგორც აღთქმულია: „ვინც წაინყმედს თავს ჩემთვის, იგი ჰპოვებს მას“.

შემდგომ ეპისკოპოსები და ყველა წმინდანი მეფის ბრძანებით უჯარმაში წავიდნენ.

ვახტანგს ორასორმოცდაათასიანი ლაშქარი ჰყავდა, სპარსელებს კი — შვიდას ათასიანი. ვახტანგმა ლაშქარი სამად გაყო და იქ, სადაც სპარსთა მეფე ეგულებოდა, თავად გაეშურა ასი ათასი კაცით.

ვახტანგი ნისლიანი ღამით დაესხა თავს სპარსელებს. მეფემ უთხრა მეზობლებს: „ვინც სიკვდილს გადაურჩება და ბრძოლის ველიდან ისე გამოვა, რომ მტრის თავს ან ხელს არ ჩამოიტანს, ჩვენ დავსჯით“. გამთენიის ხანს დაიწყო ვახტანგ მეფემ ლაშქრობა. მეფის კარვამდე შევიდა გორგასალი, სპარსთა მეფის ძე ბარტამი მოკლა და თავი მოჰკვეთა. ვილაც სპარსმა ვახტანგს მკერდი ისარი სტყორცნა, ბრძოლა შუადღემდე გაგრძელდა. სძლია სპარსელებს გორგასალმა, ასი ათასი მეომარი მოუკლა მტერს და ასი ათასი ცხენი წამოასხა. თავად ვახტანგს ოცდარვა ათასი მეზობლი დაეღუპა. სპარსთა მეფე იმ ადგილებიდან აიყარა და რუსთავისკენ დაიხია.

ვახტანგის ჭრილობა დამძიმდა, რადგან ისარი მონამლული იყო, მეფე უჯარმაში გაემგზავრა და ქართლის სპასალართ უბრძანა არსად წასულყოფინა. სპარსელებმა ვახტანგის მდგომარეობის სიმძიმე რომ გაიგეს, ააოხრეს თბილისი და არმაზი, მაგრამ მცხეთას ვერაფერი დააკლეს, მხოლოდ გალავანი დაუზიანეს.

ვახტანგმა იგრძნო სიკვდილის მოახლოება, უხმო კათალიკოსს, ცოლ-შვილს, წარჩინებულთ და უთხრა: „მე მივდივარ ღმერთთან. ხოლო თქვენ მტკიცედ დაიცავით საწმინდოება და ქრისტესთვის სიკვდილს ეძიებდეთ“.

დიდებულებს უთხრა: „ნუ შეურაცხყოფთ ჩემს სახლს, რადგანაც ჩემგან მიიღეთ ნათელი და ხორციელი დიდებაც მე მოგანიჭეთ“.

მეფემ თავის ძეს, დაჩის, დაუბარა:



„შენ პირმშო შვილი ხარ ჩემი. მეფობის გვირგვინი მომიცია შენთვის. შენს ძმებს მივეცი მიწები ტაშისკარიდან და წუნდიდან სომხეთამდე და საბერძნეთამდე. აფხაზეთის საზღვარი, რომელიც ეგრის-წყალსა და კელისურას შუა გადის, დედაშენის ძმებს ეკუთვნის. ყველა გამორჩილებდეს შენ“.

შემდეგ იხმო ნასარ, წუნდის ერისთავი, და არტავაზ, კლარჯეთის ერისთავი, და ბივრიტიან, ოძრხის ერისთავი. მათ ჩააბარა ცოლი თვისი ელენე და შვილები — ლეონ და მირდატი.

ვახტანგის სიკვდილმა წარჩინებულთ და მთელ ერს თავზარი დასცა. ყველანი თავში იცემდნენ და ხმით ტიროდნენ. მათმა გოდებამ ქვეყანა შეძრა. მორწმუნე ერი შენატროდა მეფეს, რომელიც ქრისტესთვის მოკვდა.

ვახტანგ მეფე აღესრულა. დაიკრძალა იგი მცხეთაში, საკათალიკოსო ეკლესიაში ცხოველყოფელ სვეტთან.

„გორგასალი“ ვახტანგს სპარსელებმა შეარქვეს: მეფის ოქროს მუზარადზე წინ მგელი იყო გამოსახული, უკან კი — ლომი. სადაც კი ქართველები მარცხდებოდნენ, მეფე უმაღ იქ ჩნდებოდა და როგორც ლომი კანჯარს (ველურ ვირს), ისე მუსრავდა მტერს. მგელლომიან მუზარადს ყველა სცნობდა და მისი გამოჩენისთანავე ისმოდა შეძახილი: „დურ აზ გორგასალ“, რაც ნიშნავს: „ერიდე მგლის თავს“.



ქართულ მეფეთა მიმონება

მეთვრამეტე საუკუნეში საბოლოოდ გამოიკვეთა ქართულ სამეფო-სამთავროთა თავდაცვითი და პოლიტიკური ორიენტაციის უალტერნატივო ხასიათი. ამაზე ნათლად მეტყველებს ქართლ-კახეთის და იმერეთის უმაღლეს ხელისუფალთა ინტენსიური მიმონება რუსეთის იმპერატორთან. ქვემოთ გამოქვეყნებულ მიმართებებში მთელი სრულყოფილებით ჩანს ჩვენი ქვეყნის უალრესად მძიმე, თითქმის გამოუვალი მდგომარეობა. ქართველი ერის არსებობას მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა, რასაც ზედმიწევნით აცნობიერებდნენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მეფეები - ერეკლე და სოლომონ. ისინი ერთადერთ ხსნას ქრისტიანულ რუსეთში ხედავდნენ და დაჟინებით ცდილობდნენ ძლიერ მეზობელთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. საგულისხმოა, რომ ქართველი მონარქები ერთმანეთთან ურთიერთობის

პრობლემებსაც ხშირად სწორედ რუსეთის მონანილებით აგვარებდნენ. ეს კარგად ჩანს სოლომონ მეფის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან, სადაც ის გარკვეულ საყვედურს გამოთქვამს ერეკლეს მისამართით. აღნიშნული ფაქტი მრავალმხრივ ყურადღებას იმსახურებს. აქ საქმე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს დაუძლეველ შინაგან რღვევასა და დაქსაქსვას ეხება, რაც მუდამ საბედისწერო როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში. ერეკლე და სოლომონ მეფეები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა შექმნილ ვითარებაში ქვეყანას საიმედო მფარველი ჰყოლოდა. მათი წერილები ჩვენს წარმოსახვაში კიდევ ერთხელ გააცოცხლებს იმ მღელვარე დღეთა ქრონიკას, რომელიც თავისი მნიშვნელობით ნამდვილად ისტორიულია და ამდენად, ისტორიის დაუვინყარ კუთვნილებას წარმოადგენს.

■ ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ЦАРЯ СОЛОМОНА ИМП. ЕКАТЕРИНЕ II. (1 Сентября 1781 г.)

С великим благоговением, по добобстрастием и земным поклоном осмеливаюсь донести Имеретинской царь Соломон, что из единой вашей матерейской щедроти соизволили вы оказать божественное ваше милосердие, вами святая церквы и народ наш избавлены от тяжкаго ига неволи и дарована им волюность, за что все восточныя христиане денно и ночно молят Бога о здравии вашем и до окончания века вашему и.в. будут просить за все-нижайшее благоволение и прославлять всевысочайшее ваше имя. Все мы, находящияся здесь, с великим усердием желаем, помощию Христа, за вас, избавительницу и всем. монархиню нашу, против ваших врагов Турок и против всех наших неприятелей положить жизнь нашу и пролить крови, припадая к стопам в.и.в., осмеливаемся мы молить о не-предании забвению вами избавленных нас от неволи и о нелишении и вашей монаршей милости, покровительства и помощи: в соседстве с нами находятся веч-

но онныя неприятели, а напротив того нас малое число, и потому не в состоянии мы делать им всегда супротивление. Всем. монархиня, окажите милосердие ваше и защитите в.в. избавленный народ, да не возимеют Турки власть над святыми православными церквами. С берегов Чернаго моря чинят Турки сильное на нас нападение; хватают народ наш и приводят в турецкой закон, и потому подвергают христиан в большое порабощение. Мы писали к турецким начальникам, чтоб они не делали такого раззорения и нападения в нашем владении, и требовали при том мир, но они, невзирая на наше требование, начали еще наиболее истреблять народ, и потому принуждены мы были собрать наше войско, и щастием в.и.в. одержали совершенную над ними победу, и мы отместили им более, нежели они сделали нам вред. И по таким обстоятельствам сами Турки, да и другие окружающия нас соседи наши, при-шли в немалое смущение, делают

приготовление и стараются на-пасть на нас. Я, царь, также и все духовные и светские владения моего, стоя на коленах, мол-им под ваше сильное покровитель-ство принять нас и защищать вечно, вами избавленных от ига неволи, ваших нас рабов, и оказ-ать матерейское ваше милосер-дие нам такое, какое сами собла-госоизволите. Карталинский царь Ираклий отстал он нас и всеми мерами ста-рается неусыпно оказывать нам вражду и вред. Он самого себя и владение свое предаль Туркам и безпрестанно имеет переписки с ними, просит помощи и все свою надежду полагает на Турок. В нынешнее время в наших местах ни один из владетелей, кроме меня, не делает супротивления Туркам, а я по смерть мою за христианской закон, щастием в.и.в., не пощажу пролить кровь мою и ни под каким видом не соединюсь с Турками. Взем. го-сударыня, помилуй, помилую и защити вечно покровительством вашим меня.

■ ПИСЬМО ЦАРЯ ИРАКЛИЯ К ГР. Н.И. ПАНИНУ.

19 Декабря 1771 г.

...О том, как в Октябре 1771 года мы взяли город и крепость Хертвиси и как тамошние жители были разорены нашими войсками, с помощью Божьей и счаstem всем государыни, об том вкратце будет доложено вам в письме Ивана Львова, и поелику с юности своей я желал поклониться великой Российской монархине, и приклонить себя и свое царство под покровительство ея в-а, - но обстоятельства нашей страны и злоба некоторых из моих соседей, и подобныя причины не давали мне возможности, - то вместо себя прислал я своего брата, святейшаго (католикоса Антон-

ия) и сына своего Леона, рабов всем монархини, и все здешния дела, касающиеся нашего края, и письмо, которое мы получили от капитана Львова, - все то будет представлено двору ея в-а, и прошу, чтобы вы с вашею любовью к христианской справедливости и верным суждением разума тщательно рассмотрели бы все мои здешния дела.

При том послали мы (в Петербург) и бея, который сдал нам крепость и город Хертвиси, поелику он сам пожелал поклониться высоч. Двору, и вместе с сыном моим Леоном оправился в Россию.



ИРАКЛИЙ II

■ ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ЦАРЯ ИРАКЛИЯ ИМП. ЕКАТЕРИНЕ II.

(24 Августа 1774 г.)

По милости в. и. в., брат мой католикос и сын мой Леон возвратились благополучно, за что приношу мою благодарность вашему милосердию. Величайшая, всемилостивая монархиня, и впредь надеюсь на ваше милосердие, но в настоящее время нахожусь в мрачных и горестных размышлениях, - я, раб в.и.в., припадая, умоляю: то, что настоящим представлением докладываем вашему пресветлому в-у, милостиво и благосклонно выслушать.

Всем. великая монархиня, мы в настоящее время надеялись, что получим полное удовлетворение о доложенных нами в.и.в. нуждах, чтобы тем избавить нав-

сегда наше потомство и нашу страну от врагов, благодаря милости вашей пресветлейшей особы, и то послужило бы для нас важною опорой для нашего освобождения от врагов, что могло быть достигнуто без всякаго ущерба для в.и.в. Мы были уверены и в том, что и для престола в.в-а было бы немало приращений от того; указанием же нам небольшой милости со стороны в.в-а окружающие нас враги были напуганы и обузданы, Но так как, к несчастью, в настоящее время мы опоздали (ходатайством), то все же приносим благодарность Господу, - и да будет воля в.в-а. Милостивый указ ваш, присланный чрез католикоса Ант-

ония и сына моего Леона мне, рабу вашему, я получил и уповаю, что вашею милостью не оставите меня и не потеряю даром мою усердную службу вместе с готовностью и впредь служить высоч. двору. Равно и в мирном договоре с Портой Оттоманской как изволили сказать, так и иметь нас в виду и в постоянной милости. Засим вновь смиренно дерзаю пред в.и.в. заявить милостиво выслушать доклады, посланные нами г. первенствующему министру, и решить так, как будет воля в.и.в-а; присем все-нежайше просим в.в. - о не изменять о нас вашего просвещенного мнения.

Тифлис.

■ ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ИМЕРЕТИНСКАГО ЦАРЯ СОЛОМОНА I ИМП. ЕКАТЕРИНЕ II.

(10 Ноября 1774 г.)

Мать всех православных восточных христиан! Десница Творца вселенныя ниспослала к вам с небес непреодолимую силу яко великому Константину на побеждение оружием вашим неч-

естивых магометан и на прославление вашей Империи; вашим божественным и материнским милосердием как земли, так и моря пользуются, и многих областей народ, верующий во

Христа, в городах и в деревнях, приведенный от иноплеменников в порабощение, от тяжкого ига освобожден и от рук мерзких магометан избавился. Всеавгустейшая монархиня, ныне ваш я



мый раб, царь Соломон, стоя на коленах, слезно прошу не предать забвению и не оставить на. Предсим находились мы невольники в турецких руках, наши церкви от них были осквернены и разорены, а как соизволили вы принять нас под сильное ваше покровительство, то по такому вашему божественному милосердию, непобедимыми вашими войсками избавились и мы от прежнего нашего нещастия: разоренныя у нас церкви опять возобновлены и православное христианство восстановлено. К степеням в.в. всевысочайшаго престола припадая, малый ваш я раб, царь Соломон, и все области моей от мала до велика духовные и светские люди слезно просим оказать нам такое ваше милосердие, какое вы сначала соизволили обещать нам - принять нас в вечное ваше подданство и присвокупить к природным вашим ра-

бам. Непобедимая Императрица, ежели по нещастию нашему, а большею частию и не имея мы довольно опытов, с бывшими вашими непреодолимыми у нас войсками не могли мы иметь обхождения порядочным образом, и притом естли и послушание, и рабские услуги в чемлибо, единственно по неведению нашему, не оказаны с нашей стороны, то из матерняго вашего милосердия всенижайше прошу предать оное забвению и всемилостивейше оставить нам такое наше преступление ради здешних православных церквей и народов, и удостоить вечно вашими рабами находиться нам по единодушному желанию всех здесь пребывающих народов. Все мы состоим в готовности по повелению вашему проливать кровь против

всех ваших неприятелей. Всем монархиня, не лишайте навсегда вашего покровительства ваших нас сирот и всенижайших рабов, и не предавайте вами освобожденных народов иноплеменникам-магометанам, имевшим с нами безпрестанно войну. Вашим всевысочайшим именем и счастьем всегда побеждены и истреблены будут они. Всесильнейшая монархиня, ни под каким видом не возможно нам иметь мир с татарами по бывшим между нами распрям и кровопролитиям. Ваш я раб, и потому против ваших неприятелей должен я лишиться жизни своей, а пока оная продолжится, ожидаю от вас дневной своей пищи. Вашему вел-у всенижайшии мои прошения еще представит наш князь Давид Егорович.

Примечание. При сем приложена чернильная печать с надписью: Царь Соломон, отрасль Давида, посощию Креста избавился врагов.

■ ПИСЬМО ЦАРЯ СОЛОМОНА К ГР. Н.И. ПАНИНУ.

(10 Ноября 1774 г.)

Вас, милостиваго моего приятеля, прошу, не смотря на то, что пред вами никаких моих заслуг не имею, принять сие мое нижайшее представление не со гневом, но со оказанием вашего нам предстательства. Когда война кончится и утвердится мир с Турками, то, по всем. е.и.в. к на посланному указу, всенижайше прошу е.и.в. милосердием и покровительством удостоить нас и присвокупить к сильнейшей ея Империи, и тем возможем мы совершенно освободиться от турецких рук. Е. в предаем мы себя и нашу область в вечное подданство. Довольно известно вам, что между нами и Турками с давних времян война и не малое кровопролитие происходило, и по таким обстоятельствам ни под каким видом не в состоянии мы иметь согласие и соединиться опять с ними. Все наше упование и прибежище ко

всем. государыне имеем мы. Давно уже прошу я Бога, чтоб он удостоил великой и вем. нашей монархине принести мне самолично всенижайшее мое почтение, и естли сие мое всеусердное желание противно принято не будет, то прошу вас оказать вашу ко мне милость и исходатайствовать дозволение приехать мне. При сем, ваше высокогр. с-о, прошу прислать одного кого-нибудь из служащих е.в.в. Имеретию освобожденную российским оружием область, и повелеть ему находиться с нами, дабы е.и.в. мог он доносить о здешних обстоятельствах. Прозьбами моими много утрудил вас я, но как знаю, что вы изволите меня жаловать, и потому осмеливаюсь донести вам еще, что, по неимению в наших местах лекарей, крайняя в них нужда нам состоит, и потому прошу прислать одного лекаря,



НИКОЛАЙ ИВАНОВИЧ ПАНИН

который бы находился всегда у нас. Впротчем, словесныя мои прошения донести имеет вам князь Давыд Егорович.

■ ГРАМОТА ИМЕРЕТИНСКОМУ ЦАРЮ СОЛОМОНУ ОТ ИМП. ЕКАТЕРИНЫ II

(5 Октября 1775 г.)

Представлено нам было о содержании грамоты вашей светлости от ноября прошедшаго 1774 года, полученной при высочайшем нашем дворе чрез нарочно отправленного от вас князя Квенихидзева.

И как прошение и желание ваше сею грамотою предъявлялось такое, чтоб в св. с Имеретинским владением присовокуплены были к нашей державе и в действительное всероссийской Империи подданство приняты, то из сего довольно ясно и оказалось, что вы, посылая сюда нарочнаго, не имели еще тогда в получении отправленной между тем к вам имп. нашей грамоты от сентября того ж 1774 года, которою подавалось вашей св. уведомление не только о благополучно состоявшемся между нашею Империею и Портою Оттоманскою вечной мире, но и о постановленных во всей точности в мирном трактате, по здешнему старанию и домогательству, условиях, вообще до всей Грузии и тамошних народов касающихся, после которых все Грузинцы, в разсуждении православнаго христианскаго закона, жизни своей и целости, в совершенную приведены безопасность со стороны Порты оттоманской, удовольствовавшейся только знанием подданства от тех из Грузинских народов, которыя издревле ей принадлежащими были и содержанием в своем ведомстве имеет, в коих издавна же ея войски находились, но в протчем всех жителей тамошних оставившей в свободном поведении и неподлежащими никаким подалям, ниже напоследи в обыкновение введенной даче отроками и отроковицами.

Сие есть такое состояние, для владения в св. - Имеретии, какого по обстоятельствам народа вашего не могло быт ни лутче, ни желательнее, когдаб мы согласились принять вас и в действительное наше подданство.

Нет нужды пособлять в том собственному вашему проницанию, что по отдаленности Имеретии от



ЕКАТЕРИНА II

пределов нашей Империи и по образу жизни жителей ея, возжеланное вами прежде состоявшагося с Портою мира присвоение к нашему российскому скипетру вашей области не могло бы не соединено быт с великими затруднительствами, и сохранение безопасности ея против воли столь сильнаго соседа, какова Порта, всегда бы оставалось в заботе, вместо того, что теперь, при настоящем положении дел, без всяких усилий и подвигов зависит от в. св. учинить Имеретию щастливою в самой возможнейшей степени. Мы, будучи воспрепятствованы, по природной нам склонности к справедливости, снизойти на прошение в св. в дозволении вам почитать себя принадлежащим к Империи нашей после заключеннаго с Портою Оттоманскою вечнаго мира, да и не видя в том ни нужды, ни пользы для владения вашего, а напротив того, продолжая однакоже к вам и к владению вашему имп. наше благоволение, сим милостиво в св. увещеваем: поведение ваше относительно к турецкой

стороне таким образом расположить, чтоб все причины неудовольствия предупреждаемы были; следовательно, и Порта всегда в обязанности оставаться должествовала сохранять данныя обещания. Сею столь свойственною и столь необходимою царскому званию вашему осторожностию вы неменьше окажете услуги вашему отечеству, как и военными вашими трудами, подъятым для защищения онаго, и чего мы с надеянием и ожидаем от вашего благоразумия и усердия к пользе подвластнаго вам народа, а впротчем повелев с сею нашею и. грамотою отпустить к вам обратно присланнаго от вас князя Квенихидзева с дачею ему обыкновеннаго награждения, поручаем вас и с владением вашим в сохранение Вышняго и пребудем к вам и впредь монаршею нашею милостию благосклонны. Дана в столичном нашем городе Иоскве, Октября 5 дня от Рождества Христова 1775 года, а государствования нашего четвертаго на десять лета.

Екатерина.

ლეონ II აფხაზი

„საქართველო“ ქართველთა არსებობის დროის არსებობის ღერძზე საკმაოდ გვიან გაჩნდა. ერთობა, გამოხატული გრიგოლ ხანძთელისა თუ გიორგი მერჩულეს ფორმულით: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების“, ბარემც გაცილებით უხნესია.

„სა-ქართ-ველ-ოს“ საფუძველი „ქართ-უელი“ მოდის საკრალური „ქართიდან“. ათასწლეული სიღრმიდან ამოზიდული ეს განმაზოგადებელი ცნება კი დაახლოებით ასე ლაგდება: თარგამოსი — ქართლოსი-ფარნავაზი — მეფე მირიანი და მოციქულთა სწორი ნინო კაბადოკიელი-ვახტანგ გორგასალი-არჩილ წამებული და IX საუკუნე. აქედან უკვე დიდი ტეხილია ახალი თვისებრიობისა. შორეული ლეგენდების ბურუსიდან იგრძნობა საოცარი სიდიადე გენეტიკური ერთარსობისა. ჩვენი ისტორიის თავისებურება ის იყო, რომ გამაერთიანებელი სწრაფვა „ინდუქციურია“, ცალკეული ილტვის ზოგადისაკენ; განაპირა მხარეთა სრბოლა ურთიერთისაკენ ქმნის ერთიანს. ხომ არსებობს კიევის, ვლადიმირ-სუზდალის, მოსკოვის რუსეთი, სადაც ცენტრია შემკრები. ერთმა ქალაქმა — რომმა მსოფლიო იმპერია ჩამოაყალიბა. ასეთივეა კართაგენი, ვენეცია, გენუა და ა.შ. ანალოგიურად აღმოცენდა აზიისა თუ ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები. მომთაბარეთა მოძრაობაც ცენტრიდანულია ან სწორხაზოვნად მიმართული. საერთო ფონზე თითქოს მოულოდნელია „საქართველოს“ განვითარება. ერთი შეხედვით, აქ ყველაფერი საპირისპიროა.

არაბობამ ქართული ქვეყნები სპარსელებსა და ბიზანტიელებს გამოჰგლიჯა, შეუნარჩუნა კომპრომისული „ავტონომია“ (ერისმთავრის სტატუსი). არც დაქვემდებარება აღუქვიათ ქართველებს პესიმისტურ სასონარკვეთად. იცოდნენ, დადგებოდა უკეთესი მერმისი, არ შეჩერდებოდა „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა“. განივლტო ეროვნული სული „გაარაბებული“ დედაქალაქიდან. 400 წელი თბილისში ისლამი ბატონობდა. ამიტომაც არ გვყავს თბილისელი გმირი ადრეულ საუკუნეებში, ერთადერთი ნმინდანი — აბო თბილელი არა-

ბი ჭაბუკია. სამაგიეროდ ბობოქრობდა ქართული გენი პროვინციაში. იყო ქრისტიანულ-მაჰმადიანური ანტაგონიზმი, მონოფიზიტიზმის შემოღწევა ორთოდოქსალური დიოფიზიტიზმის წიაღში, ბერძნულ-ქართული ენობრივი მეტოქეობა, კულტურული დეგრადაციის საფრთხე, და მაინც დაიბადა „საქართველო-ო“! სისხლსავსე კათოლიკე ძარღვი აღორძინებისა განაპირა მხარეების ვინრო ხეობებში იღებდა სათავეს. მოხდა გარეგნულად აუხსნელი: ჩრდილო-დასავლეთიდან „აფხაზთა სამთავრო“, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან წანარეთი, აღმოსავლეთიდან კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰერეთი, სამხრეთიდან მონოფიზიტური რწმენის ლორე-ტაშირი, სამხრეთ-დასავლეთიდან „ქართველთა სამეფოები“ (ტაო-კლარჯეთი) იწყებენ „რეკონკისტას“. თითქოს ბევრი რამ ასხვავებთ ერთმანეთისაგან: „სამინაო ენა“, დინასტიური ინტერესები, სოციალური დონე, საგარეო ორიენტაცია. საბოლოო მიზანი კი ყველას ერთი აქვს — „ყოველი საქართველოს“ აღდგენა-გამოხსნა.

შუა საუკუნეებში ქართველი („ნათესავით ქართველი“) აღნიშნავდა ქართლელსაც, ეთნიკურად ქართველსაც და კულტურულად ქართველსაც.

კულტურულად ქართველი იყო ის, ვისაც უჩნდებოდა საერთო-ქართული თვითშეგნება. კულტურულად ქართველობა არც ენობრივ, არც ეთნიკურ, არც რელიგიურ ნივთიერებას არ საჭიროებდა. ადგილებზე შენარჩუნებული იყო ქართველური და კავკასიური ენები („სამინაო“ ანუ „გულის ენები“), ადათნესები, სამართალი, ტრადიციები, რელიგიური რწმენა. მაგალითად,

**მხარგრქელთა გვარის
ართვა უტოე ღიღხანს
უინანსა „სომხური
სარწმუნოება“, თუხსა**



ბედიის მონასტარი

**ყოველთვის ქართული იყო.
ასევე ქართველი იყო
სწოგილი ღიღვაჭარი
ზანქან ზორაბაბული,
ნარმოუპოვით აბაკალი.
ქართველი იყო ალანის
უფლისწული დავით-
სოსლანი, თუხსა მისი მამა-
პაპა, კარგა ხანია, ოსეთში
დაჰქვიდკაბულიყო.**

დავით-სოსლან-ბაგრატიონ-ეფრემისძეს ქართველობა ხელს არ უშლიდა იგი ოსეთის შვილად დარჩენილიყო. თვით ორი სახელი: დავითი და სოსლანი უკვე მიუთითებდა ამ უებრო რაინდის ორმაგ თვითშეგნებას. გაორმაგებული ონომასტიკოსი შეინიშნება სხვა არისტოკრატებშიც. მაგალითად, ჭაჭას-ძე ჩაჩბა, იოანე-აბუ-ხუასრო და ა.შ.

ქართული სახელმწიფო უნიკალური ქრისტიანული, პოლიტიკური ორგანიზმია, სადაც გარანტირებული იყო სრული რჯულთშემწყნარებლობა-ტოლერანტობა. იგი თავიდანვე აღიარებდა უცხო ტომელთა მოქალაქეობას. ეს უკეთ გამოჩნდა გვიან, დაშლის ეპოქაში. სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში მოგზაურობისას ყოველთვის ზუსტად მიუთითებდა, როდის ხვდებოდნენ მას ქართველები და როდის საქართველოს მოქალაქენი. მოქალაქეებს იგი უწოდებდა ებრაელებს („ურიას“) და სომხებს, ქართველებს — გურულებს, მეგრელებს, იმერლებსა და აფხაზებს. ოღონდ აფხა-



ზებში საბა სვამდა ერთგვარი სხვაობის ნიშანს. მას უკვირს, რომ აფხაზები კვლავ მშვენიერი ქართულით ლაპარაკობენ. „აფხაზმა რატომ იცოდა ქართული, ეს გამიკვირდა“. აქ დიდი გულისტკივილია გამოხატული. მან, ვითარცა სასულიერო პირმა, უნყოდა „მცნება სასჯელო“, რომლის მიხედვით 1470-1474 წლებიდან „აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყვნეს, ქრისტეს მცნებისაგან განშორებულ იყვნეს“. ეს იყო საერთო-კავკასიური იმპერიის „ყოველი საქართველოს“ მძაფრი კრიზისის ეპოქაში, როდესაც დაქვეითდა დიდი ქართული კულტურა და დაირღვა ეთნიკური სიმბიოზების იდეოლოგიური საყრდენები. რასაკვირველია, არც XV-XVIII საუკუნეებში განწყვეტილა მთლიანად ერთიანობის ხაზი... აფხაზეთი არისტოკრატია, განსაკუთრებით აფხაზი ქალიშვილები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სანიმუშო ქართული განსწავლულობით, ხოლო აფხაზმა მამაკაცებმა არაჩვეულებრივი სიმალლით დაიცვეს რაინდული კოდექსი ზნეობრივი სისპეტაკისა... ვახუშტი მიუთითებდა, რომ მის ეპოქაში აფხაზეთს თავისი ენა შენარჩუნებული ჰქონდათ, ოღონდ წარჩინებულებმა ყველამ კარგად იცოდა ქართული. ეს მოგვიანებით.

VIII-IX საუკუნეებში აფხაზები „ყოველი საქართველოს“ ყველაზე აქტიური მემკვიდრეები იყვნენ. აფხაზთა მთავრები ლეონ II-მ პირველმა იუიუვლა მახვილი საქართველოს გაართიანებისათვის.

„ხოლო რაჟამს მიუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომელსაც მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი, ვიდრე ლიხამდე. სახელი იდგა მეფე აფხაზთა“... („მატიანე ქართლისა“).

„ლეონიდების“ ან „ანოსიდების“ (ლეონ I-ის, ლეონ II-ისა და მათი ჩამომავლების) საგვარეულოს წარ-



ზოგი, ღვთისმშობლის ხატი, X ს. ზურგის წარწერაში მოხსანიებულია მეფე აფხაზთა ლეონ II (957-967 წწ)

მოშობა საბოლოოდ გარკვეული არაა. მათ ზოგნი აფხაზებად მიიჩნევენ (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალიფა), ზოგნი — ქართველებად (პ. ინგოროყვა), და ზოგნიც — ბერძენებად (ექ. თაყაიშვილი).

ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ საკითხის გარკვევას. მთავარია ლეონ II-ის მოღვაწეობის პოლიტიკური შედეგი. მან მოიხმო ხაზართა ძალა (დედამისი ხაზართა ხაკანის — „იმპერატორის“ ასული იყო) და „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი“. „დაპყრობა“ დაუფლებას ნიშნავს. ეს მოხდა დაახლოებით 786 წელს. აქ ძალდატანებითი აქტი მხოლოდ ბერძენთა ხელისუფლების მიმართ იგულისხმება. სწორედ ამიტომ მიუთითებს „მატიანე ქართლისას“ ავტორი, რომ მან „დაიპყრნა აფხაზეთიც“, ე.ი. საკუთარი სამემკვიდრეო სამთავრო. ასე ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი სახელმწიფო — „აფხაზთა სამეფო“, ანუ მეორენაირად — „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფო. ამიერიდან ცნება „აფხაზეთი“ აღნიშნავს საკუთრივ აფხაზეთსაც (სამთავროს ტერიტორიას), დასავლეთ საქართველოსაც და გაერთიანებულ საქართველოსაც. აქედანვე მოდის ძველი რუსული სახელწოდება „ოზე“-ი, რაც ყოველთვის ნიშნავდა „საქართველოს“.

„აფხაზთა სამეფოში“ შევიდა აფხაზეთის სამთავრო (მაშინ გაცილებით ჩრდილოეთით მდებარეობდა), სამეგრელო, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი, გურია, აჭარა,

ე.ი. ქვეყანა ნიკოფსიიდან ქოროხამდე, შავი ზღვიდან ლიხის ქედამდე. ლეონ II-მ რეზიდენცია ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოიტანა. „აფხაზთა სამეფო“ სამი იმპერიის: ბიზანტიის, არაბთა სახალიფოსა და ხაზართა სახაკანოს ურთიერთქიშპობის საგანი გახდა. აიღო რა ორიენტაცია ჩრდილოეთზე, ლეონ II-მ უარყო ბერძენები და შეუტია არაბთა მფლობელობას აღმოსავლეთ საქართველოში.

„აფხაზთა სამეფო“ პოლიტიკურად და კულტურულად ქართულ-ქრისტიანული ქვეყანა იყო. მის ოფიციალურ ენაზე — ქართულზე — იქმნებოდა სახელმწიფო დოკუმენტები, აღესრულებოდა წირვალოცვა, მუშაობდა სამეფო კარი, სკოლა, ქართული იყო მნიგნობრობა და ეპიგრაფიკა. ლეონ II-ის დროს უნდა გარდაქმნილიყო ბინჭვინთის სამიტროპოლიტო ანდრია მოციქულის საპატრიარქო საყდრად. აფხაზეთის საკათალიკოსო გახდა დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სულიერი მწყემსი. აფხაზეთის საკათალიკოსოს ემორჩილებოდა ალანთა ეკლესიაც. მისი გავლენა აღწევდა ყირიმამდე და რუსთა საზღვრებამდე. დიდ მისიონერულ მისიას ასრულებდა ენობრივად ქართული ბიჭვინთის ეკლესია, რომელიც შემდეგში მცხეთის საპატრიარქოს დაექვემდებარა. აფხაზი მეფეების გავლენით ბიჭვინთის ეკლესია, რომელიც შემდეგში მცხეთის საპატრიარქოს დაექვემდებარა. აფხაზი მეფეების გავლენით ბიჭვინთის საკათალიკოსოდან სრულიად განიდევენა ბერძნული ენა უკვე VIII საუკუნიდან.

ლეონ II უდიდესი სახელმწიფოებრივი მოღვაწეა. მისი დიპლომატია ემყარება ბიზანტია-ხაზარეთის ურთიერთნიალმდეგობიდან გამომდინარე ნონასწორობას. ეს მეთოდი უცხო არ იყო ძველი ლაზიკა-ეგრისის მეფეებისათვის, რომლებიც მტრებს მტრების ხელითვე ამარცხებდნენ. სხვაობა იმაში მდგომარეობდა, რომ „აფხაზთა მეფე“ გაცილებით ძლიერი იყო.

მან მოახერხა ერთ მუჭად შეიქრა ჩრდილო კავკასიის მოუსვენარი ტოვაიის გაუსხარჯავი ენაობა და შეანივთაბინა



ქართული შინაარსის იდეოლოგიასთან. „სახარული პოლიტიკა“ ღრობითი მანევრი აღმოჩნდა. ჩრდილოეთის ღიღი იპყრება ფაქტობრივად გამოყენებულ იქნა ქართველთა ხსნის მარჯვე მეთოდად.

ლეონ II-ის აფხაზურ-ქართული სიმბიოზი სრულიად ბუნებრივად გადაიზარდა სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ-კულტურულ უნიფიცირებულ ორგანიზმად, რომელიც შემდეგში „ყოველი საქართველოს“ წამყვან ბირთვად იქცა. ლეონ II-მ ჩადო ყველაზე დიდი ქვა ქართველთა სახელმწიფოებრივი ზეობის ბალავარში. ლეონ II არის „აფხაზთა სამთავროს“ უძლიერესი მმართველი. იგი ამავე დროს ამ სამთავროს „ჰაე“-ცაა (ე.ი. დასასრული). მან გამოიხურა პატარა, შედარებით ერთსახოვანი აფხაზეთის კარები. სამაგიეროდ გახსნა ახალი თვისებრიობის — ქართული სახელმწიფოს „აფხაზთა სამეფოს“ ფართო ჭიშკარი. იგი ეგრის-აფხაზეთის „ანი“-ა (ე.ი. დასაწყისი). რა მოუვიდა საკუთრივ აფხაზეთს VIII-IX საუკუნეების შესაყარზე? იგი „აფხაზთა სამეფოს“ ბირთვი დარჩა და გარდაიქმნა „აფხაზი მეფეების“ საუფლისწულოდ, სადაც თანდათანობით დანიშნაურდა მარვაშიძე-ჭაჭასძე-ჩაჩბათა საგვარეულო. რა მოუვიდათ ლეონ II-ის პირველ აფხაზ მოლაშქერებს? მათ შეინარჩუნეს პრეროგატივები, საკუთარი ენა, არ დაუკარგავთ ნაციონალური „ეგო“, ეროვნული „მე“. ოღონდ კლასიკურ პერიოდში „მე“, როგორც წესი, მალღებოდა „ჩვენად“. აფხაზი არისტოკრატის „ჩვენი“ იყო ზოგად-ქართველობა. საპირისპირო მოვლენებს ნაკლებად ვხედავთ. კლასიკურ პერიოდში თითქმის არა ჩანს ტრაიბალიზმი ე.ი. ტომობრივი შუღლი. აფხაზური წარმოშობის ფეოდალები (ისე, როგორც „სვანური“, „ეგრისული“ და ა.შ.) აქტიურობდნენ მთელი კავკასიის ასპარეზზე. ნიშანდობლივია, რომ უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვარზე, ქართულ პროვინცია კაბადაში,

XII საუკუნეში ჩნდება ქალაქი „აფხაზი“. 978 წელს ქუთაისში შეწყდა „აფხაზური ღინასტიის“ არსებობა. „აფხაზი მეფეების“ ტახტი დაიკაზა ბაგრატ III ბაგრატონმა (გურგენ II ქართველთა მეფისა და აფხაზთა მეფის ქალიშვილის ძემ). საგანგებო მანიფესტით ბაგრატონებმა თავი „აფხაზი მეფეების“ მემკვიდრეებად გამოაცხადეს და დასავლურ-ქართულ არისტოკრატთან დაუბრუნეს აშკარა უპირატესობანი.

XII საუკუნის 80-იან წლებში მეფეთ-მეფე თამარმა მოახდინა „ყოველი საქართველოს“ სრული უნიტარიზაცია, რასაც მოჰყვა „იმერის“ (აფხაზეთის) აჯანყება „ამიერის“ (აღმოსავლეთ საქართველოს) წინააღმდეგ. დასავლეთელი და მათთან მიმხრობილი სამხრეთელი არისტოკრატები დამარცხდნენ; ამ დროიდან გაქრა „აფხაზთა სამეფოს“ (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) ფორმალური და ფაქტობრივი ჰეგემონობა ერთიან ქართულ მონარქიაში. ლეონ II-მ ძველი კოლხეთის პოლიტიკური ტრადიციების საფუძველზე აღადგინა ქართველი და აფხაზი ხალხების მარადიული სახელმწიფოებრივი ერთიანობა. იგი ისეთივე ეროვნული გმირია, როგორც ქუჯი, გუბაზი, ადარნასე I, აშოტ I, დავით კურაპალატი, კვირიკე დიდი კახთა მეფე და ა.შ. „აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნით დაედო სათავე „ყოველი საქართველოს“ აღზევებას, რასაც ფეოდალური ეპოქის „ოქროს ხანა“ მოჰყვა. „აფხაზეთის სამთავროს“ ძლიერების ზენიტი აღმოჩნდა ქართული იმპერიის იმპულსიც და სუბსტანციაც. ერთიანობა გახდა ჯერ ხსნის, შემდეგ კი შეუჩერებელი აღმავლობის საფუძველი. ერთიანობის რეალური ძალა გამოჩნდა გათიშვის პერიოდში. აშკარა გახდა, რომ „საქართველოებად“ დაშლილი ცალკე-

ული ერთეულები: ოდიშ-აფხაზეთი, გურია, იმერეთი, სვანეთი, ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო ველარ ახერხებდნენ, თავი დაეღწიათ საერთო კრიზისისაგან. აფხაზეთში თანდათან ეცემოდა საქალაქო ცხოვრება, კულტურა, უკან იხევდა ქრისტიანიზმი, ფერმკრთალი ხდებოდა კოლექტიური მეხსიერება. ლეონ II „აფხაზთა მეფისა“ და იოანე აბაზგის მშობლიური კუთხე, განმანათლებელი იდეებით რომ კვებავდა ჩრდილო კავკასიას, კინაღამ თვითონ გახდა ახალგაზრდული ტემპერამენტით აღსავსე ფეოდალური ყაბარდოს ნახევრად მეფის და ნახევრად ბელადის, ვინმე ინალის ექსპანსიის ობიექტი.

რთულ XIX საუკუნეში, რომანოვების რუსი მარწმუნებამ, რუსი კოლონიზატორების დანოლამ, პანთუქისტულმა ნაშაზაბლურმა ქადაგებამ და ტრაიბალიზმის რასიფიკაცამ ხელი შეუწყო დაგლეჯვას მუჰაჯირობას.

სანახევროდ დაიცალა ჩვენი სიამაყე, საქართველოს ჭეშმარიტი მარგალიტი — აფხაზეთი. ახლო აღმოსავლეთის ცხელ მიწაზე დაქცეული აფხაზური სისხლი თავიდან ბოლომდე სტამბოლის სერალისა და პეტერბურგის ჯალათი იმპერატორების კისერზეა. არც თურქ, არც რუს და არც ქართველ ხალხს არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ჩვენ არც უკანასკნელი რეპრესიების თანამონაწილენი ვართ. 20-30-50-იანი წლების „პოლიტიკას“ ქართველი ხალხი არ ქმნიდა. თორმეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ლეონ II-მ გაათავისუფლა დასავლეთ საქართველო და ეგრის-აფხაზეთის სამეფო შექმნა. 1200-მა წელმა დაკეცა ფრთები. იყო მაჟორული ზარების რეკვაც, იყო რეკვიემიც საკუთარი შეცდომებისა. უცვლელი დარჩა ერთადერთი და მარადიული: თანაცხოვრების უგრძესი გზა გამოვიარეთ. უნდა გვახსოვდეს: რაც გავიარეთ, დასაწყისად თუ ჩაითვლება, ბევრზე ბევრი გასავლელი გვაქვს.

ლოვარდ ტუხაშვილი



იოსებ გრიშაშვილი

საქართველოს გული

თუ მამა დავითის მთაზე ახვალთ და გადახედავთ თბილისს, ნარიყალის ციხის კალთების გასწვრივ თქვენი მხედველობის წინაშე გადაიშლება ჩვენი დედაქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ძველი თბილისი ეწოდება. ნახევრად დანგრეული კედლები ნაამაგდარი ციხისა მთის მალლობიდან ქვევით ეშვება, მაგრამ შუა გზაზე სწყდება. თუ ამ ნანგრევებს გონების თვალთა გააგრძელებთ, ხაზი დაეშვება მტკვრისაკენ და გავა მეტეხის ციხის პირდაპირ. ეს იქითა მხარეა.

აქეთა მხარის გალავანი კი, დაახლოებით ძველი სემინარიის გვერდით რომ არის დაქანებული, ეს ნარიყალის დუღაბიც მტკვარში ჩადიოდა. აი, ამ რკალშია მოთავსებული ძველი თბილისი. ხოლო ამ გალავნის აქეთა მხარეს დარჩენილი ადგილი — „გარეთუბნად“ იყო წოდებული. ძველად გარეთუბანს გარეშემო ბაღები და საიალალო ველი ერტყა; ეხლანდელი ალექსანდრეს ბაღი წინათ სასაფლაოს წარმოადგენდა, კუკიის ხიდსა-და-ხიდს შუა ჭალა იყო, ნაზირბაღთან კი — ლასტის ხიდი.



მაგრამ ჩვენი გულისყური თბილისის განსაზღვრული ნაწილისკენ არის მიპყრობილი. ტერიტორია: **თათრის მოედანი, კლდის უბანი, ავანანთ ხევი, ლელვთა ხევი (ბოტანიკური ბაღი), ისნის ყელი, პატარა და დიდი სირაჩხანის არემარე, მეტეხის ორივე ხიდის ფარგლები, — მტკვრის მორევიდან ბაყალხანამდე, აბანოების მიდამო, სეიდაბადი, ორთაჭალა, ხარფუხი და მისი მიჯნა — განჯის კარი.**

დავინწყით თათრის მოედნიდან. თბილისი ცნობილია, როგორც სავაჭრო ცენტრი. ამ სავაჭრო ცენტრად თათრის მოედანი ითვლებოდა. აქ მოდიოდა ყოველგვარი საქონელი და სურსათ-სანოვავაგე:

შორაგალიდან, მარნეულიდან და დურნუკიდან — ფქვილი, ხორბალი; ყარაიაზიდან — ბრინჯი; აღდაშიდან — საზამთრო; ზაქათალიდან — „ლეკური მსხალი“; შხლოიდან — ყველი; თუშეთიდან და ყარაბაღიდან — ცხვარი, მატყლი, ერბო;

ჰამამლიდან — კვერცხი; ჯალალოლიდან და მანგლისიდან — კართოფილი; ლამბალუდან — კარაქი; ყულფიდან და ქაღზმანიდან (ალზევანიდან) — მარილი; ბორჩალოდან — ბოსტნეულობა: ხახვი, ბადრიჯანი და სხვ.; თათრის მოედნის შუაგულში გამართული იყო ყაფანი — დიდი სასწორი, საიდანაც საქონელი მცხოვრებლებსა და ვაჭრებს ურიგდებოდა. აი, ეს ეხლანდელი განაპირებული მოედანი იყო თბილისის გული, რომელსაც სოფელი აწვდიდა თავის ნაწარმს.

ერთი პატარა დეტალი: სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორვაჭრებს.

როცა ყაფანზე ბაირალი იყო ამართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ევაჭრათ. სრულ 12 საათზე ბაირალს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფელელთა აღებ-მიცემობა.

ქალაქის ენა

ქალაქის მოსახლეობა მუდამ ქრელი და მრავალფეროვანი იყო. მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა: ეს იყო ქალაქური ენა. ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლბორცებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან. თბილისმა ფრთხილად მოანარქუა სხვადასხვა ერის ნახნაგოვანი სიტყვები და მისცა თავისებური ემხი და მზეოსნობა. თანდათანობით ეს სიტყვები იმდენად შეცვლილა და ხშირად ქართული გამოთქმისთვის ისე შნოიანად გაკეთებულა, რომ ამ ლექსიკას ვერც სპარსელი და ვერც სხვა რომელიმე ერი მხოლოდ თავის საკუთრებად ვეღარ მიიჩნევს; ან კი „რით არიან უშნონი არაბული სიტყვები „ვეფხის-ტყაოსანში?“ მაშ რუსთველის თხზულება დამცირებული იქნება არაბულისა და თათრული სიტყვების ხმარებისთვის?“

სხვადასხვა მოდგმისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ძველი მოქა-



ლაქენი უმეტესწილად თბილისის განაპირა უბნებში ცხოვრობდნენ; აქ ესენი უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, სწავლობდნენ ერთმანეთის ენას და ამ მუდმივი ურთიერთობის ზეგავლენით თბილისის ქართული ენაც განსაკუთრებულ ინდივიდუალურ და კოლორიტულ ელფერს იღებდა.

ეს ურთიერთ ზეგავლენა უფრო მეტად ძლიერდებოდა იმით, რომ თბილისი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი იყო არამც თუ საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთათვის, არამედ გარეშე-თათვისაც. გავისხენოთ ლეონ მე-ლიქსედ-ბეგის მოხსენება:

„ქართულის ზეგავლენით თბილისის სომხურმა დიალექტმა ისეთი ფონეტიკური ნორმები შექმნა, რომ სამაგალითო გახდა თვით სომეხთათვისაც, იმდენად სამაგალითო, რომ სომეხთა ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა, ან განსვენებულმა ლაზაროს ალაიანმა სომხური ბგერების შესახებ თავის 1874 წ. გამოცემულ წიგნში „დასავლურ“ სომხებს, რომელთაც უყვართ ბგერების დამახინჯება, ურჩია მაგალითი აეღოთ თბილელი სომეხებიდან, რომელნიც თავის მხრივ განვრ-თილნი არიან ქართველების მიერ“.

მოვიგონოთ, აგრეთვე, თუ რას ამბობს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში თბილისის მოსახლეობის შესახებ: „...ტფილისის მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა“.

ამავე საგნის, თბილისის განსაკუთრებული კილოს შესახებ, აი რასა სწერს პეტრე მირიანიშვილი ილიას ივერიაში: „საზოგადოთ ქალაქელი სომხობა და მასთან ქართველობაც კიდევ ლაპარაკობს ისეთ ქართულს, რომ გულდასმით დამკვირვებელი არაერთ ძვირფას სიტყვასა და სიტყვის საქცევს უპოვის. თქმა არ უნდა, ქალაქი, ფრთხილისა და ხელოვანის მუშაკის მომლოდინე, ჩვენი ენის საუნჯეს მრავალობოლ მარგალიტს შესძენს, მხოლოდ მეტისმეტად საჭიროა, ფეხი მოიკიდოს ჩვენს მწერლობაში მისმა მოხდენილმა და შნოიანმა საუბრის კილომ, რომელიც ღირსია ამ პატივისა, როგორც ჩვენი მოქალაქეობრივის ცხოვრების სათავეში მდგომი. და თუ ეს პატივი არ ვაღირსეთ, ქალაქი ვერ ითავადებს“.

პირადად მე, როგორც აღმოსავლურ მგრძნობელობის თანამოინა-

ხეს, მიყვარს ეს თბილისური ჯიშობანი სიტყვები. თბილისური სიტყვა და გამოთქმა თავისი მოცულობით და სპეციფიური ვითარებით მეტად ხმოვანია და ლეგენდარული. ამიტომ არის, რომ ამ ენის კრიალოსანს არა ვფანტავ ონავარ ხელით, ყოველივე გამოთქმას სათუთად ველოლიავები, ვიჭერ ყოველივე ცალკეულ სიტყვას და ვსხავ იქ, სადაც მისი ბადალი სიტყვა არ მოგვეპოვება. როცა ზოგიერთ რუსული სიტყვისათვის სხვა სიტყვა ვერ შემეფარდება, მივმართავ ხოლმე ჩემს ლექსიკონს („თბილისის ქართული ლექსიკა“) და გამოთქმაც მზად არის.

თბილისის ეგრეთ ნოდებულები „ყარაჩოლული სიტყვები“, — რომლითაც ჩვენი ძველები ლაპარაკობდნენ და ამჟამად არც ახალი მწერლების ნაწერებიდანაა განტვირთული, — არის ქართული ენის შემადგენელი ნაწილები, მისი ჯიგარია და არა გარმიანული სიტყვები. მეტსაც ვიტყვი: ზოგი სიტყვა თბილისში უფრო შენახულია, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში. ამიტომ თბილისური ლექსიკური მასალაც რომ იყოს გამოყენებული სალიტერატურო ქართულისთვის, მაშინ ეს სალიტერატურო ქართული უფრო მოგებული დარჩებოდა.

არავინ უნდა შეშინდეს ქალაქური ენის სიჭრელით. უხსოვარ დროთაგან მიღებულ ლექსიკურ მასალას ვერ შეუძლიან დაამახინჯოს ენა, რომლის სილამაზეც ჩვენ უნდა ვეძებოთ მის საერთო აგებულებაში, მის საერთო ბუნებაში, მის საერთო სინტაქსში.

მაგონდება ალ. სარაჯიშვილის პატარა, მოხდენილი წერილი:

„წმინდა ქართული“

(ფილოლოგიური ტრაქტატი ვინ არ ჩივის ეხლა ქართული ენის ნახდენას!

ნავიდა, აღარ ისმის წმინდა ქართული, ტკბილი ქართული...

ვისი ბრალია? ემდურთან მეტადრე ჩვენს მწერლებს. ყველაზე მეტად მაგათ გარყვნეს ენაო.

დიახ, სამართლიანი საყვედურია, რადგან ქართველი მწერლისათვის ქართულის ცოდნა სავალდებულო როდია. მაგრამ ენის ნახდენაში, მწერლების გარდა, დიდი ბრალი აქვს ჩვენს ვაჭრებსაც, რომელთაც რუსული სიტყვების ხმარება განათლება ჰკონიათ.

ამას წინათ ერთმა ვაჭარმა ასეთი ამბავი მიაგო:

„ერთს მანუფაქტურის მალაზიაში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩკები იკითხა.

— რა საროჩკები გნებავთო, ჰკითხა კუპენმა, პალატინანი თუ მოლკოვი?

— მე ნეყნად გაზრდილი არა ვარ, სიტყვებედაც სალასანი ვარო.

ჩამოილო პრიკაშიკმა პოლკიდან ერთი პაჩკა საროჩკა და დაუნყო პრილავეკაზედ.

პრისტავმა გადაარჩია ოთხი საროჩკა სხვა-და-სხვა ფერისა: ლილოვი, გალუბოვი, კარიჩნივი და სირენივი. ბუმბაგაში გაახვევინა და ჩაიღო ვემჩებით გატენილს საკვოიაჟში.

— სხვა ხომ არა გნებავთ-რა? ჰკითხა კუპენმა: ნოვომოდნი საიუბკე შერსტანოი მატერიები მაქვს, სუკნო, ლიონსკი ბარხატი, ფაი, ბადუშკის საპირე, ბურსო, ნაირ-ნაირი მოლკოვი მატერიები...

— არა, რაც მინდოდა, სხვისგან ვიყიდეო, — უპასუხა პრისტავმა, — საროჩკებში რა უნდა მოგცე?

კუპენმა ჩოთკში ჩააგლო: თითოში — დვა რუბლი ტრიცეთ, სუმა დევით რუბლეი დვაცათ კაპიკს იზამს.

იკრა პრისტავმა კარმანზედ ხელი და... გროშო-კაპიკი არ გამოაჩნდა, პორტმანი შინ დავინყებოდა.

— უკაცრავად, ნალიჩნი თან არა მქონია და ჩემზედ იყოსო.

— თქვენისთანა პაკუპატელს, კრედიტში კი არა, დარომაც რომ ინებოს, უვაჟენიას ვუზამთო, უთხრა კუპენმა“.

ძალიან მეწყინა, ნაციონალისტს, ასეთი შებლაღვა ქართულის ენისა. დამამახსოვრდა ეს უშნო ნაამბობი და სიტყვა-სიტყვით ჩავინერე.

ჯავრი მომდიოდა: ნუ თუ რუსთველის ენა ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ ერთი უბრალო ამბის თქმა ვერ მოგვიხერხებია, თუ რუსული სიტყვები არ ჩავფურთეთ?

ავილე იმ ვაჭრის ნაამბობი გადმოვაქართულე და რაც რუსულის მაგიერ ქართული სიტყვა ვიხმარე, იმას ხაზი გაუუსვი.

აი, რა გამოვიდა:

ერთს ფარჩეულობის დუქანში შევიდა ჩვენი ბოქაული და პერანგები იკითხა.

— რა პერანგები გნებავთ? ჰკითხა ვაჭარმა — ტილოსი თუ აბრეშუმისა?

— მე აზიზად არა ვარ გაზრდილი, ჩითისას ვიყაბულებ.

ჩამოილო ნოქარმა ყაფაზიდან ერთი დასტა პერანგი და დაუნყო დაზგაზედ.

ბოქაულმა გადაარჩია ოთხი პე-



რანგი სხვა-და-სხვა ფერისა: სოსანი, ლაყვარდი, მისაკისა და იასამნის ფერისა. ქალაქში გაახვევინა და ჩაიდო ბარგით გატენილს ხურჯინში.

— სხვა ხომ არა გნებავთ-რა? ჰკითხა დახლიდარმა, ახლად შემოღებული საკაბე შალეები მაქვს; მაუდი, ხავერდი, დირაია, ბალიშის საპირე, ყანაოზი, ნაირნაირი ფარჩები...

— არა, რაც მინდოდა, სხვისგან ვიყიდე, — უპასუხა ბოქაულმა. — პერანგებში რა უნდა მოგცე?

ვაჭარმაც იანგარიშა: თითოში ორი მანეთი და ექვსი შაური, ჯამი ცხრა მანეთსა და ერთ აბაზს იზამს.

იკრა ბოქაულმა ჯიბეზედ ხელი და ფული არ გამოაჩნდა, შინ დავინწყებოდა.

— უკაცრავად ნაღდი თან არა მქონია და ჩემზედ იყოსო.

— თქვენისთანა მუშტარს, ნისიად კი არა მუქთადაც რომ ინებოს, ხათრს ვუზამთო, მიუგო სოვდაგარმა.

ეს ხომ წმინდა ქართულია, ვთქვი ჩემს გულში... მაგრამ ვაი შენს მტერს, მე რომ მომივიდა; როცა ხაზ-გასმული სიტყვები გადავავალიერე: სულ თათრული, სპარსული, არაბული, სომხური და ლათინური გამოდგა!

მამ რისლა წმინდა ქართული ყოფილა ჩემი გადმოქართულებული?

თურმე წმინდა ქართული არცა გვაქვს და არცა გვქონია!

დაე, გაიხაროს ჩვენმა მტერმა, რომელსაც ჰგონია, ვითომც ენის სინდნე თავისებური სიტყვებია და არა თავისებური სინტაქსი“.

კინტო და ყარაჩოლელი

ხშირად კინტოსა და ყარაჩოლელს ერთმანეთში ურევენ. ჩვენ, ძველი თბილისის სინიდისის შენარჩუნებისათვის, ამ ორ ტიპს განვაცალკევებთ.

კინტო და ყარაჩოლელი სხვადასხვა ჯურის ხალხია.

კინტო უკანასკნელი დროის მცხოვრებია, — გაქსუებული, დაღლა-რა, თახსირი; ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოლელების გადაგვარებული მიდგომაა.

ყარაჩოლელი დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი, რაინდი.

კინტო თვალთმანკიერია და გულხენეში; კინტო ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომელშიაც ვაჟკაცური ელემენტი ძალიან ნაკლებადაა.

ყარაჩოლელი გარეგნულად წარმოსადეგი პიროვნებაა, მხარბეჭიანი, ბრგე და პირბუდალი.

ყარაჩოლელი და კინტო თვით ჩაცმულობითაც განსხვავდებიან:

ყარაჩოლელი ანუ ყარაჩოხელი ნიშნავს შავ-ჩოხიანს. მამასადამე, ყარაჩოლელს აცვია, — ნება მიბოძეთ, მათი გარდერობი გაგაცნოთ, — შავი შალის ჩოხა, გრძელკალთებიანი, მოკლე ნაოჭიანი და ორ ჩაქიანი. ჩოხის ნაპირებზედ მოვლებულია ბუზმენტის ბრტყელი ჩაფარიში, შიგნიდან აცვიანთ ნითელი აბრეშუმის დოშლოულაკეთებული და გულამოჭრილი პერანგი, ზედ — შავი ატლასის ან სატინის წვრილნაოჭიანი ახალუხი. მათი განიერი შარვალი, განსაკუთრებით ქობაჩი შავი შალისაგან იკერებოდა, თავებში აბრეშუმის ფოჩებიანი ხონჯარი ჰქონდა გაყრილი. ამ შარვლის ფართე ტოტები შიგნიდანა ჰქონდათ ჩამაგრებული საცვეთების ჩარჩუბალებში. საშინაოდ იცვამდნენ ქოშებს, საგარეოდ ხმარობდნენ ყაფალიან ნალებს. მათი სამკაული იყო ვერცხლის გობაკებიანი ქამარი, ქამარში მწვანე ბაღდადი, „გალიბანდის“ ქუდი, ნელში — ვერცხლის ჩიბუხი და ჩიბუხისთვის — ქისა ნეკოთი.

კინტო ნიშნავს კინნით, კისრით ჩაბახის მზიდველს (კვინტი ძველებურად კუდიანებსაც ნიშნავდა). კინტოს აცვია ჩითის პერანგი, წინწკალშეყრილი და მაღალსაყელიანი, რომელსაც შესაკერელი გვერდზე აქვს, მარცხენა მხრით; საყელოზე ოთხი ღილი აკერია, მაგრამ საკინძე ყოველთვის ჩამოხსნილი აქვს. აცვია შავი ნაშურის ახალუხი (რომელსაც იშვიათად ხმარობენ), ლასტიკის განიერი შარვალი, რომლის ტოტებს ხშირად ფარფარი გააქვს; თავზე — ქუჩის ქუდი, ან „კიზიროკიანი შლიაპა“, ფეხზე — უქუსლო ჩუსტები (საგარეოდ — გარმონისებური ეგრეთ ნოდებული „დანყობილი ჩექმები“), გულზე — საათი ძენკვით, ნელზე — აბრეშუმის სარტყელი ან ვერცხლის ვინრო ქამარი, ქამარში — უბრალო ხელსახოცი; ჩოხას სულ არა ხმარობენ.

ყარაჩოლელის ხმა ტკბილია და შთამბეჭდავი;

კინტოს ხმა — ხრინწმოკიდებული და ხმელი.

ყარაჩოლელის მიხვრა-მოხვრა მტკიცეა;

კინტოსი — ოკრობოკრო.

ყარაჩოლელი — თვით ჰქმნის სიტყვის შედეგებს;

კინტო — ამ სიტყვებსაც ამახინჯებს.

ყარაჩოლელი მღეროდა:

„გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,

მიზეზისა გამო სხვისა-და-სხვისა!“
კინტო მღერის:

„არლანიჩკო, დაუკარ, ფაიტონჩიკ, გარეკე!“

ყარაჩოლელი შეფრფვინვით შეჰლაღებებს თავის სატრფოს:

„შენ არზრუმის ცისკარი ხარ, გულნარა,

მანათობლად აღმომხდარი, გულნარა“.

კინტო თავის ოჯახსაც არ ინდობს:

„ჩემი ცოლი ანანა ხან მწყალობს და ხან არა!“

ყარაჩოლელის მუსიკა დუდუკია; კინტოსი — არლანი.

ყარაჩოლელის რეპერტუარი:
1. „ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელ მოდის მაღლა ციდანა, დაბეჭდილი წიგნი მომდის საყვარლისგანა“.

2. „ახ, მთვარე, მთვარე, დამწვართ იმედო!“

და სხვ.

კინტო ამ სიმღერებს ასე ასრულებს:

1. „Кусок-кусок облак идет свисок небеса“,

Запечатан писмо несет от лубовница“.

2. „Ах, луна, луна, жаренных надежда...“

და სხვ.

ყარაჩოლელების სასმისი იყო ჩინური ჯამი, თიხის ფილა, აზარფემა და ვერცხლით შეჭედილი ხის კულა.

კინტომ არც კი იცის ამ ჭურჭლის სახელები; იგი უარჰყოფს ქამრიან ჭიქებსაც კი და უცხოელ ბოჭემისტების მიბაძვით ღვინოს ქალის ტუფლიდანა სვამს:

„დე, ჩაჭყაპე ღვინოს, კახურს, მაგ თეთრ ტუფლით სვამდეს, სცლიდეს;“

მას ეშხისგან ტვინი უხურს, — ანუშკაჯან, არ შეგცივდეს!“

კინტო ნამარდია;

ყარაჩოლელი — ჯომარდი.

მათი ალებ-მიცემობის დიალოგიც კი სხვანაირია.

კინტო თავის მუშტარს ათასგვარ უდიერ და უასაკო სიტყვას ეუბნება (მაგალითები ნუ გვინდა!)...

ყარაჩოლელის სიტყვა-პასუხი კი ამ შემთხვევაშიაც ჭკუის სალესავია. მაგ., ყარაჩოლელთან მიდის დედა, რომელსაც თან ლამაზი ქალიშვილიც ახლავს, რილაცის ყიდვა უნდა:

— რა ღირს, შვილო, ეს საქონელი?
— რვა აბაზი.



- ექვს აბაზად არ შეიძლება?
- ეგ ქალი შენი რა არის, დედი?
- შვილია, შვილო!
- შეიძლება!

აი, ამ სინამდვილიდან აღებულ პატარა ფაქტიდანაც ნათლად სჩანს, თუ როგორი ეშხის და მარიფათის ადამიანი იყო ძველი თბილისის ძველი ყარაჩოღელი.

კინტოს მოსწრებული სიტყვა გაცვეთილი ფრაზაა, ათასჯერ ნათქვამი, შაბლონური, ყოველთვის ორჭოფული, მშობარა და შიმშველი.

ყარაჩოღელის სიტყვა კი თამამია და გულუბრყვილო. ერთადერთი, რაც გამოჰყავთ კინტოებს ყარაჩოღელებისაგან — მიმიკური ირონიაა.

ძველად ყარაჩოღელებს ჩვეულებათ ჰქონდათ, წამწამს გამოიძრობდნენ და ქვაზე დანაყავდნენ, ნიშნად მუდმივი ძმობისა;

კინტო კი ასე ხოტონიკობს: მეგობარი რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ეყოლებოდა!

ყარაჩოღელს მობეზრდა ყავახანები, „ტრახტირები“, მასაც უნდა „ზევით-ზევით“ ავიდეს:

„დალოცვილო!

როგორ თუ რა მაჯავრებს, გული მტკივა, მინდა გაგიზიარო; რათა, ძმაო, ერთი მითხარ,

რისათვის —

მე — ტრახტირში,

შენ — თეატრში იარო!“

კინტო კი თავის პარტნიორს ასე ეუბნება:

„ჯონივანქში მატურები რომ არი, იქ ამოდი, ვითამაშოთ ყომარი“.

ყარაჩოღელი ხშირად თვით იგონებს ათასგვარ გასართობს, რომელიც მერე ადათებში გადადის.

კინტო კი სპობს ამ ადათებს. მისი გასართობია: ყომარი, ბილნსიტყვაობა, სოდომ-გომორის ცოდვა და ის ხელმრუშობა, რომელზედაც შოთამ ისიტყვა:

„მას ერთსა მიჯნურობასა

ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან, ენა დაშვრების მსმენლისა,

ყურნიცა დავალდებიან, ვთქვენ ხელობანი ქვენანი,

რომელნი ხორცთა ხვდებიან, მართ მასვე ჰბაძვენ თუ ოდეს

არ სიძვენ შორით ბნდებიან“.

რა პირობები უწყობდა ხელს ამ ნოდებათა წარმოშობას?

ყარაჩოღელი ძველი თბილისის ძველი თაობაა. ყარაჩოღელი იმდროინდელი მოქალაქეა, როცა „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით: „ქალაქი ტფილისი ჯერეთ არა სრულიად

შემოყვანებულიყო უღელსა ქვეშე მორჩილებისასა“. ყარაჩოღელი სინთეზია ქართულ-სპარსული ურთიერთობისა და საზოგადოდ აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონალობისა.

კინტო კი შექმნილია შერეულ ბაზრის ნიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. იგი ნაღეკია ყარაჩოღელთა ოჯახისა, გაზრდილი ქუჩებსა და სამორინეში. კინტო, როგორც ცუღლეუტი, მცირე უნარის და მცირე მოთხოვნილების პატრონი, კმაყოფილდება ორგროშიანი მოგებით, რომელსაც დიდხანს ჯიბეში არც კი იჩერებს: ან იმდღესვე ფლანგავს მიკიტნის დახლთან, ან ყომარბაზებში აგებს.

როგორც რუსეთში იყო „Босая“-ი, ეს ლოთი მნიგნობარი, პარიზში თავისებური ტიპი „Apache“-ი, ესეც ჩვენმა თბილისმა, მხოლოდ თბილისმა, წარმოშვა ეს ბედალი, თავნება, „პაჟარი“, ლევანდი და დაუდევარი ტიპი, რომელსაც იმათთან შედარებით მაინცადამინც დიდი სიბოროტის ჩადენა არ შეუძლიან.

* * *

ტოლსტოი, თბილისში ყოფნის დროს, სწერდა თავის მეგობარს: „თბილისს ემჩნევა ცივილიზაცია, თბილისი ჰბაძავს პეტერბურგს“.

მართლაც, თბილისში ნელინელ იჭრებოდა ცივილიზაცია, თბილისი ევროპიელდებოდა. იცვლებოდა თბილისი და ამასთანავე, რასაკვირველია, ისპობოდა და ითქვიფებოდა ყარაჩოღელთა ჯილაგიც.

აი, რას სწერდა ილია იმ დროინდელ „გადაგვარებულ ტფილისზე“: „ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქოს ჩვენები აბარგულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულანო; გული გულს აღარ

ეკარება და სურვილი სურვილსა. ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც კი ველარსად დაგვინახავს, თითქოს ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო“.

ამას აღნიშნავენ უცხოელი მოგზაურებიც.

თეოფილ დეიროლი ამბობს: აღმოსავლეთში ადათებთან ერთად, ტანისამოსიც ცვლილებას განიცდისო.

ან კიდევ:

„ქართველი ხალხი თანდათანობით ებმებოდა ევროპიულ საზოგადოებაში, მიუხედავად თავისი ქართული ტანისამოსისა, რომელსაც უფრო ბალებში ატარებდნენ“.

მაგრამ ამის დანახვა და აღნიშვნა ქართველი პოეტისთვის უფრო საგრძნობი იყო. აი, მეორე ქართველი პოეტი გრ. ორბელიანი როგორ უჩივის ქართული ტანისამოსის გადავარდნას: „მოვიდა გამოჩენილი ევროპაში მხატვარი ზიჩი, რომელსაც ჰსურდა დაეხატა კარტინისათვის, Демон ქართველი კაცი და ქალი ძველებურის ტანისამოსით, და ვერავინ ვიპოვეთ! ღმერთმა უშველოს ტასო ოგლობიჟიოს, ამან მიჰსცა თავის საქონილო ტანისამოსი ყამჩითა, ჯილითა, ქინძისთავებითა და ძველებურის ნივთებითა და ამით დიდათ გაახარა ზიჩი, — ასე განათლდა, ასე ნახდა საქართველო, რომ თავისი აღარა უნდათ-რა და დიდათ ჰრცხვენინანთ ქართულად ჩაცმა! ოჰ, ოჰ, კნიაზო ნიკო, დიდათ სამწუხაროა!“.

თუ ეს ორი ქართველი პოეტი ასე ჰგოდებდა თბილისის ფერისცვალებაზე და სწუხდა ქართული გარდერობის გაევროპიელებისათვის, — მესამე პოეტი, რაფ. ერისთავი, პირდაპირ ილაშქრებს კინტოების — ამ ახალი მოქალაქეების — წინააღმდეგ:

„დახე, ჩვენი ქალაქი რარიგად გამოცვლილა, ვერავის ვსცნობ, არც მცნობენ, კინტოებით გავსილა, ეს კი ვნახე მე თვითონ, აბა რა სათქმელია, ძველს ქალაქში ტალახი, ისევ ძველისძველია... ჩვენი დედაქალაქი რარიგად გამოცვლილა, და გრიქულა დალაქიც — მეპარიკე შექმნილა. თაღლითანთ გეუა, ჩალხანებს რომ ჰკალავდა, დაღეს კალასკაში იჯდა, თავს აღარ იმაღავდა... ხალხი მიდის და მოდის, სულ ბუზივით ირევა, იმათ ცქერით კაცი ჭკვიდამ გადაირევა... ქალებს დასთრევეს კულები თითო გუთნის გაშლაზედ, წინ ჯიბე, უკან ჯიბე, კიდევ ჯიბე ბაშლაყზედ... ქუჩებში აღარ ისმის ძველებური სიმღერა, ნეტავ, ეს რაღამ მოსპო? რა ცოდვილმა გვიმტერა? დახე, ჩვენი ქალაქი რარიგად გამოცვლილა, ვერავის ვსცნობ, არც მცნობენ, კინტოებით გავსილა“.



ვერიკო ანჯაფარიძე

„თეატრი უფსკრულია, ხან ზევით აგტყორცნის, ხან ძირს დაგანარცხებს, მაგრამ თუ სიყვარულია თქვენი დამაკავშირებელი, ვეღარსად წაუხვალ ამ უფსკრულს. იცით, რას ამბობდა მარჯანიშვილი? რა არის ის, ასე რომ მიაჯაჭვებს ხოლმე თეატრს მასთან სულით მიახლოებულ ყველა ადამიანს? ვფიქრობ — ადამიანის სურვილი, საკუთარი სამყარო სხვის სულში ამოიციოს და გადახსნას. გამოგიტყდებით, რომ გარდა გამოცდილებისა, ოსტატობისა, თეატრისადმი სიყვარულისა, უკანასკნელ წლებში ჩემში აღმოცენდა კიდევ რალაცნაირი ჩემი სიმართლე... არ ვიცი, როგორ გამოვხატო ეს სიტყვით... ვერიკო ანჯაფარიძე“.

ვერიკო ქუთაისის ნოტარიუსის, ივლიანე ანჯაფარიძისა და მარიამ მესხის ოჯახში დაიბადა. ანჯაფარიძეები იმ დროს თეთრი ხიდის მახლობლად ცხოვრობდნენ, ლევანოვის (ამჟამად 26 მაისის) ქუჩის მეოთხე სახლში. ამ ორსართულიან მშენებელ სახლს მაშინ ლამაზი ეზოც ჰქონია ხეხილითა და ყვავილებით სავსე. დრო რომ მოვიდა, ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში მიიბარეს. ეს შენობა დღესაც არსებობს.

საუკუნის დასაწყისში ქუთაისი მაღალი კულტურის კერა იყო. იმ დროს ქართულ თეატრზე და მის მესვეურებზე იმდენს ლაპარაკობდნენ ივლიანე ანჯაფარიძის ოჯახში, რომ თავისი დაბადების ათის წლის აღსანიშნავ საზეიმო თარიღთან დაკავშირებით პატარა ვერიკომ საჩუქრად თეატრში წაყვანა ითხოვა. იმ საღამოს პირველად ნახა ალ. იმედაშვილი ოტელოს როლში. ეს შთაბეჭდილება მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განელეზბა. სამოცდაათი წლის შემდეგაც კი ასე გაიხსენებს ქუთაისისა და იმ დღეს: „ჩემი უსაყვარლესი ქალაქია ქუთაისი — აქ დავიბადე, აქ ვსწავლობდი... აქ მივიღე პირველი საკვირველი შთაბეჭდილება თეატრში — ეს იყო ოტელო ალექსანდრე იმედაშვილის შესრულებით. ამან გადამწყვიტა ჩემი მომავალი, სამუდამოდ დამაკავშირა თეატრს“.

თეატრით ბავშვის გატაცება ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. მაგრამ გიმნაზიის მოსწავლის სპექტაკლებზე ისე ხშირად ტარება, როგორც მას უნდოდა, ნებადართული არ იყო. გამოსავალს მამამ მიაგნო: ბავშვებისათვის განკუთვნილი ოთახის გვერდით დიდ ოთახში ააშენეს სცენა, ჩამოკიდეს ფარდა, შექმნეს პარტერი, განათებაც მოაწესრიგეს.

ყველაფერი ისე იყო, როგორც ნამდვილ თეატრში. ამ თეატრში ბავშვები თამაშობდნენ, ვერიკოს მეგობრები. თვითონ რატომღაც მამაკაცის როლებს ირჩევდა. თავის დადგმულ დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში“ დარისპანის როლი თვითონ ითამაშა. ვერიკოს თეატრმა ერთს წელს იარსება — არც ისე ადვილი აღმოჩნდა თეატრის ხელმძღვანელობა.

ქუთაისი თეატრალური ქალაქი იყო. რევოლუციურმა სულისკვეთებამ თეატრშიც შეაღწია და აქტიურ მონაწილედ აქცია. ისეთი სპექტაკლების შემდეგ, როგორც მონტის „კაიგრაქი“, ჰაუმპტმანის „ფიქრები“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და შილერის „ყაჩაღებია“, გამუდმებით იმართებოდა მაყურებელთა დემონსტრაციები. ხოლო, როდესაც ქუთაისის ქუჩებში ბარიკადები აღიმართა, ამბოხებულთა შორის გამოჩენილი ქართველი მსახიობებიც იყვნენ. არსებობს დოკუმენტი, რომელიც ნათლად აღწერს იმ სიტუაციას: ეს გახლავთ ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენება, დანერგილი 1905 წლის 27 აგვისტოს:

„25 ავგუსტა ვ კუთაისსკომ გოროდსკომ თეატრე, ვო ვრემია პრედსტავლენია ტრუპში გრუზინსკის არტისტოვ, ვო ვტორემ აკტე სო სცენი არტისტ ალექსეევ - მესხიევ პრიზნეს ნა გრუზინსკომ იაკუბე რეჩ, ვ კოტორი პრიზვივალ ნაროდ კ ბორბნე ს პრავიტელსტვომ. ვ ზაკლუჩენიე რეჩი პრიზნეს პიატ რაზ „ბრძოლა ზრისა“.

После Алексеева-Месхиева говорил речь антиправительственного характера неизвестный, пока не выясненный оратор.

По окончании акта хором любии-




იტალიაში, 1946 წ.

телей артистов, под руководством К. Поцхверашвили была троекратно исполнена Марсельеза, а затем, по окончании спектакля и выхода публики из театра, находившиеся в оном разделились на несколько групп и направились по разным направлениям города с громким пением Марсельезы и других революционных песен. Донося о вышеизложенном вашему превосходительству, присовокупляю, что об том возбуждено мною донесение“.

ქუთაისი მაშინ ქართველი პოეტების ქალაქიც იყო. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ პაოლო იაშვილი, გალაკტიონი, ტიცვიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე ცხოვრების განცდათა მოდერნისტული სტილით... მოგვიანებით ვერიკო გაიხსენებს, რომ მეხუთე კლასის მოსწავლე იყო, როდესაც შალვა ამირეჯიბის წყალობით დაუახლოვდა ცისფერყანწელებს — თუ როგორ კითხულობდნენ ლექსებს რიონზე, თეთრ ხიდზე, გელათში, როგორ კამათობდნენ. იყო შეჯიბრი ექსპრომტებში...

დამათავრა თუ არა შვიდი კლასი, ვერიკო მოსკოვში გაემგზავრა სასწავლებლად. ეს იყო 1916 წელი. ჩასვლისთანავე მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობ ს. აიდაროვის სკოლაში ჩაირიცხა. დღისით მეცადინეობდა, საღამოები კი ხელოვნებასა და ლიტერატურას ეთმობოდა. ლიტერატურულ საღამოებზე კითხულობდნენ: ა. ბლოკს, ა. ბელის, ე. ვერ-

ჰარნს... ესტრადაზე გამოდიოდნენ მაიაკოვსკი, ხლებნიკოვი, ბალმონტი, რომელიც იმხანად „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა. ვერიკოს პირველი სიტყვაც ქართველთა სათვისტომოს მორიგ ტრადიციულ შეკრება-სალამოზე გაისმა. იმ სალამოს შესახებ თავის დროზეც გამოქვეყნებულა ცნობა გაზეთ „სამშობლოს“ 1916 წლის 5 ოქტომბრის ნომერში ვინმე „ლადიკოს“ ხელმოწერით „...პირველობას ამ სალამოს კითხვათა შორის ვ. ანჯაფარიძის ქალს ვერავინ დაუშურავს. ამ ცქრიალა, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას ზედვე ეტყობა ნიჭი მომავალი დეკლამატორისა. ლექსი „ვეტერ“, რომელიც მან ამ სალამოს წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას, მშვენიერი იყო, დიახ, მასში შეიძლება შემუშავდეს ეროვნული სცენის მსახიობი“.



ლადო გუდიაშვილთან ერთად

ოქტომბრის რევოლუციას მოსკოვში შეხვდა. მაშინ 20 წლის იყო. „...1917 წელმა მოსკოვში მომისწრო... 1918 წლის გაზაფხულზე საქართველოში დავბრუნდი. ქალაქი სავსე იყო შოტლანდიელი და ინგლისელი ჯარისკაცებით, თეთრგვარდიელებით. ისინი თავს მასპინძლად გრძნობდნენ. გონებაში ჩამრჩა ერთი ეპიზოდი: თეატრში მიდიოდა კომედია „რაც გინახავს ვედარ ნახავ“, რათა „მოკავშირეები“ გაგვერთო. ჯარისკაცები სკამებზე გაშოტილიყვნენ, ფეხები სავარძლების ზურგებზე ეწყობდა და სცენაზე ისროდნენ შოკოლადის ცარიელ ყუთებს. კომედია იქცა დრამად“.

სწორედ იმ წელს, როდესაც ვერიკო ანჯაფარიძე რუსეთიდან შინ დაბრუნდა, საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი რეჟისორისა და თეატრალური მოღვაწის ანდრეი ანტუანის მოწაფე გიორგი ჯაბადარი, შვილი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ჟურნალ „მაცნეს“ გამომცემელ ალექსანდრე ჯაბადარისა. მან განათლება პარიზში მიიღო, და კარგა ხანს იმუშავა რეჟისორად ანტუანთან. მსგავსად მასწავლებლისა, ისიც მხურვალე პატივისცემული იყო ემილ ზოლას ესთეტიკური პრინციპების. საქართველოში ის დროებით ჩამოვიდა, რათა, მისივე სიტყვებით, „ის კაცთა უღელტის ხანა“ კახეთში გაეტარებინა და ისევ უკან დაბრუნებულიყო. მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, დრამატულმა საზოგადოებამ ქართული თეატრალური სტუდიის დამაარსებლად

და ხელმძღვანელად მიიწვია. ჯაბადარმა მიიღო წინადადება. მან ბრძოლა გამოუცხადა პრემიერომანიას და სურდა, დაემკვიდრებინა ანსამბლური სპექტაკლების თეატრი. ამავე აზრის იყვნენ იმ დროის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. სწორედ იმ წლებში წერდა გრიგოლ რობაქიძე: „თეატრი არის კრებითი მოქმედება... თანამედროვე თეატრი უნდა იყოს მომცემი დასრულებული და მთლიანი მონუმენტალური ხაზებისა. აქ არ შეიძლება ბატონობა ნაწილის, ცნობილია მისი სინთეზი. რეჟისორი არის მქმნელი მთლიანობის“.

1918 წლის 24 მარტს ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ საგანგებო წერილით მიმართა ახალგაზრდობას: „ქართული დრამატული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18-30 წ.), გამოცხადდნენ ჩასანერად სრულიად ახალი დასის შესადგენად. ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ დააარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობები გამართვენ წარმოდგენას ჯერ თბილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენებას და, ვისაც სასიძღვრო ხმა აღმოაჩნდება, იმღერებს. თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავ-

ლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს“.

გაეცნო რა ძირითად ადგილობრივ თეატრალურ ძალებს, გ. ჯაბადარმა თავი მოუყარა როგორც ქართული საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილ მსახიობებს (გიორგი არაძე-ლი-იმხნელი, მიხეილ გელოვანი, მიხეილ ჭიაურელი, ცაცა ამირეჯიბი, ალისა ქიქოძე, ბაბო გამრეკელი), ისევე სრულიად უცნობ ახალგაზრდებს (ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ლამბაშიძე, აკაკი ვასაძე, დიმიტრი მჟავია, მიხეილ ლორთქიფანიძე და სხვ.). სულ სამოცამდე კაცს. ბინა დაიდეს ფრეილინის, ახლა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქუჩაზე.

1918 წლის 18 ნოემბერს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე შედგა სტუდიის პირველი სპექტაკლი — ეჟენ ბრიეს „სარწმუნოება“. ვერიკო ანჯაფარიძე სცენაზე პირველი გამოჩენისთანავე აღიარეს. სტუდიამ მხოლოდ 2 წელი იარსება. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვერიკოს თამაშის განსაკუთრებული უპრეცედენტო სტილი, რომელსაც წინაპარი არ ჰყოლია. წარმოთქმის ეს თავისებურება ვერიკოსთან ერთად სცენაზე დაიბადა და სცენისთვის. ცხოვრებაში ის ასე არ ლაპარაკობდა არასდროს. მხოლოდ სცენაზე ანიჭებდა იგი სათქმელ სიტყვას განსაკუთრებულ მუსიკალობას. პირველივე სპექტაკლში წარმოჩენილი ვერიკოს სცენური სიტყვის თავისებურება მთელი მისი შემოქმედების თანამგზავრი გახდა, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვალებადობით.



1919 წლის ზაფხულში ვერიკოს პირადი ცხოვრება შეიცვალა. იგი გახდა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ეროვნულ-დემოკრატიის, პოეტისა და ჟურნალისტის შალვა ამირეჯობის მეუღლე. მათ ჯვარი დაინერეს ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე პატარა ეკლესიაში. გერონტი ქიქოძის ცნობით (შ. ამირეჯობი მისი ცოლის ძმა იყო), საქორწინო სუფრა ყიფიანების ულამაზეს ეზოში გაშლილა. ისიც ცნობილია, რომ ეკლესიიდან გამოსულ პატარაძალს გული შეუღონდა. ყველამ თავისებურად ახსნა ეს უჩვეულო მოვლენა. მხოლოდ პატარაძალმა და მისმა უახლოესმა მეგობრებმა იცოდნენ ნამდვილი მიზეზი.

ნამდვილად ბედნიერი იმ დღეს იყო მხოლოდ შალვა ამირეჯობი, რომელსაც ძალიან უყვარდა ვერიკო მთელი სიცოცხლე, უცხოეთში გადახვეწილსაც კი. ვერიკო ვერ პასუხობდა ამ გრძნობას. უდიდეს პატივს სცემდა, ალტაცებული იყო მისი პიროვნებით, მაგრამ არ უყვარდა. უყვარდა სხვა, უკვე ცოლშვილიანი მიხეილ ჭიაურელი, ვინც სცენაზედაც პირველი შეიყვარა „სარწმუნოებაში“.

მაშინ რატომ გაჰყვა ამირეჯობს? ამაზე გაურბოდა ლაპარაკს, თავისთვის ვერ ეპატიებინა. შიგადაშიგ ძუნწად წამოსროლილი სიტყვებიდან ირკვეოდა, რომ მისმა მამამ სიკვდილის წინ უთხრა — ამ ქვეყნიდან მშვიდად წავალ, თუ შენი პატრონი შალვა ამირეჯობი იქნებაო. იქნება ამას ისიც ემატებოდა, რომ ეგონა — სხვისი მეუღლე თუ გავხდები, ეგებ ჩავიხშო ეს გაუმხელელი მწვანელებელი სიყვარული. შეცდომა იყო ამის ფიქრი ისეთი უკომპრომისო და დაუმორჩილებელი ადამიანისთვის, როგორიც ვერიკო იყო. ისინი დაშორდნენ. სულიერი საზრდოც შემოაკლდა — სტუდიის გაუქმდა, ქართული თეატრი კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

შემდეგ ის შეხვდა სანდრო ახმეტელს. 1920 წლის 1 სექტემბერს შედგა სანდრო შანშიაშვილის პიესის „ბერდო ზმანისა“ რეპეტიცია, პრემიერა — იმავე წლის 9 დეკემბერს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, 2 მარტს კი შეიქმნა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ვალერიან გუნია. პროფკავშირმა დაიწყო ზრუნვა მსახიობთა შრომით მოწყობაზე.

„კომუნისტში“ (1921 წ. 12 მარტი) გამოქვეყნდა მოწოდება: „ვიღებთ რამდენიმე მსახიობთა უმწიფრეს მდგომარეობას უმუშევრად დარჩენის გამო და ვითვალისწინებთ რა, რომ თქვენ მეტად საჭირო ხართ თავისუფალი საქართველოს ხელოვნების ასაყვავებლად, „რაბისის“ საინსტრუქტორო ინფორმაციული განყოფილება ადგენს კოლექტივებს, რომლებშიც შევლენ დრამის უმუშევარი მსახიობები“.

15 მარტს განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდა ხელოვნების განყოფილება. 20 მარტს მის გამგედ დაინიშნა შალვა დადიანი; 29 მარტს გამოვიდა მთავრობის დადგენილება ჯარში განვეულ მსახიობთა თეატრში დაბრუნების შესახებ და კულტურის მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ; 1 მაისს — დადგენილება საქართველოს თეატრების ნაციონალიზაციის შესახებ. შეიქმნა თეატრების კომისარის თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა იუზა ზარდალიშვილი. **1921 წლის 25 ნოემბერს ქართული დრამის თეატრს რუსთაველის სახელი მიენიჭა.**

როგორი იყო ეს დასი? იმ დროის არაერთი ხელოვანის მოგონებიდან ვიცით, რომ ეს იყო ორგანიზაციულად დაშლილი, მხატვრული თვალსაზრისით დრომოჭმული, ძველსტანდარტებსა და შტამპებზე დაფუძნებული თეატრის დასი.

1922 წელს კოტე მარჯანიშვილი თბილისში ჩამოვიდა. რესპუბლიკამ დახმარება თხოვა დიდ რეჟისორს და კოტეც დაჰპირდა, რომ დადგამს ერთ სპექტაკლს, რომელიც გამოაშკარავებს როგორც მსახიობთა შემოქმედებით უნარიანობას, ისე ქართული თეატრის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობას. ეს გახლდათ — ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, რომელიც 1922 წლის 25 ნოემბერს შედგა, და მაშინვე აღიარეს პრინციპულად ახალ თეატრალურ მოვლენად.

ვერიკო ანჯაფარიძე ამ სპექტაკლში არ მონაწილეობდა. გერმანიაში იყო მეუღლესთან — მიხეილ ჭიაურელთან ერთად. ამ დროს ვერიკო თავისი ახალგაზრდობის უბედნიერეს დროდ მიიჩნევდა. სიამოვნებით იხსენებდა ქართველებს, რომლებიც იმხანად გერმანიაში სწავლობდნენ — ბიძინა რამიშვილს, ლენკო მუსხელიშვილს, ლევან ხუნდაძეს, წარმოდგენას, რომელიც ქართველი



ქანიანა.
„რაც ბინახავს, ვეღარ ნახავ“

სტუდენტებისათვის გამართეს მან და მიხეილ ჭიაურელმა; აკაკი ხოშტარიას ბინაზე ცნობილ კინოვარსკვლავებთან — ლია დე პუტისა და კონრად ვეიდთან შეხვედრას...

შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა იგი სამშობლოში.

სესილია თაყაიშვილის წერილიდან:

„ვერიკო! ახლაც მახსოვს ის დღე, პირველად რომ გნახეთ. თუ არ ვცდები, ეს იყო 1922 წელი. რუსთაველის თეატრის ფოიეში ვიდექი ამხანაგებთან ერთად, მაშინ მე სტუდიაში ვსწავლობდი, თქვენ კი უკვე მსახიობი იყავით, გამოიარეთ და რატომღაც მე მთხოვეთ პომადა, რომელიც არ მქონდა. შემოგხედეთ და გავოცდი — თქვენ გეცვათ ყვითელმწვანედ ნაქსოვი კაბა. თვალი ვერ მოგწყვიტეთ, ისე არაჩვეულებრივ მიმზიდველი იყავით“.

ასეთი მოვიდა იგი თეატრში, რათა მარჯანიშვილს შეხვედროდა. ნეტავ, ვინ არის იგი? მაგრამ ვინც უნდა იყოს, თუკი ამბობენ, რომ დიქტატორია... თავისუფლების მოყვარული მისი მეტრძოლი სული აღზევდა — დიქტატურა ეხებოდა სცენას, მამასადამე, იმას, რაც უმთავრესი იყო მის ცხოვრებაში.

თამამად შევიდა მარჯანიშვილის კაბინეტში. პაპიროსის მოცისფრო კვამლის უკან უჩვეულო სილამაზის თვალები ანათებდა. მისალმების შემდეგ კითხვით მიმართა მარჯანიშვილს:

— მიიღებთ უკან?
— თქვენზე ზღაპრებს ყვებიან, მაშასადამე ვალდებული ვარ...



ვერიკომ ირონია იგრძნო და სიტყვა არ დაამთავრებინა.

— თქვენ შესახებაც ყვებიან...

აქ უკვე მარჯანიშვილი წამოენ-
თო:

— რას ყვებიან?

— რომ თქვენ დიქტატორი ხართ, თრგუნავთ მსახიობებს...

მარჯანიშვილთან ასე ლაპარაკი გაუგონარი კადნიერება იყო.

— ახლავე გაეთრიე! — იყვირა განრისხებულმა მარჯანიშვილმა...

ისე დაშორდნენ, რომ მათი შერიგება წარმოუდგენელი იყო. მაგრამ წარმოუდგენელი მხოლოდ იმათთვის, ვინც არ იცნობდა მარჯანიშვილს. მისთვის სწორედ ამ ქარიშხალთან შეტაკებაში გამოვლინდა მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე, რომელსაც პირველად ხედავდა, თუმცა შორით ენათესავებოდნენ კიდევ ერთმანეთს.

მაღევე შერიგდნენ. ინიციატივა მარჯანიშვილს ეკუთვნოდა. კონფლიქტი მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, ამიტომ „ხანძარსაც“ უფრო ხშირად თვითონ აქრობდა ხოლმე... მარჯანიშვილი ჩემი მასწავლებელი იყო, მე უაღრესად დიდ პატივს ვცემდი მას, მაგრამ მაინც არ ვემორჩილებოდი. ის არც მოითხოვდა მორჩილებას“ (ვერიკო ანჯაფარიძე).

1924 წელს რუსთაველის თეატრში ახალგაზრდული კორპორაცია „დურუჯი“ შეიქმნა, მიზანი — იმ თეატრის პოზიციების გამაგრება, გამყარება, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ამკვიდრებდა: კორპორაციის მეთაური იყო სანდრო ახმეტელი. მანიფესტს ხელს აწერდა კორპორაციის ყველა წევრი, რა თქმა უნდა ვერიკო ანჯაფარიძეც. როგორც ყოველთვის, ის ცეცხლის ხაზზე იდგა.

1924 წლის 29 იანვარს დილით მოწვეული იყო საგანგებო სხდომა. კიდევ ერთხელ შემონმა კორპორაციის საჯარო გამოსვლის ფორმა, სალამოს კი სპექტაკლ „ინტერესთა თამაშის“ მეორე მოქმედების მსვლელობის დროს კრისპინი — ა. ვასაძე გამოვიდა ავანსცენაზე, გაშალა პერგამენტის გრძელი ეტრათი და წარმოდგენის სხვა მონაწილეებით გარშემორტყმულმა ხმამალა წაიკითხა ს. ახმეტელის, პატარაიას, ა. ვასაძისა და პლ. კორიშელის მანიფესტი.

დასრულდა თუ არა მანიფესტის კითხვა, კორპორანტები ერთ რიგად დაენწყენ და თავიანთი ჰიმნის — „ლილეოს“ სიმღერით გავიდნენ სცენიდან.



ნიდან. მათ შორის იყო ვერიკო ანჯაფარიძეც.

მაყურებელმა მოთმინებით მოისმინა ეს ყველაფერი და როდესაც მიხვდა რაც მოხდა, ატეხა ხმაური, სტვენა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პოეტი პაოლო იაშვილი ადგილიდან მიესალმა კორპორაციას „ცისფერყანწილების“ სახელით. აქ დაიწყო რაღაც ენით აუწერელი: ხმამალა გაჰყვიროდნენ ძველი თეატრის დამცველები. მათი ხმა ყველაფერს ფარავდა. არც იმან უშველა, რომ მარჯანიშვილი ჩავიდა პარტერში და სცენაზე მიიწვია სახელოვანი მსახიობები მარიამ საფაროვა-აბაშიძისა და ვასო აბაშიძე, რომლებიც იმ დღეს სპექტაკლს ესწრებოდნენ. აქვე სცენაზე, ყველას დასანახავად მარჯანიშვილი მოწინებით ემთხვია ხელზე ორივეს, რის შემდეგაც კორპორანტებმა, პირადად მათდამი პატივისცემის ნიშნად, ხელში აყვანილი დააბრუნეს ისინი პარტერში.

მეორე დღეს დაიწყო კამათი კორპორაციისა და მისი მანიფესტის გარშემო. მომხრეები ცოტა იყო. უმრავლესობა პროტესტს აცხადებდა. ამას ისიც დაემატა, რომ კორპორაციის საჯარო გამოსვლის შემდეგ უფროს მსახიობთა დიდი ჯგუფი წავიდა რუსთაველის თეატრიდან. ასე აღმოჩნდნენ ალექსანდრე იმედაშვილი და მისი თაყვანისმცემელი ვერიკო ანჯაფარიძე საპირისპირო „ბანაკებში“.

კორპორანტები დიდი ენთუზიაზ-

მით ახორციელებდნენ წესდების დებულებებს, ინვევდნენ მომხსენებლებს (ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვ.), მკაცრად იცავდნენ დისციპლინას, ირჩევდნენ განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილი სამთა საბჭოებს. ერთხელ ასეთ საბჭოში ვერიკოც იყო არჩეული.

1924 წლის 7 ოქტომბერს კორპორაციის მორიგმა მამასახლისმა მიიღო მარჯანიშვილის წერილი, რომელშიაც წერდა, რომ კორპორაციაში თავისი შემდგომი დარჩენა შეუძლებლად მიაჩნდა. მიზეზს თეატრთან არ ჰქონდა კავშირი. ეს იყო სრული მოულოდნელობა ყველასთვის. მარჯანიშვილი „დურუჯის“ სხდომებს აღარ ესწრებოდა, მაგრამ კორპორაციის საპატიო წევრი იყო და მის პრაქტიკულ საქმიანობაში იღებდა მონაწილეობას. 1924 წლის 10 დეკემბერს კორპორანტი ვერიკო ანჯაფარიძეც ტოვებს „დურუჯს“. მოგვყავს ნანყვეტი მიმართვის წერილიდან:

„...მე ვიყავი კორპორაციაში იმ დრომდე, ვიდრე ჩემში მტკიცე იყო რწმენა არა მარტო იმ იდეოლოგიისა, რომელიც შეიქმნა „დურუჯში“, არამედ მეგობრობისთვის, მართლა ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის, განა იმისთვის არ შევიყარენით, რომ შევექმნათ მჭიდრო ამხანაგობა, რომელშიც განმტკიცებული იქნება მორალი, ეთიკა, სრული ნდობა და სიყვარული ერთმანეთისადმი? თავისთავად ცხადია, ასეთ ორგანიზაციაში ამხანაგის თავმოყვარეობას

უეჭველად უნდა სცემდნენ პატივს. თქვენ ყველაფერ ამას უწოდებთ წერილმანს, ჭორებს და სხვა... ჩვენ სხვასხვანაირად ვაზროვნებთ. ვფიქრობ, რომ მოვალე ვარ, წავიდე...”

განაწყენების მიზეზი ოჯახური ხასიათის იყო: ვერიკოს უნდოდა, რომ თეატრის მსახიობად და რეჟისორად მოეწვია მისი მეუღლე მიხეილ ჭიაურელი, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო გერმანიიდან, სადაც გაგზავნილი იყო როგორც მოქანდაკე. კორპორანტთა უმრავლესობა ამის წინააღმდეგი იყო.

იგი წავიდა კორპორაციიდან, მაგრამ — არა თეატრიდან. იმავე 1925 წელს ის ითამაშებს ოფელიას მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ჰამლეტში. 1964 წელს დაწერილი ვერიკოს მოგონებებიდან:

„...ოფელია ყმაწვილკაცობაში ვითამაშე მარჯანიშვილის ბრწყინვალე წარმოდგენაში. ჭკუიდან შეშლის სცენაში მარჯანიშვილი ოფელიას მომცინარედ ხედავდა, მთლიანად სცენის ნაქარგი სიცილის ფონზე ეხატებოდა. მე კი ხმამაღლა სიცილი არ მესერებოდა. მარჯანიშვილი რომ არ გამეჩინებინა, გადავწყვიტე, როლზე მეთქვა უარი, მაგრამ მან დაბეჯითებით მოითხოვა ჩემი კანდიდატურა. მაშინ გამოვტყედი, რომ სიცილის მეშინოდა. რალაც დროით საერთოდ გადაავიწყდა ოფელიას ეს ეპიზოდი და ერთხელაც, როცა წარმოდგენის მთლიანი მონახაზი გამოიკვეთა და მარჯანიშვილიც შესანიშნავ გუნებაზე იყო, შემთავაზა სიგიჟის სცენა ისე გამეველო, როგორც მე მინდოდა. საშინლად დავიბენი, კანკალმა ამიტანა, პირველივე წუთიდან ცრემლები წამსკდა, ვცდილობდი, თავი შემეკავებინა, სახეს ხელებით ვიფარავდი... რამდენ სულიერ ძალად დამიჯდა ეს რეპეტიცია? მარჯანიშვილი აღფრთოვანებული იყო და აქვე „დააკანონა“ ამ ეპიზოდის ატმოსფერო და განწყობილება. ასე დაიბადა ჩემი ოფელია...”

„ჰამლეტმა“ დიდი წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მოულოდნელად მარჯანიშვილი ავად გახდა. მას ბრმანანღავის სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა და 1926 წლის 29 იანვარი, კორპორაციის ორი წლის საზეიმო თარიღი უიმისოდ აღინიშნა; მარჯანიშვილი გულითადი წერილით მისეალმა კორპორანტებს საავადმყოფოდან. მარტში საჭირო გახდა განმეორებითი ოპერაცია. კორპორაციამ გადანიყვიტა, მოეწყო თეატრის ორთვი-

ანი საგასტროლო მოგზაურობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარ ხარჯზე. ხელმძღვანელობა დაეკისრა სანდრო ახმეტელს, აკაკი ფალავასა და კომისიას, რომელიც დურუჯულებისაგან შედგებოდა.

დასი სიხარულით გაემგზავრა, მხოლოდ ვერიკო ანჯაფარიძე ჩავიდა ქუთაისში ოფელიას სათამაშოდ იმ დროს, როდესაც „ჰამლეტი“ იყო დანიშნული (მაშინ ის ფეხმძიმედ იყო და თავს შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ ამის შესახებ, ეტყობა, არავისთვის უთქვამს. მალე გაჩნდა რამაზი). სანდრო ახმეტელმა და გასტროლების ხელმძღვანელმა კომისიამ არ მისცეს ვერიკო ანჯაფარიძეს უფლება „ჰამლეტში“ მონაწილეობისა, ვინაიდან ის არ დაემორჩილა გადანიყვიტვას — უკლებლივ ყველა ერთად გამგზავრებულ იყო საგასტროლო მოგზაურობაში. ქუთაისშიც და საერთოდ მთელი ამ მოგზაურობის დროს ოფელიას ბაბო გამრეკელი თამაშობდა.

სანდრო ახმეტელსა და ვერიკო ანჯაფარიძეს შორის ინციდენტის საკითხი დაისვა კორპორაციის სხდომაზე ოზურგეთში, 1926 წლის 2 მაისს (ოქმი №115). მაგრამ ვილას ეცალა ამის განხილვისთვის? კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრი დატოვა. მარჯანიშვილმა ბრალი დასდო კორპორაციას ქედმაღლობაში, იმაში, რომ ისინი ანგარიშს უწევენ მხოლოდ კორპორაციის წევრებს, დასის დანარჩენ წევრებს კი უდიერად ექცევიან. არც ახსნა-განმარტებებმა, არც თხოვნამ არ გაჭრა. იგი გაემგზავრა რიონში კინოგადაღებაზე.

მარჯანიშვილის ნასვლას ვერიკოს ნასვლაც მოჰყვა. ეს გასაგებიც იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მასაც ხომ ჰქონდა უთანხმოება „დურუჯუთან“ და სანდრო ახმეტელთან, რომელიც ახლა თეატრის ხელმძღვანელიც ხდებოდა.

ვერიკო წავიდა მუშათა თეატრში, სადაც ერთი წლის განმავლობაში ითამაშა მეტი — ა. აფინოგენოვის „რობერტ — ტიმში“, ჯემა — პროკოფიევის „სისხლიან დღესასწაულში“ და სხვ.

პირველი კინოროლი 1925 წელს მან ითამაშა ვ. ბარსკის ფილმში „წარსულის საშინელებანი“. შემდეგ იმავე ბარსკისთან გადაიღო ფილმში „სიცოცხლის ფასად“. კინოხელოვნება ჯერ ძალიან ახალ-

გაზრდა იყო, ეს ყოველივე უჩვეულო იყო დრამატული მსახიობისთვის, იმასთან შეჩვევაც უჭირდა, რომ გმირის გადაღება არათანმიმდევრულად მიმდინარეობდა. 1928 წელს, როგორც კი შეიტყო, რომ მარჯანიშვილი ქუთაისშია, ვერიკოც ქუთაისში გაემგზავრა. ცნობილია, რომ თბილისში შეიკრიბა ჯგუფი, რომელმაც აქტიური მოქმედება დაიწყო იმისათვის, რომ თბილისში შექმნილიყო კიდევ ერთი დრამატული თეატრი. მათ შორის იყვნენ: ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, უ. ჩხეიძე, შ. ლამბაშიძე, დ. ანთაძე და სხვანი, ცხადია, თვით კოტე მარჯანიშვილიც. ახლადშექმნილი დასის ცხოვრებას ყველა მისი წევრი შემდგომ თავისი ბიოგრაფიის უბედნიერეს წლებად გაიხსენებს. მთავრობის 1930 წლის დადგენილებით ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო თეატრი გადმოვიდა თბილისში სახელწოდებით „მეორე სახელმწიფო დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით“.

ვერიკო ანჯაფარიძე დიდი განცდის მსახიობი იყო. ეს უნარი განგებაში უბოძა. არც ცხოვრებას დაუკლია მისთვის განსაცდელი, საზოგადოებრივი თუ პირადი ხასიათის. ამის გამო წუნუნი არ სჩვეოდა, არც თანაგრძობა სჭირდებოდა — ყველანაირ განსაცდელთან მარტოს ერჩინა შებრძოლება, პირისპირ. არც მტირალი, არც ცრემლიანი ვერიკო არავის უნახავს, მაშინაც კი, როდესაც ვაჟკაცი შვილი მიაბარა მინას. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც გაიცნო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, უწმინდესს გაანდო: „ძალიან გამიჭირდა შვილის დაკარგვა, მოთხოვნილება მქონდა, რალაც მეთქვა ამის გამო ხმამაღლა და ფრუ აღვინგის როლი მას მივუძღვენიო“.

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მაყურებლის მისდამი ინტერესი ოდნავაც არ შენელებულა. ვერიკო ანჯაფარიძის არსებობა ქართულ თეატრს ანიჭებდა უფრო მეტ მნიშვნელობას და, თუკი „გარდაცვალების“ გვერდით არსებობს „უბედნიერება“, მაშინ ნამდვილი ვარსკვლავები არასოდეს ქრებიან, ისინი განაგრძობენ კაშკაშს სულ ახალ-ახალი თაობების ოცნებათა ცაზე, უნათებენ გზას ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს.

ივანე ჯავახიშვილი

სოციალური და ქორწინების ნებსაჲ საქართველოში

ამ საყურადღებო საკითხის შესასწავლად უძველეს ძეგლებში ჯერ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება; მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ცნობები არსებობს. ამასთანავე ცნობები სხვადასხვა დროისა და ამიტომ ცოლქმრობისა და ქორწინების წესების განვითარებისა და ისტორიის სხვადასხვა საფეხურებს ეხება. ამის გამო მთლიანი სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით შეუძლებელია.



ზოგმა მათგანმა თავისი ველურობით შეიძლება სიძველისა და პირველყოფილობის შთაბეჭდილება მოახდინოს, მაგრამ ნამდვილად ზოგჯერ პირველყოფილი იქ არაფერია. მაგ., XV ს. დამდეგს აღმოსავლეთში და საქართველოშიც ნამყოფი გერმანელი ტყვედ ჩავარდნილი მეომარის ჰანს შილტბერგერის მოგზაურობის აღწერილობაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ქართველებსა და ოსებს იმგვარადვე როგორც სომხეთში ასეთი ქორწინების წესები აქვთ: როდესაც მშობლებს თავის შვილისათვის საცოლოდ ქალწულის მოყვანა სურდათ, მაშინ საცოლოს დედას პირობას ადებინებდნენ, რომ მისი ასული მართლაც ქალწული იყო. ქორწინის დროს ქალიშვილებს საცოლო სიმღერით საქორწინლო ოთახში მიჰყავდათ. ამის შემდგომ საქმრო ყმანვილი კაცები თურთ მოდის ამოწვდილი ხმლით, იქვე მაყრიონითურთ ჯდება და დიდი ღხნითა, ცეკვითა და სიმღერით ჭამა-სმას შეეცეკვიან. ასე რომ დროს გაატარებენ, მერმე საქმრო საცოლოსთან შეჰყავთ და ყველანი დანარჩენნი გადიან. ხოლო მისი ძმა, ან ერთი მახლობელ მეგობართაგანი ოთახის კარებს ხმალამონვდილი დარაჯობს, სანამ საქმრო ადგება. თუ საცოლო ქალწული არ გამოდგა, მაშინ დედას აცნობებს. საქმროს დედა რომ თავის მეგობრებითურთ სარეცელთან მოვა, ზენარს გაშინჯავენ და თუ იქ არავითარ ისეთ ნიშანს არ შეამჩნევენ, რომელიც ქალწულს უნდა ჰქონდეს, მაშინ ყველანი დალონდებიან. მეორე დღეს რომ საცოლოს დედ-მამა ქორწინება მოვლენ, საქმროს დედა ერთ ძირგახვრეტილ სას-

მისს დაამზადებს და როცა ღვინის დაღვეის ჯერი დადგება, ამ სასმისში ღვინოს ჩაასხამს ისე კი, რომ ნახვრეტი ქვეითგან თითით აქვს დაცობილი, და საცოლოს დედას გამოსაცდელად მიაწვდის. ამ დროს, რაკი სასმისის გახვრეტილ ძირს თითი მოშორდება და ღვინო დაიღვრება, საქმროს დედა საცოლოს დედას მიაძახებს: შენი ასულიც ასე მთელი აღმოჩნდაო. ეს რასაკვირველია საცოლის ყველა მახლობელისათვის მეტად სასიხარულო იყო და საცოლოც ასეთ შემთხვევაში თავის მშობლებს უბრუნებოდა ხოლმე. მთელი ამ ჩვეულების ველურობისდა მიუხედავად რასაკვირველია იგი ძველი არ უნდა იყოს. პირველყოფილ მდგომარეობაში ქალწულების ასეთი შემონმება ნარმოუდგენელი რამეა. აღსანიშნავია, რომ კორ. ბოროზდინს ამნაირი ჩვეულება სამეგრელოს ებრაელთა შორის XIX ს-ში აღწერილი აქვს და იმასვე მოთხრობილი აქვს, რანაირი გაუგებრობა შეიძლება მომხდარიყო ასეთი უცნაური შემონმების დროს და როგორ შეიძლებოდა სრულებით უმანკო ქალწული ტყუილ-უბრალოდ და სრულებით დაუმსახურებელივ განზილებულ-შერცხვინილი ყოფილიყო. საცოლოს ქალწულების შემონმების ჩვეულება და წესი ებრაელთა შორის მიღებული ყოფილა და მეორე შუგულშია აღწერილი, მაგრამ იქ ნათქვამია, რომ როდესაც საქმროს მხრით ბრალდება იყო ხოლმე წამოყენებული, თვით საცოლოს ფიზიკური მდგომარეობის შემონმება მოხუცებულთა და მოსამართლეების წინაშე უნდა მომხდარიყო. რადგან ზემომოყვანილი

ცნობის გარდა სხვაგან არსად ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება და პირვანდელიც იგი შეუძლებელია ყოფილიყო, გამოსარკვევია, საითგან, სახელდობრ ებრაელთაგან, თუ არა, და როდის უნდა ყოფილიყო შეთვისებული ეს უცნაური ჩვეულება. ჰანს შილტბერგერის აღწერილობა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ის, რაც ბოროზდინს XIX ს. შუაწლებში სამეგრელოს ებრაელთა შორის უნახავს, უკვე XIX-XV ს. ყოფილა საქართველოში, ოსეთსა და სომხეთშიც. ყველა ცნობა ქორწინების წესების შესახებ ჩვენ მხოლოდ იმ დროიდან მოგვეპოვება, როდესაც საქართველო უკვე გაქრისტიანებული იყო. ქრისტიანობამ კი ბევრი წარმართობის წესები ამოფხრა და თავისი შემოიღო. სხვათა შორის ცოლქმრობისათვის ქრისტიანობამ საეკლესიო ლოცვა-კურთხევა, გვირგვინთა კურთხევა აუცილებელ პირობად გაჰხადა. ამ გარემოებამ ქორწინების ზოგი ძველი წესი შესცვალა და ამით მათ პირვანდელი თვისებები დაუკარგა. მაგრამ ხალხი დიდ ხანს საეკლესიო გვირგვინთა კურთხევას ცოლქმრობისათვის თავისთვის სავალდებულოდ არ სთვლიდა. საეკლესიო ქორწინება და ჯვარისწერა რომ ქართველ ხალხს ქრისტიანობის ხანაშიაც აუცილებ-



ბელ წესად არ მიაჩნდა, ეს სამთავ-
ნელის სარგოს გარიგების 1459 წ. და
ნილკნელის სარგოს გარიგების 1669
წ. წიგნებითგან ცხადადა ჩანს.

**მაგრამ ქრისტიანობის
გავლენით უხვლილ
ქორწინების
ზნე-ჩვეულებებსა და
წესებულებებს ბევრი რამაა
შენახული, რას შორის
წარსულის ნაშთი
წარმოადგენს და
სოლქრობის დაყარაობის
ქვეყნის ქვეყნი
ისტორიის ერთ-ერთი
საფუძვლის
დაფუძვლილობა.**

ამიტომ მკვლევარი ვალდებულია
ყველა მცირეოდენი ცნობაც კი გა-
მოიყენოს, რომელიც ამ საკითხის
გაშუქებას ცოტად თუ ბევრად ხელს
შეუწყობს. ისტორიულად ცნობილ
ხანაში ქალის წაგვრით, ანუ მოტა-
ციებით ცოლად შერთვა უწესოებადა
და უკანონოებად ითვლებოდა და
ქართული სამართალი ასეთ მოვლე-
ნას ებრძოდა ხოლმე თვით ისეთ ხა-
ნაშიაც კი, როდესაც საქართველოს
პოლიტიკურ დასუსტებას ქვეყნისა
და ხალხის კულტურული დაქვეითე-
ბა მოჰყვა. ცნობებითგანაც ჩანს,
რომ წაგვრის წესი ოდესღაც ქართ-
ველ ერსაც უნდა სცოდნოდა, რო-
გორც სრულებით ბუნებრივი ჩვეუ-
ლება.

V ს. ქართველ ისტორიკოსს იაკობ
ხუცესს ერთი ფრიად საგულისხმო
ცნობა მოეპოვება, რომელიც ქორ-
წინების მაშინდელი ქართული ზოგი
წესის აღდგენის საშუალებას გვაძ-
ლევს. მას სახელდობრ აღნიშნული
აქვს, რომ, როდესაც ვარსკენსა და
მისი მეუღლის შუშანიკს შორის სარ-
წმუნოებრივ ნიადაგზე მომხდარი
განხეთქილების გამო საცოლქმრო
მყუდრო ცხოვრება შეირყა, შუშა-
ნიკმა ქმრისაგან განშორებისათვის
ვარსკენის სახლი მიატოვა და სხვა-
გან გადავიდა. ქმარმა, რაკი დარწ-
მუნდა, რომ მათი ცოლქმრობა უკვე
შეუძლებელი იყო, შუშანიკის მოძღ-
ვარს იაკობ ხუცესს მოუწოდა და
თურმე შემდეგი უთხრა: „უწყია, ხუ-
ცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა
ზედა? და ჩემი სამკაული მას არა
დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი

არს: იპოოს ვინმე რომელმან განკა-
ფოს იგი.“

ვარსკენის ამ სიტყვებითგანა
ჩანს, რომ მას თავის დროს ცოლი-
სათვის სამკაული და სხვაც ბევრი
რამე („ყოველივე რაიცა რაი არს“)
მიუერთმევია, რომელიც მის ცოლს
შეიძლება ჰქონოდა, ხანამ მის ცო-
ლობას სწევდა, ხოლო როდესაც სა-
ცოლქმრო კავშირი დაირღვეოდა,
ქმარს შეეძლო იგი ჩამოერთვა.

იაკობ ხუცესის ზემოთყვანილი
ცნობის მთელი შინაგანი მნიშვნე-
ლობის გასაგებად ქართული ძველი
ქორწინების წესების ცოდნაა საჭი-
რო, რომელთა დალაგებული აღწე-
რილობა ერეკლე მეფის ძეს ვახტანგ
ბატონიშვილს აქვს. მისი სიტყვით,
ოდეს დაამტკიცებდენ ვინმე ვისას-
მე სასძლოდ თვისად მოყვანად, ნა-
რუგზავნიდიან ქალსა მას შეძლები-
საებრ ნიშნად სამკაულთა ძვირფას-
თა... და მიტანისა ჟამსა დასდებდი-
ან ოქროსა ანუ ვერცხლისა სინსა
ზედა სამკაულსა სასძლოსა და ეგ-
რეთ მთართვიან ქალსა მას“.

ქორწინების წესით, ის გარემოე-
ბაა საყურადღებო, რომ საცოლოს-
თვის პირველად სწორედ საქმროს
უნდა მიერთმია სამკაული-საჩუქა-
რი, ისევე ქონება და მხოლოდ ამის
შემდგომ საცოლოს მზითვესაც ჩა-
მოსთვლიდენ ხოლმე. ამგვარად
პირველად საქმროს მიჰქონდა სა-
ცოლოს ოჯახში ქონებრივი საჩუქა-
რი ქალისათვის. „ქართველი ერის
ისტორიის“ IV წიგნის პირველ ნა-
წილში ბიზანტიის უკანასკნელი კე-
ისრის მოციქულის ცნობა მაქვს
მოყვანილი, რომელშიც ჩვენი სა-
კითხისათვის საქართველოს მეფის
გიორგის ერთი საყურადღებო გან-
ცხადებაა აღბეჭდილი. მისი ასულის
ბიზანტიის მეფისათვის საცოლოდ
მთხოვნელ დესპანისათვის გიორგი
მეფეს განუცხადებია:

**ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულების
თანახმად, საქმროს მოაქვს საცო-
ლისთვის ქონება და არა საცოლოს
საქმროსთვის, ამიტომ მე ჩემს
ასულს მზითვეს ვერ გამოვატან.
მაგრამ სხვაფრივ ქონებრივად უზ-
რუნველვყოფო.**

აქაც, მაშასადამე, გარკვევით არის
ნათქვამი, რომ ქართული ქორწინე-
ბის წესი პირველად სწორედ საქმ-
როს ავალბებდა საცოლოსათვის ქო-
ნების მიტანას. მზითვეს საქართვე-
ლოში IX ს-შიც უკვე იხსენიება და
თვით ტერმინი უკვე დაბადების

ქართულ თარგმანში გვხვდება, მაგ-
რამ მაინც ჯერ საქმრო იყო მოვალე,
რომ ქალისათვის საჩუქარი მიეტა-
ნა და, ალბათ, სწორედ ამასვე გუ-
ლისხმობდა გიორგი მეფე, როდესაც
ქართულ ზნე-ჩვეულებებზე ლაპარა-
კობდა.

ეს გარემოება არქანჯელო ლამ-
ბერტისაც აქვს XVII ს. სამეგრელოს
აღწერილობაში აღნიშნული. მისი
სიტყვით, სამეგრელოში, ევროპაში
მიღებული წესის მსგავსად, ცოლის
შერთვის დროს მზითვეს არ დაეძე-
ბენ.

ქორწინის ყოველივე ხარჯი სა-
მეგრელოში სასიძოს უნდა გაენია.
მხოლოდ ახალ ჯვარდანიერითა
ქმრისა და სიძის სახლში გასტუმრე-
ბისას ქალის მშობლები თავიანთ
ასულს თან მოძრავ ქონებასაც
ატანდენ, უეჭველია მზითვეს
მსგავსად.

არქანჯელო ლამბერტის თავის
მოთხრობაში წამოსცდენია ის აზრი,
რომელიც ადამიანს ამ ჩვეულების
განხილვის დროს შეიძლება დაეზა-
დოს: საქმრო ამით „თითქოს ფასს
იხდის“ საცოლოსთვის. დიახ, ის
სწორედ ურვადი იყო, ქალის წამოყ-
ვანისათვის მირთმეული ქონებრივი
საზღაური და იაკობ ხუცესის ცნო-
ბაშიაც ამავე ურვადის კვალი და ნა-
წილი უნდა ვიგულისხმოთ.

ამას გარდა ქართული ქორწინების
წესს დაცული ჰქონდა და ნაწილობ-
რივ ეხლაც შენარჩუნებული აქვს
ზოგიერთი ფრიად საგულისხმო
ჩვეულება, რომელიც უძველესი
დროის პირობების ანარეკლად უნ-
და მივიჩნიოთ. ბატონიშვილ ვახტან-
გის სიტყვით ჯვარის წერისათვის
საცოლოს სახლში მიმავალ სასიძოს
„მიუძღოდიან მოხელენი და მაგალო-
ბელნი მაყრულისა თქმითა და კარ-
გად შეკაზმილნი. და თვითცა და თა-
ნამყოლნიცა ისხდებოდიან ცხენთა
ზედა ვითა შორს მიმავალნი, ეგრეთ
ახლოს“. ეკლესიაში მიმავალ მეფე-
დედოფალს „წარუძღვიან ყოველნი
ქვეითად და ეგრეთვე მაგალობელნი
თქმითა მაყრულისათა. ქალსა მას
გაყვის მდადი ქალნი მრავალნი და
მაყარი და ნათესავნი“. მეფე-დედო-
ფალი რომ ჯვარის წერის შემდგომ
„გამოვლენ ეკლესიით, მაშინ ეჯიბი
სიძისა და მაყარის სძლისა ორნივე
ამოიღებდენ ხმალთა და მიაბჯენ-
დენ კარსა ეკლესიისასა და მის ქვეშ
განვლიდენ სიძე და სძალი“.

აღსანიშნავია, რომ საქმროს სა-



ჩუქრისა და პირბადის ასახდელად ძღვენის ნუსხის წასაკითხად „დგე-ბის ეჯიბი მეფისა და ნუსხის შინა-არსის გამოცხადების შემდგომ „მი-ვიდის ეჯიბი, და აჰხადის პირბადე სძალსა მას“.

უეჭველია, ამ საქორწინო ზნე-ჩვეულებაში დაცულია ცოლის წაგვრისა და მოტაცების ძველი წესები. აქ უკვე მხოლოდ სიმბოლური გამოხატულება იყო იმ ხანის სურათის, როდესაც საქმრო თავის საცოლოს მოტაცებით ირთავდა, როცა ის მართლაც იძულებული იყო ცხენოსანი და შეიარაღებული თანამებრძოლებითურთ შორს გზას გასდგომოდა, რომ ცოლი მოეყვანა, როდესაც **ამონვდილი ხმლები მშვიდობიანი ქორწილის მარტო მხატვრული ფერადოვნების სამკაული კი არ იყო, არამედ მართლაც აპრიალეზული ხმლების ტრიალი სწარმოებდა. ჰანს შილტ-ბერგერის ზემომოყვანილი აღწერილობით განა ჩანს, რომ ხმალამონვდილი მაყრიონის თანხლების წესი უკვე XIV ს-ში და, რასაკვირველია, ამაზე მრავალი საუკუნით უწინარესაც მშვიდობიანი ქორწინების მხოლოდ უბრალო ჩვეულება იყო.**

ამგვარად, თუმცა ქართველმა ერმა მაღალი კულტურული წარმატების წყალობით წაგვრის წესის განვითარების საფეხური დიდი ხანია განვლო, მაგრამ იმ დროინდელი წესების ნაშთი და კვალი ქორწინების მერმინდელ ზნე-ჩვეულებებში მაინც შერჩა.

პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში ქართველ მეფეთა შესახებ მოყვანილ ცნობებითგანა ჩანს, რომ

სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არა ყოფილა და ეს „ენდოგამია“, ალბათ, სპარსული მახდევანობის გავლენის შედეგი უნდა იყოს: იქ როგორც ვიცით, დამმათა შეუღლებაც კი ნებადართული და ასე გასინჯეთ ღვთისნიერ საქციელადაც კი იყო აღიარებული. რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი მოგვითხრობს, რომ ფარსმანს (ფარსმანეს) იბერთა მეფეს ძმა ჰყავდა მიჰრდატი (მითრადატეს), რომელმაც რომაელთა დახმარებით სომეხთა სამეფო ტახტი დაიპყრა, და ამ მიჰრდატს ცოლად თავისი ძმისწული, ფარსმანის ასული ეს-

ვო და ამ ცნობითაც მტკიცდება, რომ იბერიაშიც შესაძლებელი ყოფილა და ნებადართული ასეთ მახლობელ ნათესავთა შეუღლება, როგორც არიან ბიძა-ძმისწული. კონსტანტინე პორფიროსანის მოწმობითაც ქორწინება სახლისკაცთა შორის საქართველოში დიდებულთა საგვარეულოებში იმის დროსაც კი ჩვეულებადა ჰქონიათ.

იოანე საბარისძესაც ერთი საგულისხმო ცნობა მოეპოვება. მისი სიტყვით ნერსე ერისთავის ქართლთგან გაქცევის შემდგომ „წარმოავლინა მაჰდი ამირა-მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაითა სტეფანონზ, ძეი გურგენისი დისწული ნერსცისი, ნაცვლად დედის ძმისა თვისისა ნერსცსა ერისმთავრად ქუეყანასა მას ქართლად. მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლები იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა ღმერთმან“-ო და ეს ცნობაც იმავე ზემოაღნიშნული დებულების დამადასტურებელი უნდა იყოს.

მაგრამ ენდოგამია მხოლოდ წარჩინებულ საგვარეულოებში იყო ხოლმე, საერთო მოვლენად იგი არ ყოფილა.

„მოქცევაი ქართლისაი“-ს აღმწერელს ერთი საყურადღებო ცნობა მოეპოვება, რომელიც სწორედ ამ საერთო და უძველესი მოვლენის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. მისი სიტყვით როდესაც აზომ არან ქართლისა მეფის ძემ ვითომც ალექსანდრე მაკედონელისაგან მცხეთა და მთელი ქართლი მიიღო, „ევე აზოი წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლინი მამამძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას“.

რას უნდა ჰქონდა ვეც „**მამა-მძუძე**“? ტერმინი „**მამა-მძუძე**“ საბაორბელიანსაც მოეპოვება ლექსიკონში და განმარტებული აქვს როგორც „**კაცი გამზრდელი**“.

მამა-მძუძეობის არსებობას საქართველოში V ს. ისტორიკოსის — იაკობ ხუცესის სიტყვებიც ადასტურებენ. მისი სიტყვით, შუშანიკმა სიკვდილის წინ „**მოუნოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფუცს და მადლსა მისცემდა მის მიმართ მოწლებისა მისისათვის ვითარცა მამას და მამამძუძესა**“.

ტერმინი „**მამა-მძუძე**“-ს არსებობა „დედა-მძუძე“-ს არსებობას გვაგულისხმებინებს, რადგან ამ სიტყ-

ვის შინაარსი, რასაკვირველია, დედაკაცს შეჰქვენი და არა — მამაკაცს.

ამ ტერმინის უკანასკნელი ჩამონაკვთილობის ხანაში უკვე ისეთი მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც ბავშვი იქ იმყოფება, სადაც მამაა: სახლი და მამა ერთი მეორისაგან განუყრელი ცნებაა. მაგრამ პირვანდელი ცხოვრების ამ მერმინდელ გამოხატულებაში ისე არ იყო, არამედ ყოფილა ხანა, როდესაც ისეთი ჩვეულება სუფევდა, რომ ბავშვი ცხოვრების ამ აუცილებელი წესის თანახმად თავის ღვიძლ მამასთან არ იზრდებოდა, არამედ სხვა საგვარეულოში და იქ მის აღმზრდელს „**მამა-მძუძე**“ ეწოდებოდა.

მარტო ის გარემოებაც, რომ მამამძუძეობა სახლობრივ, ანუ საგვარეულოებს ეწოდებოდა და „მოქცევაი ქართლისაი“-ს აღმწერელს იგი მთელი ქართველი ერის სოციალური ცხოვრების ბუნებრივ გამოხატულებად ჰქონია წარმოდგენილი, ამ მამა-მძუძეობის წესის უაღრეს მნიშვნელობასა და სიძველეს ცხად-ჰყოფს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი თავდაპირველად ცხოვრების იმ უცილობელ კანონად ყოფილი მოვლენის ანარეკლს წარმოადგენს, როდესაც ბავშვი თავისი ღვიძლი მამის სახლსა და საგვარეულოში არამც თუ არ იზრდებოდა, არამედ არც იბადებოდა. აქ მას ღვიძლი მამა გვერდით არ ჰყავდა, არამედ დედა, რომელიც მამინ, აგრეთვე, ჯერ თავისი ქმრის ოჯახში არ იმყოფებოდა, არამედ თავისსავე საგვარეულოში რჩებოდა.

რაკი მამინ ბავშვს ძუძუს მისივე დედა ანობდა, ამიტომ მას, რასაკვირველია, „დედა-მძუძე“ არც ესაჭიროებოდა და ამგვარი ტერმინი მამინ არც შეიძლება ყოფილიყო. სამაგიეროდ, ასეთ პირობებში, როდესაც ბავშვი დედის საგვარეულოში იზრდებოდა, მისი აღმზრდელი და მფარველი მამა-კაცი დედის მახლობელი მამრობითი სქესის ნათესავები, დედის ძმა და სხვები იყვნენ, ისინი ამ ბავშვს აღზრდამზრუნველობის მხრივ მამობას უწევდნენ და სწორედ ამიტომ ღვიძლი მშობელი მამისაგან გასარჩევად მას „**მამა-მძუძე**“ ეწოდა. ამგვარად, ტერმინი „**მამა-მძუძე**“ მეორე ტერმინ „**დედა-მძუძე**“-ზე აღრინდელი უნდა იყოს.



უკანასკნელი გვირაბი საქართველოდან

ომის წლებში საქართველოდან ფრონტზე წავიდა 700 ათასზე მეტი ადამიანი — რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 18%. ბრძოლებში ყოველი მეორე დაიღუპა, სახლში მხოლოდ 350 ათასი დაბრუნდა. დღევანდელ დღეს ვერ მოესწრო ვერც ერთი საბჭოთა კავშირის გმირი, რომლებმაც ეს საპატიო ნოდება მეორე მსოფლიო ომის წლებში მიიღეს. ის უკანასკნელი გმირები საქართველოდან, რომლებიც ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავს შეხვდნენ, 2-3 წელია, რაც წავიდნენ ჩვენგან. ესენი არიან გენერალი **გალაქტიონ ალფანძი** და პოლკოვნიკი **შოთა შურღია**.

ბატარაის მეთაურობიდან კოსმოდრომის მშენებლობამდე

ორიოდე წელია, რაც მეორე მსოფლიო ომის ქართველ ვეტერანებს შორის აღარ არის გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფანძი. დღეს მის სახელს ატარებს ქალაქმირნის ერთ-ერთი პარკი, ხოლო ინტერნეტში გახსნილია სპეციალური საიტი, სადაც გალაქტიონ ალფანძი მე-20 საუკუნის უდიდეს მხედართმთავრებს შორის მოიხსენიება. მის წინაშე დღემდე ქედს იხრის რუსეთის სამხედრო ელიტა.

საბჭოთა კავშირის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფანძი 1916 წელს ქუთაისთან ახლოს, სოფელ კურსებში, დაიბადა. შვიდწლიანი დამთავრების შემდეგ 15 წლის ქაბუკი კურსების გრანტიის ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა, 1938 წელს კი სამხედრო კარიერა აიჩნია და თბილისის საარტილერიო სასწავლებელში კურსანტად ჩაირიცხა. 1940 წელს, ფინეთის საზღვარზე მომხდარი მოვლენების გამო, თბილისის სამხედრო სასწავლებლის კურსანტებს ვადამდე მიანიჭეს ნოდებები და საზღვარზე გადაისროლეს. ამ ჯგუფში იყო ლეიტენანტი გალაქტიონ ალფანძი, რომლის საბრძოლო ბიოგრაფია სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. „ომის პირველი დღეებიდან მე ვიყავი ვორონეჟში, საპოლკო ქვემეხების ბატარაის მეთაური. ომი მე მოსკოვის მისადგომებთან დავიწყე, ვმონაწილეობდი მოსკოვის დაცვის ბრძოლებში. შემდეგ ვმონაწილეობდი უკრაინის გათავისუფლების ბრძოლებში, დნეპრის ფორსირება მოვახდინე, ბრძოლებით გავიარე ბელორუსია, ბულგარეთი,

რუმინეთი და ომის დასრულებას ავსტრიაში შევხვდი“, — იგონებს გმირი.

შთამბეჭდავი გზა განვლო გენერალ-ლეიტენანტმა გალაქტიონ ალფანძემ. იგი უკრაინის ფრონტზე საარტილერიო პოლკს ხელმძღვანელობდა. მან ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა გადაიხადა უნგრეთში, ბალატონის ტბასთან, სადაც პოლკმა გაანადგურა მონინაალმდევის 10 ტანკი, 23 საცეცხლე ნერტილი და ექვსი საარტილერიო ბატარეა. ბრძოლის დროს ალფანძე სამჯერ იყო დაჭრილი, მაგრამ პოლკი არ მიუტოვებია.

1945 წლის 28 აპრილს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე, გალაქტიონ ალფანძეს საბჭოთა კავშირის გმირის ნოდება იოსებ სტალინმა მიანიჭა მოსკოვის დაცვის, დნეპრის გადალახვისა და ავსტრიის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის. ავსტრიის ეპიზოდში პოლკმა, რომელსაც მაიორი გალაქტიონ ალფანძე ხელმძღვანელობდა, მწყობრივად გამოიყვანა ათი გერმანული „ვეფხვი“ და გაანადგურა რამდენიმე ტყვიამფრქვევის ძოტი. თუმც თავად გალაქტიონ ალფანძემ მძიმე კონტუზია მიიღო და ბრძოლის წარმატებით დასრულების თაობაზე მხოლოდ ლაზარეთში შეიტყო.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა გალაქტიონ ალფანძემ შთამბეჭდავი სამხედრო გზა გაიარა და კარიერა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაამთავრა. მისი მხედრული ბიოგრაფიის გვირგვინად პლესეცკის კოსმოდრომის მშენებლობაში შეტანილი წვლილითვლება, სადაც გალაქტიონ ალფანძე მთავარ კონსტრუქტორად მუშაობდა. სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი მიიჩნევს, რომ გალაქტიონ ალფანძე იმ თითებზე ჩა-



გალაქტიონ ალფანძი

მოსათვლელ ქართველ მხედართმთავართა რიცხვში შედის, რომლებმაც სამხედრო ტექნიკის განვითარებაში განუზომელი წვლილი შეიტანეს: „ნაწილი ქართველებისა იღვწოდა საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის, ნაწილი კი — შეერთებული შტატების. როგორც, მაგალითად, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი, რომელმაც პირველი ამერიკული ტექნიკური ბომბის გადამტანი თვითმფრინავი შექმნა.. ხოლო ჩვენი თანამემამულე გენერალი გალაქტიონ ალფანძე ხელმძღვანელობდა პლესეცკის კოსმოდრომის მშენებლობას და შემდგომ ამ კოსმოდრომიდან რაკეტათარებლების გაშვებას“. როცა გალაქტიონ ალფანძე 1945 წლის მაისში გამარჯვებას ზეიმობდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ ელოდა — 60-იან წლებში პლისეცკში კოსმოდრომის მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელობა.

ლეგენდარული კონსტრუქტორი სერგეი კოროლიოვი და სარაკეტო კომპლექს „პიონერის“ შემქმნელი ალექსანდრე ნადირაძე მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ამ კოსმოდრომიდან აწარმოებდნენ ბალისტიკური რაკეტების ექსპერიმენტულ გაშვებებს.

გენერლის ოჯახში ამ მძიმე, დამქანცველი, ნერვული წლების სამახსოვროდ შემორჩა სურათი, რომელიც გენერალს სერგეი კოროლიოვმა და მეგობრებმა აჩუქეს. სურათზე გამოსახულია საბჭოთა სადაზვერვო თანამ-



გზავრის მიერ გადაღებული გენერლის მშობლიური სახლი სოფელ კურსებში, დასავლეთ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება რუსეთში გაატარა, გ. ალფაიძე სულით ხორცამდე ქართველად დარჩა. გალაქტიონი იყო ძალიან თავმდაბალი ადამიანი. „ერთხელ, მახსოვს, — იგონებს მისი ძმისშვილი რ. ალფაიძე, — სახლში მივედი და ვუთხარი, ქვემოთ მეგობარი მელოდება, უნდა ვიჩქარო- მეთქი, მისაყვედურა: რას ქვია, კაცი მანქანაში დატოვა, ახლავე ჩადი და ამოიყვანეო. როცა მასთან ვცხოვრობდი, გვიანობამდე მელოდა და სანამ არ მივიდოდი, საჭმელს არ შეჭამდა“.

სახელოვანი გენერალი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის ხსოვნას დღესაც ღირსეულ პატივს მიაგებს რუსი სამხედრო ელიტა.

ლეგენდარული მფრინავი



შოთა შურღაია

ახალგაზრდა ოფიცერი ფოთიდან, სამხედრო მფრინავი შოთა შურღაია ლეგენდარული მოიერიშე ილ-2-ის მტურველთან იჯდა. მის ანგარიშზეა 125 საბრძოლო გაფრენა, მონინალმდეგის 113 განადგურებული ტანკი, 11 საარტილერიო დანადგარი, 2 სამხედრო შემადგენლობა, 40 სამხედრო ავტომობილი და ერთი სატრანსპორტო თვითმფრინავი.

გვარდიის ლეიტენანტი შ. შურღაია ბელორუსიის ფრონტის მე-16 საჰაერო არმიის მეთერთმეტე საავიაციო დივიზიის 175-ე თავდამსხმელი საავიაციო პოლკის რაზმის მეთაური — დაიბადა 1920 წლის 3 აპრილს, ფოთში. დაამთავრა მელიორაციის ტექნიკუმი, სწავლობდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

1940 წლიდან ნიჟელი არმიის რიგებშია. 1943 წელს დაამთავრა ვოროშილოვგრადის პილოტთა სამხედრო-სავიაციო სკოლა; ამავე წლის სექტემბრიდან ფრონტზეა. იბრძოდა კურსკში, მონაწილეობდა კიევისათვის ბრძოლაში, პოლონეთის გათავისუფლებასა და ბერლინის შტურმში. თავისი თვითმფრინავით — „ილ-2“-ით მეორე მსოფლიო ომის მეორე ნახევრის ყველა მთავარი ბრძოლა მიიწვია. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ შ. შურღაიას ეკიპაჟი დაღუპულადაც კი გამოცხადდა. ისინი შტაბში მაშინ დაბრუნდნენ, როცა თანამებრძოლებს სასადილოში მათი მოსაგონებელი სუფრა ჰქონდათ გაშლილი. „ჩვენს დანახვაზე მათ ძალიან გაიხარეს“. — იგონებს შ. შურღაია.

...1945 წლის 13 იანვარს სადაზვერვო გაფრენა განვახორციელე, — იხსენებს შოთა შურღაია თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, — ნისლიანი ამინდის გამო დაბლა მივფრინავდი, მონინალმდეგის სროლების გამო ძრავა დამიზიანდა... თვითონაც არ ვიცი როგორ, მაგრამ თვითმფრინავის ჩვენს ტერიტორიამდე მიყვანა შეუძელი, თუმცა, მუცელზე დავსვი... ფოტოსურათები კი შტაბში ძალზე გამოადგათ, ისინი შეტევის განხორციელებისთვის გამოიყენეს...“

ახალგაზრდა ქართველი მფრინავი მსოფლიო დოკუმენტური კინოს ისტორიაში შევიდა. 45 წლის თებერვალში მან ორი საბრძოლო გაფრენა შესრულა ოპერატორთან ერთად და მხოლოდ ათწლეულების შემდეგ გაიგო, რომ ის ცნობილი კინოდოკუმენტალისტი რომან კარმენი იყო. შემდეგში მისი ფილმის კადრებმა დიდი სამამულო ომის შესახებ მთელი მსოფლიო მოიარა.

1945 წლის მარტისთვის 175-ე რაზმის მეთაურს განხორციელებული ჰქონდა 110 წარმატებული საბრძოლო გაფრენა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მონინალმდეგეს. მთელი ომის მანძილზე კი მის წარმატებულ გაფრენათა რაოდენობამ 153 შეადგინა. კაპიტულაციის სასიხარულო ამბავი მფრინავ-თავმდამსხმელმა ბერლინის მისადგომებთან შეიტყო.

გვარდიის ლეიტენანტი შ. შურღაია მონაწილეობდა ისტორიულ პარადში 1945 წლის 24 ივნისს მოსკოვში, ნიჟელი მოედანზე.

შოთა შურღაიას გმირის ვარსკვლავი 1945 წლის 15 მაისს მოსკოვში გადაეცა. ომის შემდეგ ის მსახურობდა

შინაგან ჯარებში. 1955 წელს დაამთავრა სამხედრო-სავიაციო აკადემია. 1957 წლიდან მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება.

2005 წელს 85 წლის საბჭოთა კავშირის გმირი გამარჯვების 60 წლისთავს ნიჟელი მოედანზე შეხვდა და დღესასწაული მას პირადად რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიულოცა და პირადად მისგან საათი უსახსოვრა. შ. შურღაია ცხოვრობდა თბილისში, სადაც 2005 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა.

ღარაჯან ანდრიაკე

P.S. აქვე გთავაზობთ პოლკოვნიკ ვლადიმერ სილკინის ლექსს, რომელიც მან უკანასკნელი გმირის გარდაცვალებას უძღვნა და რომელიც 2008 წლის თებერვალში დაიბეჭდა ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალ „Воин России“-ში.

**ПОСЛЕДНИЙ ГЕРОЙ УМЕР
Шота Шургая, последний Герой
Советского Союза, грузин**

Вот ведь жизнь пошла какая:
Разделила, развела.
Слышал, что Шоту Шургая
Смерть нежданно забрала.

На повозку погрузила
Повезла к себе домой,
Но не знала, что - грузина,
Но не знала, что - Герой.

А ведь шла за ним по свету,
Где бы только ни бывал.
Шла, когда стране победу
Над фашистом добывал.

Шла сейчас, не чуя груза,
Шла, его перекрестив.
От Советского Союза
Часть Кавказа отломив.

Шла неслышно, как когда-то,
В город скорби и крестов,
Мимо ярких флагов НАТО,
Мимо чьих-то блокпостов.

Вот и в Грузии не стало
Ни Героя за Берлин.
От стены кремлевской Сталин
Честь отдал тебе, грузин.

Может, встретитесь когда-то,
Собравшись на Божий суд,
Если только танки НАТО
По могилам не пройдут.

ზ

კირიონ II

„ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“

(გაბრძელება. დანსწყისი ის. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №2-3)

როგორც ჩვენამდე მოღწეული, პერგამენტზე შესრულებული შესანიშნავი ქართული „მოსახსენებლის“ 1074 წლის ხელნაწერიდან ირკვევა, ივერთა მონასტერი და მისი მონესეები რუსებს ბერ-მონაზვნურ ღვანლში მათი სრულყოფის მიზნით მეგობრული სიყვარულით იღებდნენ. ამ ხელნაწერმა უძვირფასესი ცნობა შემოგვინახა იმის შესახებ, რომ ივერიის მონასტერში რუსი ბერ-მონაზვნებიც მოღვაწეობდნენ. იყო მაგალითები იმისა, რომ რუსები ათონის ივერთა მონასტერში სამუდამოდ რჩებოდნენ და ქართველდებოდნენ კიდევ, რაზეც გამოთქმა — „რუსყოფილი“ (ყოფილი რუსი) მიუთითებს; მაშასადამე, ეჭვგარეშეა, რომ ამ სავანეში მოღვაწე რუსები ხანგრძლივი სტუმართმოყვარეობითა და მის მოსახლეთა ძმური ურთიერთობითაც სარგებლობდნენ. მათ იქ ასკეტური ცხოვრების წყურვილი და ხსენებული მონასტრის საღვთისმეტყველო სასწავლებელში სასულიერო განათლების მიღება იზიდავდათ. დიდი იყო რუსების მუდმივი და ღრმა პატივისცემა ივერთა მონასტრისადმი, მისი სინმიდის, ღვთისმშობლის კარის სასწაულმოქმედი ხატისადმი, რომლის ასლი 1648 წლის 13 ოქტომბერს ივერიის სახელით მოსკოვში ჩამოაბრძანეს. მას უაღრესად დიდ თაყვანს სცემდა მთელი რუსი ხალხი. ეს კი იმ დიდი ზემოქმედებისა და მფარველობის გამოძახილია, რასაც ივერთა მონასტერი რელიგიურ-ზნეობრივი სრულყოფის საქმეში საერთოდ სლავებზე, კერძოდ კი რუსებზე ახდენდა. ამასთან, ძველ რუსეთში თავიანთ ტაძრებს ივერთა მონასტრის ნიმუშით მოხატავდნენ, რაც მიუთითებს რუსეთის უძველეს ზნეობრივ-რელიგიურ კავშირზე ივერიასთან.



ივერიის კულტურული ზეგავლენა, ასევე, გამოვლინდა ძველი რუსეთის საეკლესიო-ლიტერატურულ ძეგლებში და საერთოდ, მთლიანად რელიგიურ-ყოფითი ცხოვრების ყაიდაში, ენაში, ხალხურ სიტყვიერებაში, თქმულებებში, ზღაპრებში, სიმღერებში, ლეგენდებში, გამოცანებში, ანდაზებში, შელოცვებში, დაფიცებებში, გადმოცემებსა და ა. შ.

„რუსეთის კავშირი კავკასიასთან ჩვენი ისტორიის მთელ პერიოდში, — სრულიად სამართლიანად შენიშნავს პროფ. მ. ე. ხალანსკი, — ისეთი ცოცხალი და მუდმივი გახლდათ, რომ აპრიორი შესაძლებელი იყო შევხვედროდით რუსულ ხალხურ შემოქმედებასთან კავკასიური ხალხური თქმულებების ურთიერთობის საკითხს. ამ ეთნოგრაფიულად უდიდესი ევროპული სივრცის წიაღში მცხოვრებ ერებს ხშირად ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის სამხრეთთან და აღმოსავლეთთან.

მათი გავლენის კვალი ხალხურ შემოქმედებაში უსათუოდ უნდა ასახულიყო, როგორც ენაში, ისე ყოფასა

და რუსი ერის საერთო სულიერ წყობაში. მდიდარი ქართული სიტყვიერება შეუძლებელია, უცნობი დარჩენილიყო რუსული მწერლობისათვის. იგი უეჭველად გადასცემდა მას თავის მოთხრობებსა და რომანებს, ანდა აღმოსავლელ მწერალთა თარგმანებს, რომლებითაც ივერთა საერთოდ მდიდარი იყო.

ანბანი

ბრესლაუს უნივერსიტეტის რუსული და პოლონური ენების პროფესორი, დოქტორი აბიხტი გლაგოლიცასა და ქართული საეკლესიო ანბანის შესწავლა-მეჯვრეებისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წმ. კირილე,

განსწავლული მოღვაწე, ბიბლიოგრაფი, ქართულ დამწერლობას იცნობდა და მისი საეკლესიო ანბანიდან სლავურისათვის ისესხა ასონიშნები, რომლებიც ბერძნულ ენას აკლდა.

გლაგოლიცას ქართულ-საეკლესიო ანბანთან შედარებისას დავრწმუნდით, რომ პირველი ასონიშნები: თ, ქ; გ, დ, ი, მ, ს, ა, ხ, ქართული ანბანიდანაა ნასესხები, თანაც ზოგჯერ უმნიშვნელო ცვლილებებით.

ს. პეტერბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ 1600—1699 წლების გაკრული ხელით ნაწერ ძეგლებში ჩვენ ქართულის მსგავსი ასონიშნები ვიპოვეთ.



საეკლესიო სლავური ბალობა

ძველი სლავური საეკლესიო-სალ-ვითისმსახურო გალობა ნათელყოფს, რომ რუსულმა მატრიანებმა საეკლესიო გალობათა წარმოშობის შესახებ ორი შეუთანხმებელი მოწმობა შემოინახეს: იოაკიმეს მატრიანისა და ხარისხთა წიგნისა. იოაკიმეს მატრიანე წმ. ვლადიმირის ნათლისღების შესახებ თხრობისას აღნიშნავს, რომ სლავთაგან ჩამოვიდნენ მომღერლები. ხარისხთა წიგნი კი გვეუბნება, რომ სამი ბერძენი მგალობელი ჩამოვიდა ნათესავეებთან ერთად: „და მათგან იწყო რუსეთის მიწაზე ანგელოზებრივი გალობა, ლამაზი თანხმიერება, მით უფრო სამხმოვანი კეთილხმოვანება და ყველაზე მშვენიერი შეწყობილი გალობა...“. ეს ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ნათლად უჩვენებენ, რომ მემატრიანეებმა გარკვევით არ უწყოდნენ, რუსეთში სამხმოვანი გალობა რომელი ხალხისაგან შევიდა. ბერძნული გალობის განხილვისას ვხედავთ, რომ იგი უნისონური, არაპოლიფონიურია.

ბერძნების ძირითადი მელოდია სავსებით თავისთავადია. ეს მელოდია მთლიანად ერთს, უფრო მტკიცე ხმას ერთვის, ამასთან სხვები პიესის მთავარი მოტივის ვარიანტებით ავსებენ ამ ხმას. ეს გალობა ულტრასტერილურია. აი, ამგვარ გალობას მიიღებდნენ ბალკანელი სლავები და ამათგან იგი რუსებთანაც გადავიდოდა. იბადება კითხვა: ასეთ შემთხვევაში, რუსულ ეკლესიაში საიდან გაჩნდა სამხმოვანი გალობა?

ბიზანტიაში მრავალხმიან საეკლესიო-ღვთისმსახურების გალობას რომ ეარსება, დღევანდლამდე უსათუოდ შენარჩუნებულიც იქნებოდა. მარტივი, მონოტონური გალობა უფრო დაიკარგებოდა, ვიდრე ჰარმონიზებული. ვარაუდი, რომ ასეთი მელოდიური გალობა თვით რუსული ეკლესიის წიაღში წარმოიშვა, უსაფუძვლოა, რადგან მელოდიური გალობის გამოსამუშავებლად მრავალი საუკუნე და კულტურის გარკვეული დონეა საჭირო.

საეკლესიო მუსიკის ღრმა მცოდნემ, ს. ვ. სმოლენსკიმ, ათონზე და ვენაში ნოტების უამრავი ფოტოსურათი გადაიღო. ისინი IX—XIII საუკუნეთა გალობების დამასკომდელ სანოტო სისტემამდეა შექმნილი და მათ საფუძველზე ასკვნის, რომ „ბერძნულ და რუსულ სასიმღერო

ნოტებს შორის მრავალი განსხვავებული გრაფიკული ნიშანია, რომლებიც ყოველი ნოტისთვისაა დამახასიათებელი და ბერძნულ და რუსულ გალობებს შორის კავშირს ასუსტებენ; თავიდან საერთო საწყისის მქონე, (?), ორივე ეროვნების ხელოვნება შემდგომში დამოუკიდებლად განვითარდა“. საერთო საწყისის შესახებ მტკიცება მხოლოდ ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის შემდგომ, ჩვენამდე მოღწეული VIII—XI საუკუნეთა ნოტებით იქნება შესაძლებელი. ვფიქრობთ, რომ სამხმიანი მელოდიური გალობა ქალდეველ-ქართველთაგან სლავებმა ისესხეს. როგორც ჩანს, ჯერ ბულგარელებმა გადაიღეს, შემდგომ კი ამათგან რუსებმა, თუმცა სულაც არაა დაუჯერებელი, რომ რუსებსაც ბულგარელთა მსგავსად, უშუალოდ ქართველთაგან გადაეღოთ.

როგორც უცხოელი მწერლები და მოგზაურები ადასტურებენ, ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ წინარექრისტიანულ ეპოქაში ადგენდნენ გუნდებს და თავიანთ სიმღერებს ღვთაებათა სადიდებლად ასრულებდნენ, ქრისტიანობის მიღებისთანავე ქართულმა ეკლესიამ მშობლიური წარმართული მელოდიების მთელი მრავალფეროვნება გამოიყენა. ყველა-სათვის კარგადაა ცნობილი ის თავისუფლება, რაც უპირველეს ეკლესიაში საღვთისმსახურებო გალობასთან დაკავშირებით ინერგებოდა. ტერტულიანეს მოწმობით, ეკლესიის ყოველ წევრს უფლება ჰქონდა ტაძრის ცენტრში გამოსულიყო და ღმერთი თავისი სურვილისამებრ ედიდებინა. ჩვენმა წინაპრებმა ბერძნებისაგან ქრისტიანობასთან ერთად არ მიიღეს მათი უნისონური გალობა, როგორც ეს გააკეთეს საკუთარი ნაციონალური მუსიკის არმქონე სომხებმა; ისინი (ქართველები) ხალხური ჰიმნების შესრულებისას იმავე მუსიკალური ცოდნითა და გემოვნებით ხელმძღვანელობდნენ, რაც თავად გამოიმუშავეს და ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში შექმნეს. ამგვარად, ქართული საეკლესიო გალობა ქართველ წარმართთა ხალხურ-რელიგიური მოტივების ნიადაგზე ვითარდებოდა. როცა ძველ ქართულ საგუნდო გალობას შორიდან ვუსმენთ, ზოგჯერ ძნელი დასადგენია, საეკლესიო სიმღერას ასრულებენ თუ ხალხურს, ისე ჰგავს ეკლესიური

მოტივები ხალხურს. ამიტაც შესაძლოა აიხსნას, ძველ საქართველოში საუკეთესო ხალხური მომღერლები სასულიერო წრიდან რატომ გამოდიოდნენ საეკლესიო-სლავური გალობის ბიზანტიური წარმოშობის შესახებ რუსეთში დამკვიდრებული ცრუ აზრის ზეგავლენით ჩვენი ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგი პლ. იოსელიანიც, ასევე, გაუთვითცნობიერებლად ჩვენს წინაპართა მიერ საეკლესიო გალობათა გადმოღებას ბერძნებისაგან ვარაუდობდა.

**ხალხურთან შედარება
ჩვენი ბალობისა, რომელიც
სათავის შორეულ
ნაოსნო ილავს და
ბაბილონის ლუკსულ
ნარნარებსა და ევფრატის
იაროგლიფებსა
გასილავით ასაქოვანია,
გვარნავენს, რომ ჩვენი
აქაიანილი საეკლესიო-
სლავთისმსახურო ბალობა
ჩვენი გაქრისტიანებული
ნარნარტი წინაპრების
სიმღერაა, ჩვენი
ქრისტიანობაილი
უკველსი ეროვნული
სიმღერის ღვიძლი
პირველია.**

ქართული საეკლესიო მელოდიები თვითმყოფადია და მშობლიური პოეზიის ნიადაგზე აღმოცენდნენ. შესაბამისად, ქართულ საეკლესიო გალობათა პოეტური ელემენტები მშობლიური პოეზიის ელემენტების არსის შემცველია.

გაოცების ღირსია ის, რომ ჩვენ მზისადმი მიძღვნილი ჰიმნი შევინარჩუნეთ, რომელსაც ჩვენი წინაპრები — კჰალდი — ქრისტეს შობამდე რამდენიმე ათასწლეულის წინათ მღეროდნენ, როცა ისინი ჯერ კიდევ მესოპოტამიაში, სამოთხის მდინარეთა, ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე მოსახლეობდნენ, ვმღერით ჩვენც, მათი შორეული შთამომავლები, ხოლო ყოფილი შუამდინარეთისა და ქალდეას დღევანდელ მცხოვრებთათვის იგი უცნობია. როგორ მოხდა, რომ ეს ჰიმნი შენარჩუნდა და აყვავდა იქ, სადაც არ დანერგულა და გაქრა იქ, სადაც თავდაპირველად



ამოიზარდა? როგორც ჩანს, ეს ჰიმნი შორეულ ჩრდილოეთში სწორედ იმ ყველაზე მუსიკალურ ხალხთან ერთად გადავიდა, რომელმაც იგი შეთხზა და პირველმა იმღერა. ამ უშესანიშნავესი, დედამიწაზე ყველაზე უძველესი ჰიმნის (მზის) მოტივის შესახებ გ. კორეშჩენკო ამბობს: „დამატყვევებელი მოხდენილობით, ლაზათით, სითბოთი და სინდრფელით, იგი ქართული ხალხური მუსიკალური პოეზიის ყველაზე მარგალიტი გახლავთ“.

ქართული ნაციონალური გალობის შესახებ გ. კორეშჩენკო ამბობს: «ქართული ხალხური სიმღერების სტილი, მელოდიის დიატონიკური ნაწილის მნიშვნელობით, მკაცრად თავშეკავებული ხასიათისაა. პლასტიკური სილამაზე, საეკლესიო კილოები და ქრომატიზმის უქონლობა ქართული საეკლესიო წესის მკაცრ ხასიათს შეესატყვისება... ქართველთა ხალხური სიმღერები ყველა ძველ საეკლესიო კილოსთანაა შეწყობილი, ამ კილოებისათვის დამახასიათებელი კადენციებითა და მოდულაციებით, რომლებიც დიდი ოსტატობით და როგორღაც თავისებური ორიგინალური ჟღერადობით გამოიყენებიან». ავტორი აღმოსავლურ მუსიკაზე თავისი დაკვირვებებისას ქართველთა ხალხური სიმღერების მრავალფეროვნებაზე, სიუხვეზე, მითითებულ სიმღერათა სილამაზისა და პოეტური შთაგონების შესახებ დანვრისგან განსხვავებით საუბრისას უცვილობელი მაგალითებით ამტკიცებს სომხურ გალობაზე ქართული მუსიკის ზეგავლენას, ხოლო ბოლოს, ქართულ და უკრაინულ სიმღერებს შორის პარალელის გავლებით მათ შორის ნათესაობას, საერთო მუსიკალურ ფაქტურას ადგენს. გ. კორეშჩენკოს მიერ მოყვანილ უკრაინულ და ქართულ სიმღერათა მსგავს მოტივებს გარდა, ჩვენ კიდევ ერთ სახელგანთქმულ უკრაინულ საცეკვაო-საგუნდო სიმღერაზე: „Гопь мой гречаники“... მივუთითებთ, რომელიც ნასესხებია ამგვარივე მარად ახალგაზრდა საცეკვაოდან, გუნდის მიერ რომ სრულდება. ეს საცეკვაოა „ცანგალა და გოგონა“.

უჭველია, უკრაინელები თავიანთ შესანიშნავ მელოდიებს ქართული ხალხური მუსიკის მაღალმხატვრული საგანძურისაგან იღებდნენ: „ძველ რუსს სიმღერები მრავალი ხალხისაგან სმენია, — ამბობს პროფ.

მაქსიმოვიჩი, — და შესაძლოა რუსულ სიმღერებში ბევრი ხმა ამ სიმღერათა გამოძახილია“. უკრაინაც საქართველოს მსგავსად სიმღერების ქვეყანაა. ორივე ხალხი წლის ყოველ დროს, ყოველ საქმიანობას, სოფლისა და ოჯახის ყოფიერებას განსაკუთრებული სიმღერებით აღნიშნავს. ქართულ სიმღერათა მინორულ კილოს შეესაბამება სევდა, რაც უკრაინული სიმღერებისთვისაც უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. როცა გ. კორეშჩენკო ქართული ნაციონალური მუსიკის მთელ საგანძურს საგანგებოდ შეისწავლის, დარწმუნდება, რომ ქართული საეკლესიო გალობა უძველეს ხალხურ კილოზეა აწყობილი და არა პირიქით.

არ შემოიძლია გავიზიარო პატივცემულ პოლ. კარბელოვის შეხედულება იმის თაობაზე, თითქოს ქართულ სიმღერებზე ებრაულ მელოდიებს მოეხდინოთ ზეგავლენა. როგორც ქალღმრთის გათხრები ადასტურებენ, როცა ქართველთა წინაპრებს — შალდებს მაღალი კულტურა ჰქონდათ, ისტორიულ სცენაზე ებრაელები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ და როცა გამოჩნდნენ, კიდევ დიდხანს მომთაბარე ყოფი-ცხოვრების წესს მისდევდნენ. მაშასადამე, თუ ვინმეს სიმღერა სხვისაგან შეეძლო გადაეღო, ებრაელებს ჩვენი წინაპრებისაგან უნდა გადაეღოთ და არავითარ შემთხვევაში — პირიქით.

ქართული ღვთისმსახურება

ალექსის მთავარდიაკონი პავლე, რომელიც XVII საუკუნის შუახანებში ანტიოქიის პატრიარქ მაკარს რუსეთში მოგზაურობისას ახლდა, იუნყება, რომ მოსკოვში პატრიარქებისა და მეფის თანდასწრებით საღმრთო ლიტურგიაზე მან სახარება ქართულ ენაზე წაიკითხა, ქართულადვე წარმოსთქვა შეგვიწყალენი (კვერექსი) «კათაკმეველნო! განვედით», რაც უდავოდ იმ პატივისცემას მოწმობს, რასაც როგორც რუსეთში, ისე აღმოსავლეთში ქართული ღვთისმსახურებისა და ენის მიმართ ამჟღავნებდნენ. ამაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ წარმოშობით არაბმა მთავარდიაკონმა პავლე ალექსოვლმა ქართული, ეჭვგარეშეა, ანტიოქიაში ისწავლა, სადაც ქართულ საღვთისმეტყველო ენას დიდად აფასებდნენ.

სახარების, ან სამოციქულოს წამღერებით კითხვა, შეგვიწყალენის

(კვერექსის) და ასამაღლებელის წარმოთქმის ხასიათი სწავებმა და მათ შორის რუსებმაც ქართველთაგან ისწავლეს, ვინაიდან ქრისტიან ხალხთაგან არავინ, გარდა ქართველებისა, წმიდა საღვთისმსახურო წიგნთა ამგვარი კითხვა და შეგვიწყალენის ასეთი გულწრფელი წარმოთქმა, არ იცის. სერბეთში სახარებისა და სამოციქულოს კითხვა უკეთაა შემონახული. უკანასკნელი რუსეთ-თურქეთის ომის დროს იქ მყოფი ქართველები ადასტურებენ:

სასაკაბისა და სამოციქულოს სარკულ საეკლესიო კითხვას შორიდან ყურს თუ დაუგდებ, იფიქრებ, რომ მათ ქართულ-ეკლესიურად კითხულობენ, ისე საოცრად კვანს ერთმანეთს ან საღვთო წიგნების კითხვა ჩვენთან და მათთან.

ხატწმარა

XVII საუკუნეში მოსკოვის სასახლესთან არსებულ ხატსაცავში სხვადასხვა წმიდანის 13 ქართული ხატია, ადვილად გაარკვევთ, რომ აღნიშნულ ქართულ ორიგინალურ ხატებს მეფის ხატმწერები ნიმუშებად იყენებდნენ, რასაც შეიძლება პავლე ალექსოვლისა და საჭურველთსაცავში მომუშავე მხატვართა მოწმობის საფუძველზე მიხვდეთ. ხოლო თუ ქართულ მართლმადიდებლურ ფერწერას ასე დიდად აფასებდნენ, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ იმდროინდელი რუსული საეკლესიო ფერწერა უდავოდ ქართულის გავლენასაც განიცდიდა. აქ საჭიროდ მიმაჩნია აღინიშნოს ფაქტი, რომ რუსი სწავლულები, ჩვეულებრივ, საერთოდ დუმან რუსეთზე ივერიის კულტურული გავლენის შესახებ იქაც კი, სადაც ამაზე უდავოდ მითითებები არსებობს. ქართველ ხატმწერთა ნიმუშობლივი თავისებურება ის გახლავთ, რომ მათ ხატის გამოსახვისას მიზნად ჰქონდათ მნახველი არა ნათელი კოლორიტით, სიჭრელით ან კომპოზიციის ორიგინალობით მოეხიბლათ, არამედ შინაარსით. მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ხატს, როგორც წმიდა საგანს, მლოცვე-



ლებში აღედრა და აემალელებინა ლოცვის განწყობილება, გამოეხატა რწმენის სულიერი და არა გარეგნულ-მატიერიალური სილამაზე. ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული ხატები და ფრესკული გამოსახულებები, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავთ კეთილმორწმუნე მლოცველები და საეკლესიო მხატვრობის სპეციალისტები, ამის საუკეთესო დასტურებაა.

ვფიქრობთ, ძველ რუსეთში ცნობილი ხატწერითი ნიმუშევერები, შესრულებული გრძელი, სწორი ხაზებით, ორი ან სამი საღებავით, ხატებზე წაგრძელებული, მკაცრი, მაგრამ მშვიდი და დიდებული სახეებით ქართული ხატწერის სკოლის ზეგავლენით გაჩნდა. ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც წაგრძელებული სახე აქვს, ქართული ხატწერის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება გამოდგეს. ამ დამახასიათებელი ნიშანთვისებებით გამოარჩევს ღირსი პორფირი (უსპენსკი) ქართული ხატწერის ნიმუშებს ბერძნულისაგან.

ქართულ საეკლესიო მხატვრობას რუსეთში დიდი დაფასება რომ ჰქონდა, ეს ყველაზე უკეთ ქართულ ნიმუშთა მიბაძვებიდან ჩანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთში ტაძრების მოხატვა ათონის მთის ივერთა მონასტრის ნიმუშებით ხდებოდა. ქრისტიანთა შორის ივერიის მონასტრის ფერწერას საერთოდ მეტად მაღალი შეფასება ეძლეოდა. ამის შესახებ შემდეგი ღვთისმოსაური გადმოცემაც არსებობს: ივერიის მონასტრის საკრებულო ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში განსაკვიფრებელია უფალი იესოს მთლიანი ფერწერული გამოსახულება. გადმოცემით, თითქოს მავანი მლოცველი უფლისადმი დიდხანს გულმოდგინე ლოცვებს აღავლენდა და სთხოვდა, მისთვის უფალი იესო ქრისტე ხორცშესხმული სახით მოეწვლინა. საიდუმლო ხმამ დაჟინებულ მლოცველს გამოუცხადა: „ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში წადი, იქ, ჩრდილოეთის კართან, რომელიც ტაძრის კარიბჭესთან გაგიყვანს, მთელი ტანით ჩემს გამოსახულებას ნახავ; შეხედე მას, — ასეთი ვარ მე, ხორცშესხმული“.

ქართული ფერწერის ისტორია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაუმუშავებელია და რუსეთში ყოველივე არაიტალიურს ბიზანტიურად მიიჩნევენ, დახვეწილ ქართულ ფერწე-

რას ბიზანტიურისაგან ჯერ კიდევ ვერ არჩევენ. გ. როვინსკის სიტყვებით, „ხატების შემგროვებლები და მოყვარულები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ, რომელი ხატი მიიჩნიონ ბერძნულად“.

წმიდანთა გამოსახულების მისაღებად განკუთვნილი ნაჭრების ფიცრებზე დაწებების ჩვეულება, — ამბობს გ. როვინსკი, — ალბათ, დასავლეთიდან შემოვიდა და ვაზარი ამ გამოგონებას XIII საუკუნის ფერმწერს მარგარიტონე დ, არეცოს მიაწერს. ჩვენში კი ამ ხელოვნების კვალი XI—XII საუკუნეებში გვხვდება.

ქართულ საეკლესიო მუზეუმში ჩემ მიერ ქვათახვის მონასტერში ნაპოვნი სამი უძველესი ხატია. ერთ მათგანზე აშკარად ჩანს, რომ ფიცარი წინასწარ აბრეშუმის თხელი მოყვითალო ნაჭრით იყო დაფარული, ზემოდან წაესვით რაღაც თეთრი მასა, ხოლო შემდეგ ზედ წმიდა სახე გამოესახათ. ეს ხატები XII საუკუნემდეა დამზადებული და ამ ხელოვნებას რუსეთში მართლმადიდებლური საქართველოდან უფრო შეედლო შეღწევა, ვიდრე უცხო დასავლეთიდან, რომელსაც რუსეთში ერეტიკოსულად მოიხსენიებდნენ. რუსულ ორნამენტს, განსაკუთრებით გარეული ცხოველებისას, მეცნიერება ამჟამად ქართულთან აკავშირებს; როგორც ჩანს, ამ მხრივ რუსული ხელოვნება ქართული მდიდარი ორნამენტების გავლენას განიცდიდა. „ორნამენტების დამუშავებაში, გრაფი. ტოლსტოისა და ნ. კონდაკოვის სიტყვებით, ქართულმა ხელოვნებამ თვით ბიზანტიურ ხელოვნებასაც და მის განშტოებებს: იტალიურს, სერბიულს და ა. შ. სძლია. ქართული წნული ფორმები ირლანდიურზე მაღლა დგას, მათი ხასიათი უფრო სწორია, ორნამენტთა ნახატობა უფრო ცხადი, ნახატების დანიშნულება და აზრი არქიტექტურულ მიზანს ეთანხმება და წარმოსახვისმიერ ქაოტურ თვითნებობასა და ფორმებით თამაშს არასოდეს ემორჩილება“.

საეკლესიო-საღვთისმეტყველო ფერწერა

განდევითა ლიტერატურის ზოგიერთი რუსული ძეგლი, რომლებიც ქართულ აპოკრიფებთან მსგავსებას ავლენენ, მათი უშუალო გავლენით გაჩნდა. ასეთებს მიეკუთვნება „საგა-

ლობელი“, რომელიც XV საუკუნის ერთ კრებულში ეზრას მიეწერება.

გიორგი მთაწმიდელის მონაფისა და ბიოგრაფის, გიორგის მონაფობით, ათონის ქართველთა ივერიის მონასტრის წინამძღვარმა წმ. ექვთიმემ (1028 წ), ქართულ ენაზე საღმრთოღვთისმსახურებითი წიგნების ცნობილმა მთარგმნელმა, დროის სიმციურის გამო შემოკლებული სახით თარგმნა სვინაქსარი ივერიის მონასტრისათვის. ეს ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ ექვთიმემ, როგორც სწავლულმა მამამ და კანონიკოსმა, რომელმაც ბრწყინვალე განათლება მიიღო ბიზანტიის სასწავლო დაწესებულებებში, სრული ბერძნული სვინაქსარიდან აიღო ის, რაც უფრო საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ანდა უპრიანი იქნება ითქვას, სვინაქსარი გადაამუშავა და თავის საკანონს ახალი რედაქციით მიაწოდა. უეჭველად, სწორედ ამ ქართული რედაქციიდან ითარგმნა უშუალოდ უძველესი ხილანდარის სვინაქსარი იერუსალიმის ტიპიკონის მიხედვით, ვინაიდან ბერძნულად ამ ტიპიკონის სხვა შემოკლებული რედაქცია მეცნიერებისათვის აქამდე უცნობია. ქართულ წყაროებში ტიპიკონის ექვთიმესეულ რედაქციაზე პირდაპირი მითითების შემდეგ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდი, რომ ხილანდარის სვინაქსარი ითარგმნა უძველესი ტიპიკონის მოკლე ბერძნული სვინაქსარიდან, რომლის არსებობის შესახებ არაფერია ცნობილი და რომელსაც ამაოდ ეძებენ.

თსულება: „საკვირავლი და ვიტაჲ გარჲი აგაჲი ქალწულჲი, ივერიის მეფის ქალიშვილ დედოფალ დინარაჲი, რომელმაც სპარსთა მეფე აღკაჲელჲნი დააგარსხა“.

ეს ნაწარმოები ძველ რუსეთში საყვარელ სულიერ-შემეცნებით თხზულებებს განეკუთვნებოდა; იგი ძველ რუსულ ქრონოგრაფებში ხშირად გვხვდება. ეს თხზულება აკადემიკოსმა მ. ბროსემ ისტორიული განმარტებებითურთ გამოსცა და ფიქრობს, დინარა, რა თქმა უნდა, იგივე დიდი თამარიაო, თუმცა, «ქართლის ცხოვრებიდან» იცის, რომ დინარა



ჰერეთის დედოფალი იყო და სახელოვან თამარამდე სამი საუკუნით ადრე ცხოვრობდა. დინარა „ქართლის ცხოვრებაში“ ორჯერაა მოხსენიებული. ცნობილია, რომ იგი ღვიძლი და იყო გურგენ ერისთავთერისთავისა და მართლმადიდებლობაზე მოაქცია თავისი ვაჟიშვილი იშხანიკი და წარმართული ჰერეთი. უფრო დაწვრილებითი ცნობები დინარაზე „ქართლის ცხოვრებაში“ არაა, რადგან ჰერეთის სამეფოს თავისი მატინე ჰქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მიკვლეული არაა. მ. ბროსეს აზრი შესაძლოა გარკვეულ წილად დასაჯერებელი ყოფილიყო, რომ დინარას სახელი საქართველოს ისტორიაში საერთოდ არ გვხვდებოდეს, მაგრამ იგი ისტორიული პიროვნებაა და ჩვენი თანამემამულე მემკვიდრეებისა და სომეხი მწერლებისათვის კარგადაა ცნობილი. რუსები თამარს ისე კარგად იცნობდნენ, დინარაში არ აერეოდათ. თამარი რუს მთავარ გიორგიზე, ანდრეი ბოგოლიუბსკის ძეზე იყო დაქორწინებული და თავის ბრწყინვალე გამარჯვებათა წყალობით რუსებისთვის ცნობილი გახლდათ. ასევე უსაფუძვლოდ და ყოვლად დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ნ. გ. უსტრიანოვის მოსაზრება, თითქოს თქმულება დედოფალ დინარაზე დიდი სიძველით არ გამოირჩევა და იგი ზღაპარია, რომელსაც ყვებოდნენ ქართველები რუსეთში მეფე მიხეილ თევდორეს ძისა და მისი მემკვიდრის კარზე. უსტრიანოვის მოსაზრებებთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს, რომ პირველ რიგში ეს ამბავი რუსულ ქრონოგრაფებში გვხვდება, რომელთა უძველესი ნუსხები XVI საუკუნეს სცდება, მეორეც, ზღაპარი ისტორიულ ქრონიკებში ვერ მოხვედებოდა. ამ თქმულების მნიშვნელოვანი ნაწილი ივერიიდან რომაა, მისი გადმოცემის ლიტერატურული სტილიც მიუთითებს.

1639 წელს რუს დესპან ფ. ვოლკონსკის ალავერდელმა ეპისკოპოსმა ზებედემ აცნობა, რომ ალავერდის ტაძარი სპარსთა მეფის დამმარცხებელი ქართველი დედოფლის, დინარას შვილის მიერაა დაარსებული, რომ დამაარსებლის ნეშტი მონასტრის ტაძარში განისვენებს, რომ მემკვიდრეები დინარას სახელოვანი მეფობისა და სპარსეთის მეფეზე გამარჯვებათა შესახებ თხრობისას არაფერს ამბობენ, გათხოვილი თუ

იყო, ან შვილები თუ ჰყავდა. აქ დედოფალ დინარას მაგიერ თამარ მეფე რომ იგულისხმებოდეს, ნიგნიერი კაცი, მთავარეპისკოპოსი ზებედე არ იტყოდა, რომ მატინე მის ქორწინებაზე არ ლაპარაკობს, არც იმაზე, ჰყავდა თუ არა შვილები, ვინაიდან „ქართლის ცხოვრება“ დაწვრილებით მოგვითხრობს თამარის ორჯერ, გიორგისა და დავითზე დაქორწინების შესახებ, ასევე მოგვითხრობს, რომ მას შვილები, გიორგი და რუსუდანი ჰყავდა და, როგორც თამარი, ისე მისი მემკვიდრე, გიორგი არა ალავერდის, არამედ გელათის მონასტერში არიან დაკრძალულნი.

კახეთის ნაწილი — ჰერეთი ქართული ტომითაა დასახლებული. ეს პროვინცია

ერთ-ერთ რუსულ საბავშვო სიმღერაშიცაა ნახსენები:

**„Дождикъ, дождикъ, перестан,
Я поеду в эрестан...“
„წვიმავ, წვიმავ, გადაიღე,
წავალ მე ჰერეთში...“**

ეს სიმღერა, უეჭველია, ადრე ხალხური იყო და რუსეთ-საქართველოს მჭიდრო კავშირზე მიუთითებს, ე. ი. რელიგიური მომლოცველობა, რომელიც როგორც ამ სიმღერის შინაარსიდან ჩანს, გრძელდებოდა ქრისტიანულ პერიოდშიც, საქართველოდან რუსების წინაპართა გადასახლების შემდგომაც.

**ქებათაქების
იპოლიტიკური
განმარტუება**

ქებათაქების იპოლიტიკური განმარტებების ჩვენამდე მოღწეული სლავური ნაწყვეტები შემდეგ მოსაზრებებზე დაყრდნობით უდავოდ ქართულიდანაა თარგმნილი:

1. ეს ნაწყვეტები უფრო ქართულს მიესადაგება, ვიდრე ბერძულსა და სხვა თარგმანებს;
2. ნაწყვეტების ადგილები, რომლებიც ბერძულ ორიგინალს არ ესადაგებოდა და სწავლულთა მიერ სლავურ თარგმანთა წიაღსვლებად იყო მიჩნეული, ქართულ თარგმანებს ემთხვევა;
3. ქართული ტექსტი XI სლავური საკამათო ნაწყვეტის სისწორესა და შესაფერისობას ამტკიცებს;
4. იპოლიტიკისათვის მიკუთვნებული გავრცელებული სათაური: „სიტყვები სამყაროს აღსასრულსა და ანტიქ-

რისტეზე და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაზე“, ბერძნულ ორიგინალში არ მოიპოვება და, კ. ნევისტრუევის აზრით, ეფრემ სირინისაგან არის გადმოღებული მაშინ, როცა ქართულმა ტექსტმა ეს ვრცელი სათაური შეინარჩუნა და, მაშასადამე, ორიგინალშიც იპოლიტიკის სიტყვას ვრცელი წარწერა ჰქონდა;

5. ქართული და სლავური თარგმანები ერთსა და იმავე ადგილზე, მესამე თავის მეშვიდე ტაეპით მთავრდება.

**საიდანაა აღებული
გაბალითი იმანე სუსანიის
გმირული
მოქმედებისათვის?**

„ქართლის ცხოვრება“ იტყობინება, რომ 1609 წელს თურქები საქართველოს თავს დაესხნენ და მანგლისის ახლოს სოფელი კველთა გადაწვეს, ხოლო იქაური მღვდელი (თევდორე) შეიპყრეს, აწამებდნენ, მათრახებით სცემდნენ, რომ ლუარსაბ მეფის ადგილსამყოფელი დაესახლებინა, მაგრამ მღვდელი თავისთვის იმეორებდა: „მარადიულ ცხოვრებას ამ საწუთროზე არ გავცვლი და მეფისა და სამშობლოს მოლაღატე არ გავხდები“. მან თურქები გოსტიბეს ახლოს ჩაატარა (სანინააღმდეგო მხარეს) და კვენადროს გზაზე გაიყვანა. როცა თურქები დარწმუნდნენ, რომ მღვდელმა ისინი შორს გაიტყუა, მას თავი მოჰკვეთეს.

მღვდელი თევდორე „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით წმიდანადაა შერაცხილი. ამ პერიოდში საქართველოსა და რუსეთს ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ. მეფის ერთგულმა რუსმა მნიგნობარმა ამ ყურმოკრული ამბის საფუძველზე შეთხზა ლეგენდა ივანე სუსანიის თავგანწირვის შესახებ, ვის გმირობასაც მოსკოველი მემკვიდრე არ იცნობს. «XIX საუკუნემდე, — ამბობს ნ. ი. კოსტომაროვი, — როგორც ცნობილია, აზრად არავის მოსვლია, სუსანიის მეფის გადამრჩენად მიეჩნია და მისი ჩვეულებრივი გმირობა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად შეერაცხა». ივანე სუსანიისა რომ გმირობა ჩაიდინა, რომ პოლონელები, რომლებიც მიხეილ თევდორეს ძეს ეძებდნენ, არა იქ მიიყვანა, საითაც ისინი მისწრაფოდნენ, და მეფისთვის სიცოცხლე გასწირა, ისტორიკოს კოსტომაროვს ანეკდოტად მიაჩნია.

დასასრული შემდეგ ნომერი



რ.ი. კოსოლაბოვი: სტალინი და ლენინი

ამ სახელწოდების ნაშრომი შეიცავს ტროცკ-ბრუშჩოვისა და გორბაჩოვ-ელცინის პროპაგანდის ზოგიერთი ცილისმწამებლური ვერსიის უარყოფას. მოცემული პუბლიკაციის ნაწყვეტში გამოაშკარავებულია ლენინის სიცოცხლის ბოლო პერიოდში ლენინ-სტალინის ურთიერთობისთვის ჩრდილის მიყენების მცდელობა.



1922 წლის დეკემბერში ლენინის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო, საჭირო გახდა განსაკუთრებული ზომების მიღება. ამიტომ ცკ-ს პლენუმმა გადაწყვეტილება მიიღო, სტალინისთვის „ვლადიმერ ლენინის იზოლაციაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრებინა, როგორც პირად ურთიერთობაში, ასევე მიმონერაში (სკკპ ცკ-ს უწყებანი, 1989, № 12, გვ. 191). ადვილი წარმოსადგენია სტალინის აღმოფთვება, როდესაც მან შეიტყო, რომ დადგენილი რეჟიმის მიუხედავად, რამდენიმე დღის შედეგ, კრუპსკაიამ კარნახით ჩაწერა ლენინის წერილი ლ.დ. ტროცკისადმი, რისთვისაც მას ფსიქიკის, ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების დიდი დაძაბვა სჭირდებოდა. მოგვიანებით „კეთილისმსურველები“ სხვაგვარად გადმოგვცემდნენ ამ საუბრის წერილმანებს, რომლებიც საგონებელში გვაგდებენ. დრამატურგმა მ. ფ. შატროვმა (უძრავობის პერიოდის „ლენინიანის“ ავტორი) სტალინს სამინიელი ლანძღვა დააბრალა, მაგრამ ყველაფერი გაცილებით უბრალოდ იყო. კრუპსკაიას სასტიკად ეწყინა, როცა სტალინმა მას ცენტრალური საკონტროლო კომისიის არსებობა შეახსენა, რომელსაც ცკ-ს დადგენილებების დარღვევის აღკვეთა ევალებოდა.

ისტორიკოსები ჭეშმარიტებას ამახინჯებდნენ, იგონებდნენ ისტორიული პროცესების იდეალურ მონაწილეებს. აღწერილ სიტუაციაში ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ტრადიციულად უბიწოების პრეზუმციის მატარებელი იყო, მაგრამ, ეს, სამართლიანი, ალბათ, არ არის. ლენინის დის, მ.ი. ულიანოვას მოწმობით, კრუპსკაია სტალინთან საუბრის შემდეგ „საკუთარ

თავს არ ჰგავდა, მოთქმით ტიროდა, ძირს გორაობდა და ა.შ.“. არ შეიძლება არ თანავუგრძნოთ მას, თუ იმას გავითვალისწინებთ, რა ძლიერი ნერვიული დაძაბულობის ქვეშ ცხოვრობდა არაერთი თვის განმავლობაში, მაგრამ როგორც სხვა რამეს, ყველაფერ ამასაც სხვა მხარეც აქვს. კრუპსკაია აპელირებას უკეთებდა იმ პიროვნებებს, „როგორც უფრო ახლო ამხანაგებს“. რომლებსაც ლენინმა არაორაზროვანი უარყოფითი პოლიტიკური შეფასება მისცა 24 დეკემბრის „ყრილობისადმი წერილში; აპელირებდა სტალინის წინააღმდეგ, რომლის შესახებაც ნათქვამი იყო მხოლოდ, რომ მისი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ შეძლებს მისთვის მინდობილი „განუსაზღვრელი უფლებების საკმაო სიფრთხილით გამოყენებას“.

სტალინს მიაწერენ ფრაზას, რომელიც თითქოს მან კრუპსკაიას მიმართით წარმოთქვა: „ჩვენ კიდევ ვნახავთ, როგორი ლენინის მეუღლე ხართ“. ამ თემასთან დაკავშირებული სერიოზული პუბლიკაციის ავტორი ი.მ. ლოპუხინი თვლის, რომ სტალინის მიერ ასეთი სიტყვების თქმა „გამორიცხული არ არის“. ამავე დროს, დრამატურგმა შატროვმა ეს ფაქტი მაქსიმალურად მიუღებლად წარმოაჩინა. **ლოპუხინმა სტალინის ამ განცხადებაში დაინახა კრუპსკაიას „ი.ფ. არმანდთან მეგობრობა“, მაგრამ ქალისთვის იმისი თქმა, რომ ის ერთგული მეუღლე არ არის, სულაც არ ნიშნავს ნებისმიერი ადამიანის მიმართ მის მეგობრობაზე მინიშნებას.**

კრუპსკაიას ეპიზოდი ლენინის ყურამდე სამი მიზეზის გამო მანც მივიდოდა. სტალინი, არსებითად, მართალი იყო, ავადმყოფის მდგომარეობა შეიძლება გაუარესებულიყო; ნადეჟდა კონსტანტი-

ნეს ასული, ლენინის ბარათის თანახმად, „თანახმა იყო, ნათქვამი დაევიწყებინა...“ თავიდან, თითქოს ყველაფერი ამისკენ მიდიოდა, მაგრამ ორ-ნახევარი თვის შემდეგ, როცა თითქოს ყველაფერი „დანყნარდა“. ვილაც (იქნებ თავად კრუპსკაიას წამოსცდა) აცნობებს ლენინს ამ ჩხუბის შესახებ და დაუფარავი სიამოვნებით ადევნებს თვალს შედეგებს. დარტყმა კარგადაა გათვლილი: სტალინმა შეცდომა დაუშვა და კითხვის ქვეშ დააყენა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია; სტალინი აჩქარდა ავტონომიზაციასთან დაკავშირებით და „ქართველთა“ საქმეში ჩაეფლო (ორივე შემთხვევაში, რაც საერთოდ, ლენინს არ ახასიათებდა, ის ტროცკის მხარდაჭერას ეძებს); სტალინი უკვე გადადგომის კანდიდატია, ახლა კიდევ კრუპსკაიას ეუხეშა, მაგრამ, აი, უბედურება. **ლენინი სერიოზულად გაფხუკიანდა, ბოდიშის მოხდა მოითხოვა და... ტონს დაუნია.** მიზეზი, ჩემი აზრით, ავადმყოფობის გამწვავებაში როდია. მიზეზი, ასე ვთქვათ, „საერთოა“. ლენინისთვის, ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ყოველთვის პირადულზე მაღლა იდგა.

მარია ულიანოვა მიუთითებს, რომ კრუპსკაიამ 5 მარტს შეიტყო სტალინისადმი ლენინის მიერ ნაკარნახევი წერილის შესახებ სტენოგრაფისტ მ.ა. ვოლოდირევასგან, სთხოვ-



და, რომ ის ადრესატისთვის არ გადაეცა, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ის მაინც გადასცეს სტალინს. წერილის მიღებისთანავე, 7 მარტს, სტალინმა პასუხი მისწერა ლენინს. „სტალინის პასუხმა რამდენადმე დაიგვიანა, — იგონებდა მ. ი. ულიანოვა, — მოგვიანებით გადაწყვიტეს (ალბათ, ნ.კ-მ და ექიმებმა), წერილი ვ. ი.-სთვის არ გადაეცათ, რადგან მისი მდგომარეობა გაუარესდა. ასე რომ, ლენინმა ვერ მიიღო პასუხი, რომელშიც სტალინი ბოდიშს იხდიდა“. ის, რომ ლენინმა პასუხი ვერ წაიკითხა, კრუპსკაიას და მისი მრჩევლების სინდისზეა.

აი, ეს წერილი:

„ამხ. ლენინს სტალინისგან.

მხოლოდ პირადად.

ამხ. ლენინ!

ხუთი კვირის წინ ნ. კონსტანტინეს ასულს ვესაუბრე, რომელსაც არამართო თქვენს მეუღლედ, არამედ ჩემს ძველ პარტიულ ამხანაგად ვთვლი და ვუთხარი მას (ტელეფონით) დაახლოებით შემდეგი: „ექიმებმა ვლადიმერ ილიას ძეს აუკრძალეს პოლიტიკური მოქმედების მიღება, რადგან ასეთი რეჟიმი მისი გამოჯანმრთელებისთვის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიაჩნიათ. ამ დროს კი, თქვენ, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, ამ რეჟიმს არღვევთ; არ შეიძლება ლენინის სიცოცხლით თამაში“ და ა.შ.

მე არ ვთვლი, რომ ამ სიტყვებში შეიძლება რაიმე უხეშობისა და და-



უშვებელის დანახვა, რაც თქვენს „სანინალმდებოდ“ იქნება მიმართული, რადგან თქვენი ძალიან გამოჯანმრთელების სურვილის გარდა, სხვა მიზანი არ მქონია. უფრო მეტიც, მე ჩემს ვალად ვთვლი, თვალი მედევნებინა რეჟიმის დაცვისთვის. კ. კონთან ჩემი ახსნა განმარტებების შემდეგ დავრწმუნდი, რომ უბრალო გაუგებრობის გარ-

და არაფერი ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

თუმცა, თუ თქვენ თვლით, რომ „ურთიერთობების“ შენარჩუნებისთვის მე „უკან უნდა წავილო“ ჩემ მიერ ზემოთ ნათქვამი სიტყვები, მე მათ უკან წავილებ, თუმცა უარს ვაცხადებ იმის გაგებაზე, რაშია ჩემი „დანაშაული“ და, საკუთრივ, რა სურთ ჩემგან“.

■ იყო თუ არა სტალინი ლენინის თვითმკვლელობის თანამონაწილე?

1911 წლის 20 ნოემბერს ლენინი რსდმპ-ს სახელით სიტყვით გამოვიდა მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთი პიონერის — პოლ ლაფარგისა და მისი მეუღლის, მარქსის ქალიშვილის, ლაურას დაკრძალვაზე. პოლი იმ დროისათვის 69, ხოლო ლაურა — 66 წლის იყო. მეუღლეები იმ აზრს იზიარებდნენ, რომ სიბერეში ადამიანი რევოლუციური ბრძოლისთვის გამოუსადეგარი ხდება, 70 წელი ამისთვის ასაკობრივ ზღვრად მიიჩნეეს და ორივემ თავი მოიკლა. ამ შემთხვევამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ვლადიმერ ილიას ძეზე.

შემონახულია ლენინის მდივნის ლ.ა. ფოტიევას ჩანაწერი, რომე-

ლიც 1922 წლის ბოლოს მიეკუთვნება: „22 დეკემბერს ვლადიმერ ილიას ძემ სალამოს 6 საათზე დამიძახა და მიკარნახა შემდეგი: „არ დამავინყდეს, მივიღო ყველა ზომა, იმ შემთხვევაში, თუ დამბლა მეტყველებაზე გადავა, ვაშოვინო და მოვატანინო კალიუმციანიდი, როგორც ჰუმანურობის გამოვლინება და ლაფარგების წყვილის მიბადვა...“ ამასთან, დაამატა: „ეს ჩანაწერი დღიურისთვის არაა. თქვენ ხომ გესმით? ხომ გესმით? და მე მჯერა, რომ თქვენ ამას შეასრულებთ“. ფრაზის დასაწყისი ვერ გაიხსენა. ბოლოში კი ვერ გავარჩიე, რადგან ძალიან ხმადაბლა საუბრობდა. როდესაც ჩავეკითხე, არ

მიპასუხა. მიბრძანა, ყველაფერი აბსოლუტურად საიდუმლოდ შემენახა“.

აზრი შხამის თან ქონასთან დაკავშირებით ლენინისთვის ახალი არ იყო. პირველად ეს აზრი მან სტალინს მაშინ გაუზიარა, როდესაც, დამბლის შედეგად, 1922 წლის 30 მაისს დროებით დაკარგა მეტყველება. სტალინმა საუბრის შინაარსი მაშინვე მ.ი. ულიანოვას აცნობა. მას უფრო არ უთქვამს ლენინისთვის ამ დელიკატური თხოვნის შესრულებაზე, მაგრამ ყოველნაირად ეცადა, რომ მისთვის უიმედობის განცდა გაექარწყლებინა.

1922 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან ლენინი კვლავ მუშაობაში ჩა-



ეფლო. ბევრს უკვე ეჩვენებოდა, რომ მწყობრში ძველი ლენინი დაბრუნდა. მაგრამ უკვე ახლოვდებოდა ტრაგიკული კვანძის გახსნა.

პარტიულ წრეებში მიღებული იყო ლენინის სურვილის დაფარვა ავადმყოფობის შემთხვევაში მისი მონამვლის შესახებ. ხრუშჩოვმა იმიტირება გაუკეთა ლენინსა და სტალინს შორის განხეთქილებას უკვე 1923 წლის 5 მარტის ბარათის შემდეგ. ასე შვა საიდუმლომ სიცრუე. ბოლოსდაბოლოს, ქვეყანაში სიცრუით შემოვიდა კონტრევოლუცია.

გავანბილებ სეირის მოყვარულთ: **ლენინის სტალინის მიმართ უნდობლობის გრძნობა არ გასჩენია.** ადრინდელი ნდობით აღსავსე ურთიერთობა (მართალია, ლენინის დამუნჯების გამო დეფორმირებული) მათ შორის მაინც აღსდგა. ამას ადასტურებს 7 მარტით დათარიღებული სტალინის მობოდიშების წერილი და მისივე, 1923 წლის 21 მარტით დათარიღებული რკპ(ბ) ცკ-ს პოლიტიბიუროს წევრებისადმი მიწერილი ტრაგიკული ბარათი. „ცკ-ს ოპოზიციური უმცირესობა ბოლო დროს ახორციელებს სისტემატურ პოლიტიკურ თავდასხმას ამხ. სტალინის მისამართით, იმასაც კი ამტკიცებენ, თითქოს ლენინსა და სტალინს შორის ვ. ლენინის სიცოცხლის ბოლო თვეებში ურთიერთობა დაიძაბა“. — წერდა მ. ულიანოვა ცკ-ს და ცსკ-ს გაერთიანებული პლენუმის პრეზიდიუმს 1926 წლის 26 ივლისს. 20-იანი წლების ოპოზიციის ვერსია 30 წლის შემდეგ განაახლა ხრუშჩოვმა. თუ ფაქტების დაფარვასა და საბუთებით მანიპულირებას დავანებებთ თავს, ეს ვერსია მაშინვე გაქრება.

1923 წლის 21 მარტს (არც დეკემბერი და არც 23 თებერვალი) სტალინმა პოლიტიბიუროს წევრებს გაუგზავნა ბარათი გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“. სწორედ ეს ბარათი ააფარა მაყურებელს ტელეეკრანიდან თვალებზე 1994 წლის 21 აპრილს ვოლკოგონოვმა და რატომღაც სწორედ მისი ადგილი არ აღმოჩნდა ნიგნში „დაპირისპირება“.

„შაბათს, 17 მარტს, — წერდა გენერალური მდივანი, — ამხ. ულიანოვამ არქიკონსპირაციულად მაცნობა „ვლადიმერ ილიას ძის თხოვნის შესახებ სტალინის მიმართ“. თითქოს სტალინმა საკუთარ თავ-



ზე აიღო ლენინისთვის კალიუმციანიდის ულუფის შოვნა და მისთვის გადაცემა. ჩემთან საუბარში ნ.კ.-მ აღნიშნა, რომ „ვლადიმერ ილიას ძე აუტანლად იტანჯება“. რომ „მისთვის ასეთი სიცოცხლე წარმოუდგენელია“ და „დაბეჯითებით მთხოვდა, რომ „ლენინის ამ თხოვნაზე უარი არ მეთქვა“. ნ.კ.-ს განსაკუთრებული დაჟინებისა და იმის გამო, რომ ვ. ლენინი მოითხოვდა ჩემს თანხმობას (ვ. ლენინმა ორჯერ გამოიძახა თავისთან ნ.კ ჩემთან საუბრის დროს და მღელვარედ მოითხოვდა „სტალინის თანხმობას“. რის გამოც ჩვენ იძულებულები ვიყავით, ორჯერ შეგვეწყვიტა საუბარი). მე შეუძლებლად ჩავთვალე უარის თქმა და განვაცხადე: „ვთხოვ ვლადიმერ ლენინს, დამშვიდდეს და სჯეროდეს, რომ, როგორც კი საჭირო იქნება, მე ურყევად შევასრულებ მის მოთხოვნას“. ლენინი მართლაც დამშვიდდა.

უნდა განვაცხადო, რომ სინამდვილეში მე ვერ შევძლებ ლენინის თხოვნის შესრულებას და იძულებული ვარ, ამ მისიის შესრულებაზე უარი განვაცხადო, რაც უნდა ჰუმანური და აუცილებელიც იყოს ის. ამის შესახებ მინდა ვაცნობო ცკ-ს პოლიტიბიუროს წევრებს“.

ბარათი დაწერილია რკპ(ბ) ცკ-ს მდივნის ბლანკზე. ფურცლის ზედა კუთხეში არის გ. ზინოვიევის, ვ. მოლოტოვის, ნ. ბუხარინის, ლ. კამენევის, ლ. ტროცკის, მ. ტომსკის ხელმოწერები, რომლებმაც ბარათი წაიკითხეს. უკანასკნელმა მათგანმა საჭიროდ ჩათვალა საკუთარი აზ-

რის გამოხატვა: „წავიკითხე. ვთვლი, რომ სტალინის „ყოყმანი“ სწორია. კარგი იქნებოდა, პოლიტიბიუროს წევრებს აზრი გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის მდივნების (ტეენ.) გარეშე“.

დოკუმენტი ფასებულია იმიტაც, რომ ნათელს ჰფენს სტალინის მიერ ლენინის ვითომ მონამვლის ფაქტს. ეს „ისტორია“ ხალხს, მასებს, ყოველთვის ტროცკისეული შეფასებით მიენოდებოდა. ტროცკის „დაავინწყდა“ ამ ბარათზე საკუთარი ხელმოწერის შესახებაც და დემაგოგიურ ზენოლას ახდენდა იმაზე, რომ „ლენინი სტალინში ხედავდა ერთადერთ ადამიანს, ვისაც შეეძლო ტრაგიკული თხოვნის შესრულება, ან უშუალოდ იყო დაინტერესებული მის შესრულებასში“. სამწუხაროდ, ტროცკი ნათლად ვერ ხსნის თავის არყოფნას მოსკოვში, ლენინის გარდაცვალების მომენტში. იცოდა რა ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მათი საერთო მკურნალის ფა. გოტიესგან, ის საბედისწერო დასასრულამდე სამი დღით ადრე, რაც ინფექციის სამკურნალოდ გაემგზავრა სამხრეთში. რაში დასჭირდა მას ეს უცნაური „ალიბი“. დღემდე გამოცანად რჩება.

მიუღერის თანახმად, გოტიემ ორჯერ ინახულა ტროცკი მის გამგზავრებამდე ბოლო დღე-ღამის განმავლობაში. მათი საუბრის შინაარსი, რომელიც მხოლოდ მათ შორის მიმდინარეობდა, რა თქმა უნდა, უცნობია. მაგრამ, აი, მეორე, ფ.დ. ვოლკოვის აშკარად ტენდენციური ვერსია: „თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვების ცხოვრებაში გასატარებლად, - ამტკიცებდა ის, - სტალინმა და იაგოდამ აირჩიეს ვ.ი. ლენინის ერთ-ერთი მკურნალი ექიმი თედორე ალექსანდრეს ძე გოტიე, რომელიც ბოტკინის საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო. გოტიე ლენინის ოჯახისა და ტროცკის პირადი ექიმი იყო და ვლადიმერ ილიას ძე მას ბოლომდე ენდობოდა. შესაძლებელია, ვოლკოვი გოტიეს დასახელებისას არ ცდებოდა, მაგრამ საეჭვოა, ის სხვა რამეში სწორი იყოს.“

უცნობია, რატომ „დაავინწყდა“ ტროცკის კრუპსკაიას შესახებაც. სწორედ ის, რადგან ყველაზე უკეთ იცოდა ლენინის წამების შესახებ, დაბეჯითებით ცდილობდა „ჰუმანური მისიის“ აღსრულებას, რა-



ზეც სტალინიმა უარი თქვა. უზუნოა კუმანევ-კულიკოვას განცხადება იმის შესახებ, რომ „ფაქტობრივად, სტალინი დათანხმდა ლენინის თვითმკვლელობაში თანამონაწილეობაზე“. ამ განცხადებას თავდაყირა აყენებს სტალინის 1923 წლის 21 მარტის წერილი. იქნებ, სწორედ ამის გამოცაა, რომ ავტორები მხოლოდ იხსენიებენ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, მაგრამ მის ციტირებას არ ახდენენ?

ახლა, როცა ცხოვრებამ ბევრი დანაღები და შემთხვევები გაფანტა, ლენინისა და სტალინის სახელების გარშემო კამათი კვლავ გაგრძელდება. სტალინს ამ შემთხვევაში ძალიან არ გაუმართლა. ლენინს მოუწია ქვეყნის ხუთწლიანი თავგანწირული თავდაცვა და გაუსაძლისი საძიებო მუშაობა, სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის იდეური საფუძვლების ფორმირება, მისთვის საძირკვლის ჩაყრა და პირველი აგურის დადება. სტალინი პერსონალურად იყო საბჭოთა სახელმწიფოს ბედზე პასუხისმგებელი სამი ათეული წლის მანძილზე. ის აშენებდა მას და მასთან ერთად მის განუყოფელ ატრიბუტად იქცა. მას „პატრონს“ ეძახდნენ და იმავდროულად ის ტყვე იყო. მხოლოდ ხრუშჩოვის, ბრეჟნევისა და გორბაჩოვის ისტორიულმა უსუსურობამ, — რომელთა სამსახურებრივი მდგომარეობა „უპიროვნო კულტის“ ბაზა იყო, მათი



სტალინი, ლენინი და კალინინი

მცდელობები კრილოვის ბაყაყის მცდელობას ჰგავდა, რომელსაც კამეჩად სურდა გადაქცევა, — გახდა შესაძლებელი ამ მოვანეთა თავ-თავიანთ ადგილებზე დასმა. ისევე, როგორც, ბოლოსდაბოლოს, იმაში გარკვევა, რა არის სინამდვილეში პიროვნების კულტი.

ლენინს არ მისცეს იმის საშუალება, რომ ლაფარგებივით მომკვდარიყო. არავის ებადება უბრალო კითხვა: ნუთუ, სტალინის გარდა არავის ჰქონდა შხამთან შეხება, მით უმეტეს, რომ ლენინის ღვიძლი ძმა დ.ი. ულიანოვი საექიმო პრაქტიკას ეწეოდა? მაგრამ, არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ლენინი თავს, პირველ რიგში, პარტიის ადამიანად

თვლიდა. ეს მის ნატურაში იდო. პარტიას ეკუთვნოდა მისი სიცოცხლეც და სიკვდილიც. მას შესანიშნავად ესმოდა ორივე მათგანის საზოგადოებრივი, მსოფლიო მნიშვნელობა. თავისი მინიერი გზის ბოლო თვეებში, ის ცხოვრობდა უკვე, როგორც მასობრივი ცნობიერებისა და უდიდესი სოციალური პრაქტიკის მოვლენა მძვინვარე ავადმყოფობით დატანჯული სხეულის გარეთ. პოლ და ლაურა ლაფარგებისგან განსხვავებით, ლენინს არ შეეძლო საკუთარი თავის განკარგვა, ეს მისი პირადი საქმე არ იყო. მას შესანიშნავად ესმოდა ეს და ამიტომ საკუთარი ბედის გადაწყვეტას მთლიანად ცუკს ნებას უკავშირებდა.

■ კერპიტი კაკალი

სტალინის შეცდომები, რომელთა გამოც მას მომაკვდავ მასწავლებელთან ურთიერთობები გაუფუჭდა, ფსიქოლოგიურად ძნელად ასახსნელია. კერძოდ, ავტონომიზაციის პროექტს, ყველაფრიდან გამომდინარე, ის უკვე აღარ დაბრუნებია. პირიქით, ცდილობდა საკავშირო ფედერაციის წევრი რესპუბლიკების რაოდენობის გაზრდას და (ფედერალიზმიდან უნიტარიზმზე პირდაპირ გადასვლის ზომებთან შედარებით) საერთორუსული, ბუნებრივ-ინტერნაციონალისტური სახელმწიფოს წარმოქმნელი კულტურულ-ისტორიული სანყისების გაძლიერების უფრო მოქნილ ფორმებს ეძებდა.

„ცენტრიზმი“ (თუ გნებავთ, მემარჯვენეობა) საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში, საერთოდაც, გაუგებარია. ლენინის ტროც-

კისკენ შებრუნება, ფაქტობრივად, სტალინისა და ცუკ-ს უმრავლესობის წინააღმდეგ, — სტალინის სერიოზულ პოლიტიკურ მარცხად იქცა. მისი ასე მოქცევა ამ სიტუაციაში შეიძლება მხოლოდ ორი მიზეზით იყოს მოტივირებული: ან გენერალური მდივნის გამოუცდელობით (რაც ნაკლებადსარწმუნოა), ან დროებითი მანევრირებით, სურვილით, ლენინის დაკარგვის ხარჯზე ზინოვიევისა და კამენევის მიმხრობით და ანტიტროცკისტული ბლოკის შექმნით. მონოპოლიზმთან დაკავშირებით ლენინური კურსიდან გადახრა სტალინს შემდგომში აღარ გამოუვლენია.

ლენინის შემდგომი პერიოდის საბჭოთა ისტორიის ხელმძღვანელების საერთო დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ყველას პრე-

ტენზია ჰქონდა, რომ ისინი ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ და ქვეყანას მართავდნენ „ლენინურად“. მაგრამ არავის, სტალინის გარდა, შესაბამისი მუშაობა არ გაუწევია. მხოლოდ სტალინიმა აქცია მისი წინამორბედის სახელი სინმინდედ, მაშინ, როცა ხრუშჩოვმა სტალინის ხსოვნის გარშემო არნახული შაბაში მოაწყო. ბრეჟნევიმ ხრუშჩოვისთვის გამოიგონა ფსევდონიმი „ვოლუნტარიზმი“. გორბაჩოვმა კი, როგორც ველურმა, თავისი სოციალისტური წარმომავლობა გაცვალა „წლის საუკეთესო გერმანელის“ ნოდებაზე. ჯერ კიდევ ომამდე დადიოდა ლეგენდა, რომ სტალინი ლამით მავზოლეუმში მიდიოდა და საათობით უყურებდა ილიჩის ნათელ პროფილს. რაზე ფიქრობდა, როგორ გადაწყვეტილე-



ბებს იღებდა? ჰქონდათ თუ არა მის მემკვიდრეებს იმის მოთხოვნა, რომ თავიანთი მასწავლებლისთვის გონებით რჩევა ეკითხათ, ან ვინმე ჰყოლოდათ სულიერ საყრდენად? ამ მიზიდულობაში ხომ

არ იფარება იმ მოღვაწის წარმატების საწარმოო ნყარო, რომელსაც დღესაც აღტაცებითა და ძრწოლით იხსენებს მთელი მსოფლიო? ნაგავი სტალინის საფლავს კვლავ ეყრება, მაგრამ ახლა უფრო მა-

ლე გაჰფანტავს ხოლმე მას ისტორიის ქარი, ვიდრე ის მოგროვდება. სტალინის შესახებ სიმართლის თქმის დრო ახლა დგება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ამას ხელი არავინ შეუშალოს.

მაო ძედუნი სტალინისაგან კმურ რჩევებს იღებდა

1953 წლის გაზაფხულზე, სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ჩინეთის საელჩოს „თეთრ დარბაზში“ სტალინის პორტრეტებთან იცვლებოდა საპატიო ყარაული, ხოლო ჩინეთის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, პეკინისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქების მოსახლეობას კი გვირგვინების ზღვა მოჰქონდათ.

მოგვიანებით მოვიდა მაო ძედუნი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ს პოლიტბიუროს ყველა წევრის თანხლებით. ის ცდილობდა, თავი შეეკავებინა და ემოციები არ გამოემჟღავნებინა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა. ნათელი იყო, რომ მაო გულწრფელად იყო მომხდართი შეძრწუნებული. თვალეში ცრემლი უბრწყინავდა, მისი თანამებრძოლები ტიროდნენ.

სტალინის პორტრეტთან დღე და ღამე ათასობით მტირალი ჩინელი მიდიოდა.

მაო ძედუნისა და ი.ბ. სტალინის ურთიერთობა ძალზე რთული და მრავალმხრივი საკითხია, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ორი ლიდერის როლს ჩვენი ქვეყნების ბედის გადანყვებაში. ამ შემთხვევაში მსურს, იმ მომენტებზე შევჩერდე, რომლებიც საარქივო დოკუმენტების გამოქვეყნებას ეხება.

აი, ასე აფასებდა მაო საბჭოთა ლიდერს 1949 წელს, თანაც არა საჯარო გამოსვლისას (როგორც მოსკოვში, დიდ თეატრში, 1949 წლის დეკემბერში, სტალინის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით), არამედ იმ საუბრებში, რომელთა ჩანაწერები ადრე პარტიის არქივებში ინახებოდა როგორც საიდუმლო მასალები.

სკკპ ცკ-ს საანგარიშო მოხსენებაში მაოსთან სიბეიპოში (ჩრდ. ჩინეთი) საუბრების შესახებ, 1949 წლის თებერვალში ა.ი. მიქოიანი წერდა: „მაო ძედუნი საკუთარ როლს, როგორც ხელმძღვანელი და პარტიის

თეორეტიკოსი ამდაბლებდა“; ამბობდა, რომ „ის მხოლოდ სტალინის მონაფეა და საკუთარ თეორეტიკულ შრომას არ ანიჭებს მნიშვნელობას, რადგან მარქსიზმში ახალი მას არაფერი შეუტანია და ა.შ.“. მაო ძედუნი აცხადებდა, რომ „მას, როგორც პარტიის ლიდერს, არ შეუძლია საკუთარი თავი მარქსს, ენგელსს, ლენინსა და სტალინს გაუთანაბროს“. მაომ ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთის რევოლუციის თეორიულ გამარჯვებას საფუძვლად უდევს ლენინ-სტალინის სწავლებანი და სტალინი არამარტო სსრ კავშირის ხალხების, არამედ ჩინელი და მსოფლიო ხალხების მასწავლებელიცაა“.

1949 წლის 5 თებერვალს სიბეიპოდან გამოგზავნილ ტელეგრამაში მიქოიანი ამცნობდა: ერთ-ერთ საუბარში მაო ძედუნმა თქვა, რომ „ჩინეთის რევოლუციის საკითხის დამუშავების დროს ის საფუძვლად იყენებდა სტალინის გამონათქვამებს, რომლებიც ჩინეთის რევოლუციის ხასიათს ეხება“.

ყურადღებას იქცევდა, აგრეთვე, მაო ძედუნის, ლიუ შაოცის (1949 წლის დასაწყისი და უფრო გვიან) და ჩჟოუ ენლაის მყარი პოზიცია, რათა საბჭოთა ხელმძღვანელობას, პირადად სტალინს მიეცა მათთვის „რჩევები“. „მითითებები“. ჩინეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხში.

1949 წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრების სკკპ(ბ) ცკ-ს პოლიტბიუროსთან საუბრის დროს, რომელსაც ლიუ შაოცი და გაო განი ხელმძღვანელობდნენ, იგივე საკითხები კვლავ წამოიჭრა. სტალინმა მაშინ თქვა: „ჩინეთის დელეგაცია აცხადებს, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის გადანყვეტილებებს დაემორჩილება. ეს ჩვენ ძალიან გვაკვირვებს — ერთი ქვეყნის პარტია მეორე ქვეყნისას ემორჩილება. ასეთი რამ არ ყოფილა

და ეს დაუშვებელია. ორივე პარტია ამ საკუთარი ხალხის წინაშე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, მოითხოვირონ ზოგიერთი საკითხის შესახებ, დაეხმარონ ერთმანეთს, ხოლო სირთულეების წარმოქმნისას კი შეკავშირდნენ“.

ამ საუბრის მონაწილემ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ში მოსკოვის წარმომადგენელმა ი. ვ. კოვალიოვმა სტენოგრაფიულად ჩაინერა სტალინის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ ძალიან მადლობელი ვართ ასეთი პატივისცემის გამო, მაგრამ ჩვენ მიერ გამოთქმული ზოგიერთი გამონათქვამის მითითებად მიღება არ შეიძლება. შეიძლება ითქვას, რომ ეს, ასე ვთქვათ, ძმური რჩევებია და ეს არამარტო სიტყვით, არამედ საქმითაც გამოიხატება. ჩვენ შეგვიძლია, გირჩიოთ და არა მივითითოთ, რადგან ჩვენ კარგად არ ვართ ინფორმირებული ჩინეთში არსებული მდგომარეობის შესახებ, არ ვიცით გარემოებების დეტალები. მთავარი კი ისაა, რომ არ შეგვიძლია მითითებების მოცემა იმის გამო, რომ ჩინეთის საკითხები მთლიანად თქვენ უნდა გადანყვიტოთ. ჩვენ თქვენს მაგივრად გადანყვეტილებებს ვერ მივიღებთ“.

და შემდგომ: „თქვენ უნდა შეიგნოთ, — აგრძელებდა ი.ბ. სტალინი, — თქვენ მიერ დაკავებული მდგომარეობის მნიშვნელობა და ის, რომ თქვენზე დაკისრებულ მისიას ისტორიული, აქამდე არნახული მნიშვნელობა აქვს და ეს არამარტო კომპლიმენტია. ეს იმაზე მეტყველებს, რამდენად დიდია თქვენი პასუხისმგებლობა და ისტორიული მისია.“

ჩვენს ორ პარტიას შორის აუცილებელია აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ჩვენი აზრი მითითებად არ უნდა მიიღოთ. სხვა ქვეყნების კომპარტიებს შეუძლიათ ჩვენი წინადადებების უარყოფა და ჩვენც, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, არ დავეთანხმოთ სხვა პარტიების წინადადებას“.

■ **პეკინი მუდმივად სტალინს იცავდა**

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მათ ძედუნის, ჩინეთის კომპარტიის მიდგომის შესწავლა სტალინის როლის შეფასებაში სკკპ-ს მე-20 ყრილობის შემდგომ (1956 წლის თებერვალი). **მაო ძედუნი და მისი თანამებრძოლები, ადგილობრივი პარტიული კადრები, მეტ-ნაკლებად გულწრფელობით, არ იზიარებდნენ მოსკოვის მიერ სტალინის როლის უარყოფითად შეფასებას.** XX ყრილობაზე სტალინის პიროვნების კულტის შესახებ ჩინეთის კპ ცკ-ს პირველ ოფიციალურ რეაქციად იქცა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ს ორგანოს გაზეთ „ჟენმინ ჟიზაოს“ სტატია **„პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ“.** მასში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ **„ი.ბ. სტალინი შემოქმედებითად იყენებდა და ავითარებდა მარქსიზმ-ლენინიზმს“**, რომ **„ლენინიზმის მტრებისგან — ტროცკისტების, ზინოვიევის მიმდევრებისა და ბურჟუაზიის სხვა აგენტებისგან ლენინის მემკვიდრეობის დაცვისთვის ბრძოლაში ის ხალხის ნებას გამოხატავდა, იყო მარქსიზმ-ლენინიზმისთვის ღირსეული და გამოჩენილი მებრძოლი“.** შვიდი თვის შემდეგ, 1956 წლის 29 დეკემბერს (პოლონეთისა და უნგრეთის მოვლენების შემდეგ) „ჟენმინ ჟიზაოს“ კვლავ გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია სტალინის დასაცავად — **„კიდევ ერთხელ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ“.** რომელიც უფრო უხეშად, კონფრონტაციულად იყო დაწერილი. ორივე სტატია სსრ კავშირის მიერ სტალინის კრიტიკისა და მე-20 ყრილობის გადანყვეტილებების შესახებ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ს გაფართოებული სხდომების შედეგი იყო. **1958 წლის მარტში, ჩენდუში გამართულ თათბირზე მათ ძედუნმა თქვა: „ხრუშჩოვმა ერთი ხელის დაკვრით მოსპო სტალინი. ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში უმრავლესობა ამას არ ეთანხმება. ჩვენ მუხლი უნდა მოვიყაროთ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის წინაშე. რატომაც არა, თუკი ჭეშმარიტება მათ ხელშია?“**

ჩინელებთან კამათი სტალინის შეფასებების შესახებ, 1956 წლიდან დაწყებული, 60-იანი წლების ე.წ. დი-

დი პოლემიკის განმავლობაში გრძელდებოდა. ამასთან, პეკინი მუდმივად სტალინის დამცველად გამოდიოდა.

1957 წლის 19 ნოემბერს, ა. ა. გრომიკოსთან საუბრისას, მათ ძედუნმა განაცხადა: „მთლიანად, ჩვენი აზრით, სტალინს 70% დამსახურება და 30% შეცდომა აქვს. ჩვენ არ გეთანხმებით თქვენ იმაში, რომ ამ საკითხის დასმისას არ იყო განსაზღვრული სტალინის დამსახურებისა და შეცდომების მასშტაბები“.

გააგრძელა რა იგივე თემა, მათ ძედუნმა თქვა, რომ ეს საკითხი მარტო სტალინს კი არა, მთელ სკკპ-ს, მთელ საბჭოთა ხალხს ეხება, რადგან სტალინის სიცოცხლეში, 30 წლის განმავლობაში დასრულდა რევოლუცია და სოციალიზმის მშენებლობა, გაიმარჯვეს სამამულო ომში. ეს დამსახურებები მარტო საბჭოთა კავშირის ხალხს, სკკპ-ს, მის ცკ-ს და სტალინს უკავშირდება.

ჯერ არ გამოქვეყნებულა 1963 წლის ივლისში სკკპ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის დელეგატების შეხვედრის მასალები, რომელსაც მ.ა. სუსლოვი და დენ სიაოპინი ხელმძღვანელობდნენ. როგორც ამ შეხვედრის მონაწილისთვის მიღებათა სასახლეში, ლენინის მიეზზე, ჩემთვის ცნობილია დენ სიაოპინის გამონათქვამები სტალინის როლის შესახებ.

სსრ კავშირის კპ-ს მე-20 ყრილობის შემდგომი ფაქტები გვიჩვენებს, რომ სტალინის სრული და უსაფუძვლო უარყოფა იქცა სერიოზულ ნაბიჯად, რომელიც სსრ კავშირის კომპარტიის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა განახორციელეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიის კენგზის გასაკვლევად.

„მაო ძედუნი, — აღნიშნა დენ სიაოპინმა, — სსრ კავშირის ელჩთან შეხვედრის დროს 1956 წლის 23 ოქტომბერსა და 30 ნოემბერს სტალინის შესახებ ამბობდა: „თქვენ მთლიანად უარყავით ისეთი ხმალი, როგორც სტალინია და გადაადგდით ის. შედეგად, მტრებმა აიტაცეს ეს ხმალი, რათა მისი საშუალებით ჩვენ დაგვხოცონ. ეს იგივეა, რომ ქვა აიღოთ და ფეხებზე დაიდგოთ“. სტალინის მმართველობის პერიოდის ძირითადი კურსი სწორია და არ

შეიძლება, საკუთარ ამხანაგს ისე მოექცე, როგორც მტერს.

1956 წლის აპრილში, მათ ძედუნმა ა.ნ. კოსიგინთან საუბრისას განაცხადა: „მე თავს ვესხმი სკკპ XX და XXII ყრილობებს. მე არ ვეთანხმები ამ ყრილობებს იმასთან დაკავშირებით, თითქოს იყო რაღაც პიროვნების კულტი“.

მაო ძედუნმა ისეთი ფრაზაც თქვა, რომ მას შეუძლია სტალინთან მისი ურთიერთობების შესახებ ბევრი ტომის დაწერა.

იქიდან, რაც ჩვენთვის ცნობილია, ისეთი შთაბეჭდილებები იქმნება, თითქოს **მაო სტალინის ავტორიტეტს თავგამოდებით იცავდა. ალბათ, ეს იმით აიხსნება, რომ მათ ეჯიბრებოდა სტალინს და სურდა, ასე ვთქვათ, მისი „შეცვლა“ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, როგორც მაღალ ავტორიტეტს.** სსრ კავშირში სტალინის კულტის კრიტიკას მათ, როგორც საკუთარი კულტის „ძირის გამოთხრას“, ისე იღებდა. შემთხვევითი არ არის, რომ 50-იანი წლების ბოლოდან ჩინეთში „ჩინური კედლის“ აღმართვა სცადეს „ჩრდილოეთიდან მონაბერი ქარებისგან“ თავდასაცავად.

ამავე დროს, პროპაგანდისა და ოფიციალური განცხადებების დროს, მათ ყოველთვის უპირისპირებდა სკკპ-ს საკუთარ, განსაკუთრებულ პოზიციას, იცავდა სტალინს, ნიღბავდა საკუთარ ხაზს, მათ შორის, იმაზე მიანიშნებდა, რომ სადღესასწაულო ღონისძიებებზე ტენიანმენის მოედანზე ყოველთვის გამოჰქონდათ სტალინის პორტრეტი.

ამ მასალებში, რომელიც ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ო. რახმანიმ მოიძია და შეისწავლა, იმ პერიოდის პოლემიკას ასახავს. როგორც ვხედავთ, მასში სკკპ-ს გარდაქმნისა და სსრ კავშირში სოციალიზმის დემონტაჟის საშიშროება გამოსჭვივის. **„ხრუშჩოვის რევიზიონიზმმა, — წერდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცკ, — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომლის შექმნაში საბჭოთა ხალხმა ბევრი სისხლი დაღვარა, ძალზე სერიოზული საფრთხის, კაპიტალიზმის რესტავრაციის წინაშე დააყენა“.**



«უმაღურობა დაღუპავს ქვეყანას»

„უმაღურობა დაღუპავს ქვეყანას“, — გვაფრთხილებს დიდი ილია. და მართლაც, დაღუპა უმაღურობამ ჯერ საბჭოთა კავშირი და საქართველო, დაღუპავს მსოფლიოსაც. უჭკველად დაღუპავს, რადგან თავისი გადამრჩენლის მიმართ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული უმაღურობა დაუშვა...

მშრომელთა ნაოფლარ ოქროში ჩაფლული ნაძირალები, ნაცვლად იმისა, რომ სილატაკე დაამარცხონ, ძალღონეს არ იშურებენ მრავალი წლის წინათ გარდაცვლილი უძლეველი გენერალის იმუხის დასამარცხებლად. მილიარდების ფასად მოისყიდეს მოლაღატეთა კლანები, გაანადგურეს არქივები და მსოფლიო ომების ისტორია ისეთი მასშტაბებით გააყალბეს, რომ მასში ერთადერთი და განუმეორებელი უმაღლესი მთავარსარდალი ერთხელაც არ არის ნახსენები.

ზემოთქმულის მაგალითად, მრავალთაგან ინგლისელი ავტორის ბ. ლიდენ გარტის „მეორე მსოფლიო ომის“ ისტორიაც გამოდგება. აღნიშნულ „ნაშრომში“, რომელსაც სათაურად „ტუფტა“ უფრო შეფერება, არც ერთხელ არ არის ნახსენები სტალინი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი. ნიშანდობლივია, რომ მასში სტალინი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი მოიგო, სულ რაღაც 17 გვერდზეა მოხსენიებული, ხოლო ჰიტლერი, რომელმაც ეს ომი წააგო. ნიშანდობლივია, რომ ნიგნის რედაქციის მიერ აღნიშნული „ტუფტის“ ავტორი მოიხსენიება, როგორც დიდი სამხედრო თეორეტიკოს-ისტორიკოსი, და თუ ეს მართლაც ასეა, ამ ვაიისტორიკოსს ჩერჩილი მაინც არ წაუკითხავს, რომ იცოდეს ვინ იყო სტალინი?

მოლოტოვი იხსენებს: **„თეირანისა და იალტის კონფერენციებზე ჩერჩილი განუწყვეტილ იმეორებდა: „მე ყოველ დიდს, ადგომისთანავე, ღმერთს ვევედრები, სტალინს ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა მიაგოს — მხოლოდ სტალინს შეუძლია მსოფლიოს გადარჩენა“.**

ჩერჩილი რომ ცოცხალი იყოს, საინტერესო იქნებოდა მისი რეაქცია ბ. ლიდენ ბარტის „ნაშრომზე“, სადაც იგი მოხსენიებულია 105 გვერდზე, სტალინი კი მხოლოდ 17-ზე. მაშინ, როცა ეიზენჰაუერი 52 გვერდზე, ალექსანდერი 48-ზე, მონტგომერი 47-ზე, კესერლინგი 46-ზე, რუნდშტედტი 34-ზე, რუზველტი 30-ზე, მარტინი 29-ზე, კლეისტი 24-ზე,

ჟუკოვი 13-ზე, როკოსოვსკი 10-ზე იხსენიება.

როგორც ვხედავთ, „გამოჩენილი“ ავტორის „ტუფტაში“ სტალინი და მისი გმირთაგმირი სარდლები ჟუკოვი და როკოსოვსკი, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომში გადამწყვეტი როლი ითამაშეს, ბოლო ადგილზე არიან... ცხადია, „ჩვენს“ ვაიისტორიკოსს პროფესიონალური სინდისი ზედმეტ ბარგად მიაჩნია.

მკითხველს არ ეგონოს, რომ პოსტსაბჭოთა და რუსულ „ისტორიულ“ ნაწარმოებებში უკეთესი მდგომარეობაა, პირიქით, იქაც გაუგონარი უმაღურობაა, უსინდისობა, სიმახინჯე და სიყალბე მეფობს. სხვა წყაროებთან ერთად, ამ სიმახინჯეზე ნათელ წარმოადგენს ავიაციის მარშალ გოლოვანოვის მონათხრობი გვაძლევს: „ჩემს ნიგნში არ უნდათ დაბეჭდონ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია სტალინზე, როგორც დიდ სამხედრო თეორეტიკოსზე, — ახალ პირობებში ომის წარმოების ფუძემდებელზე, მაგრამ ეს ყოველივე ხომ ჩემ თვალწინ ხდებოდა. მთელი ომის განმავლობაში მე ყოველდღე მასთან ვიმყოფებოდი, ზოგჯერ კი — დღეში რამდენჯერმე“.

ან კიდევ მოლოტოვის ქარაგმული გამოთქმა: „მსოფლიოში ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც არა მარტო უცნობი ჯარისკაცის, არამედ უცნობი მთავარსარდლის საფლავიცაა“, სასაცილოა, ძალიან საჭიროა რომ არ იყოს, სამწუხაროდ, უბედურების არნახული, სამარცხვინო გამოვლინება გახლდათ ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლის აღნიშვნა მოსკოვში „პოკლონაია გორაზე“ 1995 წლის 9 მაისს, სადაც თავი მსოფლიოს ყველა დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მოიყარეს. ნიშანდობლივია, რომ ამ დროისათვის „დაღუპის დოქტრინას“ თავისი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა, რის შედეგადაც საზეიმო ტრიუმფზე მდგომი თითქმის ყველა მონაწილის აზროვნების დონე ამ დოქტრინით იფარგლებოდა. ამიტომაც იყო, რომ ისევე, როგორც ლოთ ელცინსა და მექალთანე ქლინთონს, ასევე სხვა გა-

მომსვლელებსაც ელემენტარული ობიექტურობის გრძობასთან ერთად, ღირსების ნატამალიც არ აღმოაჩნდა. ამის ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ ტრიუმფიდან სწორედ იმ პიროვნების სახელი არ გაისმა, ვისი დამსახურებაც იყო მისი აღმართვა... ერთხელაც არ გაიჟღერა იოსებ სტალინის — II მსოფლიო ომის ერთადერთი შეუცვლელი უმაღლესი მთავარსარდლის სახელმა. ასეთივე ბილნი უმაღურობისა და უნამუსობის ფაქტი იმ დღეებში ლონდონშიც დაფიქსირდა — ძველი დაუდგეს ჩერჩილს და რუზველტს. დაავიწყდათ გენერალის იმუხისი, ძველის ერთადერთი კანონიერი ადრესატი.

რამ განაპირობა ეს უსაზიზღრესი რეციდივი? — იკითხავს მკითხველი. იმან ხომ არა, რომ ყოველი მათგანი სტალინის იდეური მტერია? შეიძლება, მაგრამ ჩერჩილს ხომ სტალინის არანაკლები მტერი იყო, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია იმაში, რომ ის მსოფლიოს გადამრჩენლად და ყველა დროის უდიდეს და განუმეორებელ სახელმწიფო მოღვაწედ ელიარეზინა... არა, ამის მიზეზი უფრო „დაღუპის სიმპტომია“, რომელიც არა მარტო საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მთელ მსოფლიოშიც დამკვიდრდა.

...ამის დამაფიქსირებელი ფაქტებია ნიუ იორკის 11 სექტემბრისა და მოსკოვის 26 ოქტომბრის მოვლენები, სადაც ქვეყნის ხელმძღვანელებამ, სხვა ქვეყნების მმართველ წრეებთან შეთანხმებით, ტერორისტებთან პროდუქტიულ, კომპრომისულ დიალოგს ასობით ადამიანის სიცოცხლის განირვა არჩია.

„უმაღურობა დაღუპავს ქვეყნიერებას“.

...და თუ ჯერ კიდევ არ დაუღუპავს, ეს ისეთ ღირსეულ, სამართლიან ადამიანთა შრომის შედეგია, როგორც, ვთქვათ, ამერიკელი მწერალ-ისტორიკოსი პროფესორი ალექს დე-ჯუნგია, რომელმაც კაცობრიობის წინაშე სტალინის დამსახურების შესახებ ადამიანებს უთხრა:

„რომ არა სტალინი, აღარ იქნებოდნენ რუსები, მაგრამ ასევე არ იქნებოდნენ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები“.

ბოლოთქმა **ბივი ბერკინიშვილის** წიგნისა „სტალინი პერმანენტული გამარჯვების ღმერთი“; თბ., 2003 წ.



უხრობი ეპიზოდები მუხანაძის პერიოდის საქართველოს ისტორიიდან

1959 წელს, მეტეხის ტაძრის წინ, ვახტანგ გორგასლის ძეგლი დაიდგა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის ეს შესანიშნავი ქმნილება მაშინ აღიმართა, როდესაც ქართველ მეფეთა და ეროვნულ გმირთა ხსოვნისათვის პატივის მიგება დანაშაულადაც კი ითვლებოდა.

ამ ძეგლის დადგმის შენდევ ვასილ მუხანაძის კაბინეტში კრემლიდან ზარი გაისმა — „...ვილაც მეფის ძეგლი დაგიდგავთ, როდესაც ამდენი ცნობილი ბოლშევიკი გვყავს, თუნდაც 26 ბაქოელი კომისარი!“ ტონი მკაცრი და მომთხოვნი იყო.

მიუხედავად ხრუშჩოვის კატეგორიული მოთხოვნისა, თბილისის დამაარსებელი დემონტაჟს გადაურჩა, სანაცვლოდ 26 ბაქოელი კომისრის ძეგლი დაიდგა ავლაბარში, რომელსაც დიდი ხნის არსებობა იმთავითვე არ ეწერა.

დღეს, თბილისის სავიზიტო სახე, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქისა, სწორედ ვახტანგ გორგასლით იწყება, რომელიც ზეანდელი მარჯვენით გადმოჰყურებს მტკვრის ხეობას.

ვახტანგ გორგასლის ძეგლის დადგმამდე ერთი წლით ადრე კი, 1958 წელს, ქართლის დედის ქანდაკება დაიდგა (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი), რომელიც სოლოლაკის ხეივნიდან გადმოჰყურებს თბილისს. დღეს თბილისი და სრულიად საქართველო

წარმოუდგენელია ამ ორი სიმბოლოს — ვახტანგ გორგასლისა და ქართლის დედის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სიმბოლოების დადგმით არ შემოფარგლულა მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი ვასილ მუხანაძე.

„...ნიგნზე მუშაობის პერიოდში, თითქოს კვლავ მამასთან ერთად ვიყავი — ვსაუბრობდით და ვბჭობდით გარდასულ დღეებზე და დღევანდელობაზე... დასრულდა ნიგნი და საოცარი სევდა დამეუფლა, სევდა, რომელიც რაღაც ძვირფასთან განშორებისას გვიპყრობს... ამ ფრაზით მთავრდება ნიგნი — „ასეთი იყო ჩემი საქართველო“, რომელიც 2003 წელს გამოიცა და რომლის ავტორიც ვასილ მუხანაძის უმცროსი ქალიშვილი ნინა მუხანაძეა.

ათეული წლები გვაშორებს მუხანაძის დროს და, როგორც აღმოჩნდა, რაღაც ძვირფასთან განშორების სევდა, არა მხოლოდ მის ქალიშვილს, არამედ მთელ თაობას ჰქონია.

ნიგნის გამოცემის შემდეგ, ქალბატონ ნინასთან უამრავი წერილი მოვიდა, კიდევ უფრო მეტი იყო სატელეფონო ზარი, ზოგიც, სრულიად უცნობი ადამიანი, შინ ესტუმრა და ყველა მათგანს თავისი სათქმელი ჰქონდა — ზოგს ისტორიულად

მნიშვნელოვანი ფაქტი, ზოგს — პირადული ეპიზოდი, ყველას ერთად კი სიყვარული და მუხანაძის ეპოქის ნოსტალგია აერთიანებდა.

შესაძლოა, დღევანდელი გადასახედიდან პარადოქსულად ჩანდეს ნოსტალგია საბჭოთა საქართველოზე, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხმა, რომელიც მუხანაძის ხელმძღვანელობის დროს ცხოვრობდა, ამ პერიოდს ოქროს ეპოქა უწოდა. მაშინდელი საკავშირო სტატისტიკის მონაცემებით, თურმე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებით საქართველო პირველ ადგილზე ყოფილა დანარჩენ თოთხმეტ რესუბლიკას შორის, რამაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და შემოქმედებითი აღმაჯობა განაპირობა. თუმცა ყოველივე ამის უკან, პოლიტიკურ კულუარებში, მუდმივად დაჭიმული ურთიერთობა იყო კრემლთან, ხშირად დაძაბული, რამდენჯერმე კი საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხიც კი დამდგარა. ...რომ არა



მუხანაძე, ამბობენ მისი თანამედროვეები, დღეს ქართველები გადასახლებულები ვიქნებოდითო... და ჯერ კიდევ 60-იან წლებში დავკარგავდით აფხაზეთსა და სამაჩაბლოსო...

ვასილ მუხანაძე 19 წელი (1953-1972) ხელმძღვანელობდა საბჭოთა საქართველოს და სწორედ ამ პერიოდში ხდება საქართველო ეკონომიკური და შემოქმედებითი ოაზისი დიდ საბჭოეთში. იოლი არ იყო ტოტალური კომუნისტური რეჟიმის დროს ყოველივე ამის უზრუნველყოფა და ძალიან ხშირად, საქართველოს გადასარჩენად, მუხანაძეს ბენვის ხიდზე უწევდა გასვლა.

ამჟამად ქალბატონი ნინა მუხანაძე მეორე ნიგნზე მუშაობს და, როგორც თავად ამბობს, მეორე ნიგნის გამოცემა მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც ბევრი მისთვის უცნობი ფაქტი შეიტყო მკითხველთა წერილებიდან და პირადი საუბრებიდან.

ნინა მუხანაძე: „ვეფიქრობ, მასა-



ლა, რომელიც დამიგროვდა აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს, რადგან ეს საქართველოს ისტორიაა და რატომ არ უნდა იცოდეს ხალხმა?! თუნდაც თუშეთი ავილოთ, ძალიან ბევრმა არ იცის, რომ 1956 წელს თუშეთის საკითხი მწვავედ დამდგარა, ხრუშჩოვს ამ რეგიონის დაღესტინისათვის გადაცემა სდომებია“.

მეორე წიგნი, როგორც ქალბატონი ნინა ამბობს 60-იანელთა თაობაზე იქნება, იმ ადამიანებზე, რომლებაც ამ წლებში დიდ წარმატებას მიღწიეს ხელოვნებაში, მეცნიერებაში და საქართველო ასახელეს მსოფლიოს მასშტაბით“.

უთქმულაა ჯალის ტყუილი

„1953 წლის სექტემბერია...“

საქართველოს ცეკას პირველი მდივნის ვასილ მუჟავანაძის პირველი სამუშაო დღე იწყება, მის კაბინეტში ერთ-ერთი მაღალჩინოსანი შემოდის, ხელში საქალაქო უჭირავს, სწრაფად მიმოავლებს მზერას და დარწმუნებული, რომ მათ გარდა არავინაა, ფურცელს საწერ მაგიდაზე დებს და მიმართავს:

— ვასილ პავლოვიჩ, აი, იმ პირთა სია, რომელთა მიმართ სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო...

ფურცელზე ორ მწკრივადაა დაბეჭდილი სახელ-გვარები. პირველი მწკრივის დასაწყისში მსხვილი ასოებით ხელით წერია — დასახვრეტიბი! მეორე მწკრივის დასაწყისში — დასაპატიმრებლები!

— მე ხალხის დასახვრეტად და დასაპატიმრებლად არ ჩამოვსულვარ! — მოჭრილი და მკაცრად პასუხობს მუჟავანაძე...

ასე დაიწყო ოცი წლის უნახავ სამშობლოში დაბრუნებული თადარიგის გენერლის ვასილ პავლეს ძე მუჟავანაძის სამოქალაქო სამსახურის პირველი დღე საქართველოში. მისი წინამორბედები, ცეკას ყოფილი პირველი მდივნები კანდიდ ჩარკვიანი და აკაკი მგელაძე გადასახლებულები იყვნენ, ხოლო ალექსანდრე (ალიოშა) მირცხულავა სულ ექვსი თვის გამოსული იყო ციხიდან და ამ ხნის განმავლობაში, დროებით, ცეკას პირველი მდივნის მოვალეობას ასრულებდა. მუჟავანაძეს ურთულეს დროსა და პირობებში მოუხდა საქართველოს ხელმძღვანელის პოსტის ჩაბარება...“ (ეპიზოდი წიგნიდან — „ასეთი იყო ჩემი საქართველო“).



— ქალბატონო ნინა, ვასილ მუჟავანაძეს ურთულეს დროში მოუხდა საქართველოს ხელმძღვანელის პოსტის ჩაბარებაო, წერთ, — რა დრო იყო ეს, რა ხდებოდა ასეთი საქართველოში?

— 1953 წელს გარდაიცვალა სტალინი, საბჭოთა კავშირის გენერალური მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი ხდება. მოგეხსენებათ, ხრუშჩოვის დამოკიდებულება სტალინისადმი და მან სტალინისდროინდელი „მეგრელთა საქმე“, რომლის ინსპირატორად ბერიას თვლიდა, კვლავ წამოიწია. ბერიას წინააღმდეგ საქმე აღიძრა და მისი ბინდით მოცული აღსასრულიც ცნობილია. სეპარატიზმსა და კომუნიზმის ძირგამომთხრელ საქმიანობაში დადანაშაულებულ ქართველ პარტმუშაკთა ნაწილი უკვე გაციმბირებული იყო, ძიება გრძელდებოდა და მდგომარეობა საქართველოში უკიდურესად დაძაბული და ფეთქებადსამიმი იყო. ამ დროისათვის მამა უკრაინის უზენაესი საბჭოს დეპუტატია და ლვოვში მუშაობს. ეს იყო ყველაზე რთული რეგიონი უკრაინაში, რადგან ადგილობრივ მოსახლეობაში გერმანელი ნაცისტების მრავალი თანამზრახველი აფარებდა თავს. მამა ბუნებითა და ხასიათით განონასწორებული

ადამიანი იყო და შეეძლო დაძაბული ვითარების მშვიდობიანად განმუხტვა, ალბათ, ამიტომაც დაიბარა ხრუშჩოვმა კრემლში და საქართველოში გამოაგზავნა.

დასახვრეტთა სია, რომელიც ჩამოსვლისთანავე მუჟავანაძის მაგიდაზე აღმოჩნდა, მეგრელთა საქმის გაგრძელება იყო. მამას იმ ჩინოვნიკისათვის უთქვამს — სიკეთის საკეთებლად ჩამოვედი საქართველოში და არა ხალხის დასახვრეტად და ამ საქმეს გაგრძელება აღარ მისცა. მოგვიანებით კი, რამდენიმე წლის შემდეგ გადასახლებულთა რეაბილიტაციის საკითხი დადგა და მამა აქტიურად ჩაება ამ საქმეში.

— ხშირად გამიგონია, რომ ვასილ მუჟავანაძის მეუღლე ენათესავებოდა ხრუშჩოვის მეუღლეს და ამიტომაც დანიშნა ხრუშჩოვმა საქართველოს ცეკას პირველ მდივნად ვასილ მუჟავანაძე, ეს სიმართლეა?

— ეს არის ჭორი, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად დაბეჭდილია და ახლაც იბეჭდება ხოლმე, სულ ახლახან კი ინტერნეტში იგივეს წავაწყდი. ჩემს წიგნში დაწვნიე, საიდან იცნობდა მამა ხრუშჩოვს, მაგრამ ხალხი გაზეთებს უფრო კითხულობს, ვიდრე წიგნს და ამიტომ კარგია, რომ ეს კითხვა დამისვით და კიდევ ერთხელ ვიტყვი — ნათესაური კავშირი დედასა და ხრუშჩოვის მეუღლეს შორის არ ყოფილა. დედა ობოლი იყო, მხოლოდ მამა ჰყავდა, სხვა ნათესავები არ ჰყოლია. ომის დამთავრების შემდეგ მამა, ამ დროისათვის გენერალ-ლეიტენანტი იყო, უკრაინაში მიავლინეს, ხრუშჩოვი კი უკრაინის ცეკას პირველი მდივანი გახლდათ. ხრუშჩოვი პატივს სცემდა მამას, ენდობოდა, იცოდა მისი ბიოგრაფია და უფრო რუს გენერლად თვლიდა, ვიდრე — ქართველად. მას საქართველოში სჭირდებოდა კაცი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მის ინტერესებს გაატარებდა, ამიტომაც მიზანშეწონილად მიიჩნია მისი კანდიდატურა.

— მაგრამ, როგორც ისტორიიდან ვიცით, სწორედ ვასილ მუჟავანაძე გახდა ხრუშჩოვის გადაყენების ინიციატორი, თქვენს წიგნში ეს ისტორია დეტალურადაა აღწერილი...

— დიხ ასეა, საქმე ქართველების ყოფნა არ ყოფნას ეხებოდა და, რა თქმა უნდა, მამა ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ ქვეყანა და



ქართველობა გადაერჩინა. ხრუმროვი ეჭვიანი, არაპროგნოზირებადი და გაუნონასწორებელი ადამიანი იყო, თურამეს აიკვიატებდა ვერ გადაათქმევინებდი, თუ დაუპირისპირდებოდი, შეიძლება უარესი გაეკეთებინა. მამამ კარგად იცოდა მისი ხასიათი, ბენვის ხიდზე სიარული უნევდა, ოდნავ არასწორი ნაბიჯი, მცირედი გადაცდომა და უფსკრულში ჩავეშვებოდი. იმ დროს ვინ დაგეხმარებოდა — საერთაშორისო თანამეგობრობა, სიტყვის თავისუფლება, დემოკრატიული ინსტიტუტები თუ რა?!

ხრუმროვის ქართველების ეტაპირება უნდოდა ციმბირში და მისი გადარწმუნება უკვე შეუძლებელი იყო, ამიტომაც მამა იძულებული გახდა, სხვა ზომებისათვის მიემართა. ეს ისტორია ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ამ საქმის უშუალო მონაწილენი უკვე, დიდი ხანია, ცოცხლები აღარ არიან.

პირველ წიგნზე მუშაობის დროს დამიკავშირდა ტარიელ კაპანაძე, რომელიც გარდაბნის სანადირო მურნეობის ხელმძღვანელი იყო მამას დროს. იმ დროისათვის იგი ძალიან ახალგაზრდა გახლდათ, მამას შვილივით უყვარდა და დიდი ნადირობების მონყობას ანდობდა. კრემლის მესვეურებს ნადირობა უყვარდათ, საქართველოში თითქმის ყველა პირველ პირს უნადირია, მათ შორის ხრუმროვსაც. სწორედ ტარიელ კაპანაძე აღმოჩნდა უნებლიე მოწმე ვასილ მუჟანაძის, ალექსი ინაურისა და გივი ჯავახიშვილის საუბრისა. ეს საუბარი ხრუმროვთან ვიზიტის შემდეგ შემდგარა გარდაბნის ნაკრძალის სანადირო სახლში.

ტარიელ კაპანაძე

(ეპიზოდი წიგნიდან „ასეთი იყო ჩემი საქართველო“): „1964 წლის გაზაფხულია. მე, როგორც ყოველთვის, გარდაბანში ვარ, ნაკრძალში. საღამო ხანს სახლში შევედი (ნაკრძალში პატარა სახლი იდგა). ჩემს ოთახში ორი ტელეფონი მქონდა — სამთავრობო და ვეჩე. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ქვეყანაში დარეკავდი, სანადიროდ ჩამოსულები იყენებდნენ ხოლმე. მე არასოდეს დამირეკავს ამ ტელეფონით. ვასილ პავლოვიჩი მირეკავდა, თუ დავჭირდებოდი, ან ჩამოსვლას თუ დააპირებდა, მაგრამ იმ საღამოს ტელეფონის ზარი არ ყოფილა.

თურმე მუჟანაძე მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა, მძლოლი ანდრო დახვდა, არც სახლში წავიდა, არც ცეკაში, პირდაპირ გარდაბნისაკენ გამოეშურნენ. საკმაოდ შებნელებულზე ჩამოვიდნენ. გავოცდი, ეტყობოდა, რომ ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. მეუბნება: „ტარიელ, მოდი ვივანშმოთ“. არაფერი ისეთი არ მქონდა და შევწუხდი. ლობიო მაქვს, ჭადი გაცივდა, ახალს გამოვაცხოზ-მეთქი, — ვუთხარი. „არა, არ გინდა, გააფიცხე, უბრალოდ ვივანშმოთ“, — მითხრა. ტაბლა გავშალე და ვივანშმეთ. მერე ბევრი ვიარეთ ტყეში, ვსაუბრობდით ტყეზე, ცხოველებზე, თავისი ბავშვობა გაიხსენა, დედულეთი, სოფელი, ობლობა, ძალიან ნაღვლიანი იყო, ვატყობდი, რომ რალაც ხდებოდა, მაგრამ კითხვას როგორ გავუბედავდი?!

სახლში გვიან დავბრუნდით და ვასილ მუჟანაძე მეუბნება: — ჯავახიშვილს (გივი ჯავახიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრი) და ინაურს (ალექსი ინაური კგზ-ს მინისტრი) დაურეკე, დილით ჩამოვიდნენო. დავურეკე, მათ იცოდნენ, რომ მუჟანაძე აქ იყო. მთელი ღამე არ მეძინა, ვხვდებოდი, რომ რალაც სერიოზული ხდებოდა. მუჟანაძე თავის ოთახში იყო, აღარ გამოსულა, მაგრამ, ფეიქრობ, რომ არც მას ეძინა.

დილის 10 საათზე ჯავახიშვილი და ინაური ჩამოვიდნენ. მე საუზმეს ვამზადებდი, კარი არ მიმიხურავს და მათი საუბარი მესმოდა. მუჟანაძე ამბობს:

„ხრუმროვა ვითხრა ველაფერი გაგაფიქრებია — ქსტანაი, აპოლინსკი, სელინოგრაფი, ქართელები იქ უნდა გაგასახლოთ“ ... ეს რომ გავიგონე, კინაღან ტვინში სისხლი ჩავექცა. ვუსვენ, ვერც კარს ვხუარავ და ვერც საუზმის გასაგულად ვუვლივარ.

„მერე იერიშზე გადმოვიდა, — განაგრძო მუჟანაძემ — სასწრაფოდ უნდა გაგასახლოთ და მე ვუთხარი, ახლა რომ გაგვასახლოთ, სისხლი დაიდვრება, მომეცი ექვსი თვის ვადა, შევამზადებ-მეთქი“. ექვსი



ნიკიტა ხრუმროვი

თვე გეყოფათ? — მკითხა, მეყოფამეთქი, ვუთხარი და აი, აქ ვარ. მარჯვედ უნდა ვიყოთ, ამბავმა ხალხში არ უნდა გაჟონოს, პანიკა არ უნდა ატყდეს“.

მუჟანაძემ ეს თქვა და შემდეგ აფხაზების ამბავი მოყვა. თურმე როდესაც მუჟანაძე ხრუმროვთან იყო, აფხაზეთის დელეგაცია ჩასულა. რვა კაცამდე იყვნენ, — კობახია, აშბა, შინკუბა და სხვები. მუჟანაძემ იცოდა, რომ აფხაზები მოსკოვში აპირებდნენ წასვლას, მაგრამ რა საკითხზე — არ იცოდა. მუჟანაძე კაბინეტში ყოფილა, როდესაც ხრუმროვს დაურეკეს და უთხრეს, აფხაზეთის დელეგაციას შემოსვლა უნდაო. მუჟანაძეს უთქვამს, — ნავალ, უხერხულია, რომანოვთან შევლო. არაო, არ გაუშვია ნიკიტას. შემოვიდნენ აფხაზები, ნიკიტა მიეგება, ვიცი რატომაც ჩამოხვედითო, — ეუბნება. აფხაზებს გახარებიათ. „ჩვენ ყველაფერი მზად გვაქვს, — იგივე გაუშეო, რაც მუჟანაძეს — წადით შუა აზიასში, ყაზახეთში, აფხაზები ისეთი ხალხი ხართ, იქაც მოიყვანთ ციტრუსებს, — დაუცინია ნიკიტას.. თურმე აფხაზები კარისაკენ უხმოდ, უკან-უკან წავიდნენ. ეს ყველაფერი იმ დილით მოვისმინე.

ამ საუბრის შემდეგ მალე წავიდნენ. დავრჩი მარტო, დარდით გულგასიებულნი. ღამეები არ მეძინა, ვერც ვერაფერს ვეკითხებოდი ვინმეს, აღარც არავინ რეკავდა. საშინელ განცდებში ველოდებოდი იმ ექვსი თვის გასვლას.

ოქტომბერი დადგა, ისევ ტყეში ვარ და სირენის ხმა მესმის — ე.ი.



„ვეჩე“ რეკავს... მივირბინე და ამ ზარმა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი მამცნო — ნიკიტა ხრუშჩოვი გადააყენეს!. ეს იყო აუნერელი სინარული. მაშინ მივხვდი, რატომ უთხრა მჭავანაძემ ექვსი თვე მაცალეო. ამ ექვს თვეში ბოლო მოულო.

მოგვიანებით, მოსკოვიდან ფოტოსურათი ჩამომიტანეს — ხრუშჩოვი ტიროდა. ისევ ქართველებმა მოუგრიხეს კისერი.

გავიდა დრო და ერთხელაც გავბედე და ინაურს ვკითხე — მართლა გაგვასახლებდა ხრუშჩოვი, როგორ გაბედავდა-მეთქი? გაეცინა და მითხრა: „აბა, რა გგონია, ჩაგვიყრიდნენ ტომარაში რალაც-რალაცებს, პანდური უკან და ვაგონებში შეგვყრიდნენ“. მაშინ ინაურმა მითხრა, რომ ხრუშჩოვის ბრძანებით საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს — ჟუკოვს ვაგონები უკვე გამზადებული ჰქონია ქართველების ციმბირში გასასახლებლად“.

— ქალბატონო ნინა, თქვენ აღნიშნეთ, რომ მეორე ნიგნისათვის უკვე გაქვთ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტები თუშეთზე, რომელიც ხრუშჩოვის პერიოდს უკავშირდება, კონკრეტულად რა ხდებოდა თუშეთთან დაკავშირებით?

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველი ნიგნის გამოსვლის შემდეგ გამომეხმაურნენ და ჩემთვის ბევრი უცნობი ფაქტები მიაბეს. სულ ახლახან, მესტუმრა ნუგზარ იდოიძე, ეთნოგრაფი, რომელიც თუშეთის ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე მუშაობს. მან შემახვედრა ადამიანები, რომლებიც მამას პირადად იცნობდნენ — შოთა კურდღელაიძე და აშირ აბაშიძე. ბატონი შოთა მამას დროს ახმეტის რაიკავშირის ახალგაზრდა თანამშრომელი ყოფილა, ბატონი აშირი კი სტუდენტი, რომელიც სატყეო-საინჟინროზე სწავლობდა. ორივენი მამას ახლდნენ თუშეთში ყოფნის დროს და ამიტომაც ეს ისტორია უშუალოდ თვითმხილველებისაგან მოვისმინე. ვრცელი ამბავია, მაგრამ მოკლედ გიამბობთ.

1961 წელია და თუშეთის საკითხი ძალიან მწვავედ დამდგარა. კლიმატი, მოგეხსენებათ, იქ ალპურია, ზამთარი მძიმე, არც სინათლე ჰქონდათ, საქონლიც — ცხვარი, ძროხა, მაშინდელი კანონებით შეზღუდული რაოდენობით უნდა

ჰყოლოდათ. თუშებს გაუჭირდათ ასეთ პირობებში ცხოვრება და იძულებული გახდნენ, ბარში ჩამოსულიყვნენ. ნელ-ნელა იცლებოდა თუშეთი, დაღესტანი კი თუშეთის დაცლას სათავისოდ უყურებდა. დაღესტანელი პოეტი რამიდ გამზატოვი ამ დროისათვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია მოსკოვში, პოპულარობით სარგებლობს და ხრუშჩოვის კეთილ-განწყობაც მოუპოვებია. თურმე, გამზატოვმა მოსკოვის ლიტერატურულ გამოცემაში გამოაქვეყნა ლექსი და წერილი — თავისი მიწის სიმცირეზე ლაპარაკობდა და აღნიშნავდა, რომ თუშეთში აღარ უნდათ თუშებს ცხოვრება, ბარში ჩადიან, ჩვენ კი მთის ხალხი ვართ და მიწა არა გვაქვსო. გამზატოვის ლექსის შემდეგ საქართველოს ცეკაში კრემლიდან ოფიციალური წერილი მოდის — გაეცანით თუშეთის მდგომარეობას და მომახსენეთ. ეს წერილი წინაპირობა უნდა ყოფილიყო, რათა ხრუშჩოვს თუშეთის მიწა დაღესტანისათვის გადაეცა, სამაგიეროდ, დაღესტნელები თურმე საძოვრებს გვპირდებოდნენ ყვარლის გასწვრივ, კავკასიონის მეორე მხარეს. ერთი სიტყვით, საქმე სერიოზულად იდგა, და საერთოდ, ხრუშჩოვს შეეძლო ყოველგვარი შეკითხვის გარეშე გადაეცა თუშეთი დაღესტანისათვის, როგორც რუსეთის ყირიმი უკრაინას მისცა.

მამა, ალექსი ინაური და გივი ჯავახიშვილი თუშეთში ასულან. თუშები მათ სტუმრობაზე ძალიან საინტერესოდ ყვებიან, ბევრი სახალისო კურიოზიც მომხდარა, მაგრამ დანვრილებით ნიგნში აღვნიშნავ. თუშები, როგორც გადამრჩენელებს, ისე დახვედრიან თბილისიდან ჩასულ ხელმძღვანელობას. ერთ-ერთ უხუცესს, 91 წლის მარკოზა პაპას თურმე უთქვამს — ერეკლე მეფის შემდეგ თუშეთში მეფე არ ამოსულაო, რაზეც ბევრი უხალისიათ თუშებს, მამას და ინაურს. თუშები ყვებიან, რომ ამ ვიზიტის შემდეგ, მამას იქ საბჭოთა მეურნეობა დაუარსებია და თუშებისათვის უთქვამს, რამდენიც გინდათ, იმდენი ცხვარ-ძროხა იყოლიეთო. სარეისო ვერტმფრენებიც დაუნიშნავს და, სანამ სინათლეს გაიყვანდნენ, ოთხი დიზელ-გენერატორი აუტანიათ. მთელი ღამე სინათლე უნდა იყოს, თვითმფრინავი რომ

გადმოიფრენს კავკასიონზე თუშეთი გაჩახჩახებული უნდა ჩანდესო. ამის შემდეგ ბარში ჩასული თუშები ისევ მთაში დაბრუნდნენ და თუშეთი შეივსო. თუშეთს რესპუბლიკური მნიშვნელობის საკურორტო სტატუსი მიანიჭა საქართველოს მთავრობამ და ყველა ეს მონაცემები მოსკოვში გადაგზავნეს, ასე გადაურჩა თუშეთი გასხვისებას.

მთელს საბჭოთა კავშირში, პირველად საქართველოში, დაიდგა წმინდანის კაბლი

— ქალბატონო ნინა, თქვენს ნიგნში ერთი ძალიან საგულისხმო ეპიზოდია, სიმართლე გითხრათ, ვინმეს რომ ეამბნა, ვერ დავიჯერებდი, თავად საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ადასტურებს, რომ ხრუშჩოვის მიერ გლინსკის მონასტრიდან დევნილი ბერ-მონაზვნები ვასილ მჭავანაძემ შეიფარა. იმ პერიოდში თქვენთვის ეს ცნობილი იყო?

— იმ პერიოდში ბავშვი ვიყავი და ეს ამბავი, რა თქმა უნდა, არ მეცოდინებოდა. მამა თავის საქმეებზე არც ლაპარაკობდა ოჯახში. ძალიან ბევრი რამ ნიგნზე მუშაობის დროს შევიტყვე ჩემი მოძღვარისაგან. გლინსკის მონასტრიდან ერთ-ერთი დევნილი ბერი მამა ზინოვი შემდგომ მიტროპოლიტი გახდა და მას აღუკვეცია ბერად უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს კათოლიკოს პარტიარქი.

1960 წელს ხრუშჩოვმა 30 ათასი ეკლესია დახურა საბჭოთა კავშირში. ეს იყო ყველაზე ფართომასშტაბიანი რბევა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. მან სუმსკის ოლქში მდებარე სამონასტრო კომპლექსი დახურა, ღვთისმსახურები კი განდევნა.

ღვინილი ღვთისმსახურები საქართველოსაქან ნამოვიდნენ. გაეას ყველა ღვთისმსახური მიუღია. ისინი მოქმედ აკლასიკაში განანილდნენ. სხვათაშორის, ერთ-ერთმა მონაზონმა სქაას მღვინის, გიორგი გეგეუიკის ოჯახში



**ჰომეოთა თავესაფარი,
„მატუშკა“, ასე
მიპართაველანე მას.**

სწორედ „მატუშკას“ მიანდო გეგემიძის ოჯახმა შვილების აღზრდა.

**საქართველოს პატრიარქი,
უფინდესი და უნეტარესი
ილია II**

(ეპიზოდი ნიგნიდან — „ასეთი იყო ჩემი საქართველო“): რელიგიური თვალსაზრისით მაშინ ყველაზე ლოალური ხელისუფლება საქართველოში იყო, ამიტომაც ჩამოვიდნენ უკრაინიდან დევნილი ბერ-მონაზვნები ჩვენთან. უფლის შენივნით, საქართველოს ისტორიის ყველა დროში ჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც იცავდნენ და უფრთხილდებოდნენ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, თავის ერს და ქვეყანას. 60-იან წლებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო ვასილ მუჟავანაძე. ეს ეპოქა საქართველოს მართლმადიდებლურ ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინ მთელს საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში დაიდგა მეფის — ვახტანგ გორგასლის ძეგლი მეტეხზე. მეფე ვახტანგი წმინდანად არის შერაცხული ქართული ეკლესიის მიერ და იმ დროს ეს აქტი დიდი გმირობა იყო. საქართველოს მაშინდელი პატრიარქი ეფრემ II დიდ პატივს სცემდა მუჟავანაძეს და არა მარტო იგი. მის დროს საქართველოში არავის უგრძენია დევნა.

— ქალბატონო ნინა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ წმ. ნინოს სახელობის ექიმთა საზოგადოება ჩამოაყალიბეთ, რომელიც ბერ-მონაზვნებს სამედიცინო სამსახურს უწევს. ეს როგორ მოხდა, თქვენ ხომ ცუკას პირველი მდივნის ქალიშვილი ხართ და შესაბამისად გარემოცვაც ათეისტური უნდა ყოფილიყო, ყოველშემთხვევაში აშკარად ეკლესიური ოჯახი ვერ იქნებოდა?

— წმ. ნინოს სახელობის ექიმთა საზოგადოების დამფუძნებლები არიან ლადო კახაძე, მიტროპოლიტი სერაფიმე, მამა კონსტანტინე, კიდევ რამდენიმე ექიმი და მეც მათ შორის. იდეა, ჩამომეყალიბებინა ასეთი საზოგადოება ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო და ამას თავისი



**ნინა მუჟავანაძე
„დიდოსტატის მარჯვენაში“**

მიზეზი ჰქონდა. მოგვიანებით ეს იდეა მეგობარ კოლეგებს, ექიმებს გავანდე და მათაც აიტაცეს. თითქმის ორია წელია, რაც ჩამოეყალიბდით და ამ ხნის მანძილზე რვა ეპარქია მოვიარეთ, ბერ-მონაზვნებს პრევენციულ სამსახურს ვუწვეთ. ექიმები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვმუშაობთ და ამას დიდი სიხარულით ვაკეთებთ, თუ რომელიმე ოპერაცია სჭირდება, სპონსორებს მოვიძიებთ ხოლმე.

რაც შეეხება გარემოცვას, ჩვენ ოჯახში ყოველთვის აღვნიშნავდით აღდგომას ტრადიციული მართლმადიდებლური წესით, იგივეს აკეთებდნენ ცუკას დანარჩენი მდივნების ოჯახებში. რა თქმა უნდა, ეს ეკლესიური ცხოვრება არ იყო, მამა-პაპისეული ტრადიციის გაგრძელება გახლდათ. ქართველებს უძველესი და უძლიერესი ქრისტიანული კოდი გვაქვს, გენეტიკაში გვაქვს ქრისტიანობა და ამიტომაც დავუბრუნდით დედაეკლესიას. ამაში უდიდესი ღვაწლი ჩვენს პატრიარქს, ილია მეორეს მიუძღვის.

— მტკივნეულ თემას შეიძლება შევეხო, თქვენი დისშვილის ტრაგიკული სიკვდილისა და შემდგომ დის გარდაცვალებამ გაფიქრებინათ დახმარებოდათ ბერ-მონაზვნებს?

— პირიქით, ქართული ეკლესიის გაძლიერება და ბერ-მონაზონთა ლოცვები გვაძლიერებს საეროდ ხალხს. 1993 წელს სადარბაზოს კართან მოკლეს ჩემი დისშვილი, 22 წლის იყო გიორგი მაშინ, 22 ტყვია ჰქონდა, ერთადერთი ვაჟი ჰყავდა ჩემს დას.

დღემდე არ არის მისი მკვლეელი დაჭერილი. ჩემი და ძალიან ეკლესიური გახდა, მეც მუდამ დავყვებოდი. წლების განმავლობაში დავდიოდით მონასტრებში ბერ-მონაზვნებთან, თითქმის მთელი საქართველოს ეკლესია-მონასტრები მოვიარეთ. მოგეხსენებათ, ბერ-მონაზვნებს რთული ცხოვრება აქვთ, მითუმეტეს მაშინ, როდესაც განუკითხაობა იყო საქართველოში, ნამალი და ექიმი სჭირდებოდათ და ხშირად დახმარებას ვუწვევდით. სწორედ, მაშინ გამიჩნდა სურვილი, ჩამოეყალიბებულიყო წმ. ნინოს ექიმთა საზოგადოება. დღეს, ჩვენს საზოგადოებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული საპატრიარქოსთან და აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით.

სხვათაშორის, მამა ცხოვრების ბოლო წლებში ჯვარს ატარებდა და მოსკოვის პატარა ბინაში ღვთისმშობლის ხატთან ხშირად ენთო სანთელი.

მართლმადიდებლობას შევეხეთ და ხახულის კარედის ეპიზოდსაც გავიხსენებ, რომელიც როინ მეტრეველმა გვიამბო და ნიგნში მაქვს შეტანილი.

**სკუპროვის
გადანყვებით ეს
სინეინდე — ხახულის
ქარაღი, თურქე ერთ
აპერიკალს მიჰყიდეს.
თბილისში ჩამოსულან ეს
აპერიკალი და კულტურის
საკავშირო
ნარკომადგენალი
კრემლიდან. შუაფოთიკული
შალვა ამირანაშვილი
(მუხუჟის დირექტორი)
ტალეფონით პირადად
ვასილ მუჟავანაძეს
დაუკავშირდა. მამას
უთქვამს: — დააღე
ბოქლოგი მუხუჟის და ერთი
კვირა საღვე გადაიქარგაო.**

ბატონი შალვა ასეც მოქცეულა. ამ ერთი კვირის განმავლობაში მამამ მოახერხა ხრუშჩოვის გადარწმუნება. ხახულის კარედი გადარჩა და დღეს ეს სინმინდე საქართველოშია.


ია კიზირია

მორმონების საქმის ჯაუჯური საქმიანობა საქართველოში

მორმონები საქართველოში — მათი სახელისუფლო ლობები, სექსუალური ჰობები, წინასაარჩევნო კვოტები და, რაც მთავარია, გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტები, რომლებიც პირველად 2009 წელს აიხსნა და ქართულ პრესაში პირველად ქვეყნდება.

სტატისტიკური მონაცემები ერთობ შთამბეჭდავია. მედია-ჰოლდინგ „ლოს-ანჯელეს ტაიმის“ აქციათა უმრავლესობა, თერთმეტი რადიოსადგური, ორი ტელეარხი და ბრიგამ იანგის სახელობის უნივერსიტეტი, „მარიოტის“ სასტუმროების ქსელი, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები — ეს იმ ქონების არასრული სიაა, რომელსაც მორმონები ფლობენ. 2010 წელს მორმონების სექტა საქართველოში თავისი დაფუძნებისა და არსებობის ათწლისთავს აღნიშნავს. არ არის გამორიცხული, ეს საიუბილეო თარიღი ვინრო წრეში, თუმცა დიდი პომპეზურობით აღინიშნოს თბილისში მდებარე „მარიოტის“ ორიდან ერთ-ერთ სასტუმროში. რატომ? გარდა იმისა, რომ სასტუმროთა ხსენებული ქსელის აქციათა 100% მორმონებს ეკუთვნით, მსოფლიოში არსებულ ყველა „მარიოტის“ სასტუმროში მორმონების ბიზნისი „მორმონის წიგნი“ თვალსაჩინო ადგილას დევს, სტუმრებს მათი გაცნობისა და რიტუალებში გამოყენების შესაძლებლობა რომ მიეცეთ. ასე რომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ „მორმონის წიგნი“ თბილისის „მერიოტის“ ქსელშიც დაიჭერს თავის თვალსაჩინო ადგილს. „მორმონის წიგნი“ ქართულად ნათარგმნი ჯერ არ არის და მას ავლაბარში მდებარე მორმონთა სამლოცველოში რუსულად კითხულობენ.

მორმონები, იგივე „უკანასკნელი დღის წმინდანები“ მსოფლიოში 12 მილიონ მიმდევარს ითვლის. მისი მამამთავარი ამერიკელი იოსებ (ჯოზეფ) სმიტია, რომელიც თავის თავს წინასწარმეტყველს უწოდებდა. იგი ირწმუნებოდა, რომ მას



მორმონთა ტაძარი სოლტ-ლეიკ სიტიში (იუტას შტატი, აშშ)

ქრისტე არა ერთხელ გამოცხადდა ახალი რელიგიის შექმნა უბრძანა. ქრისტეს გარდა სმიტს ანგელოზიც ეცხადებოდა, სახელად მორონი, რომლისგანაც იგი ღვთიურ მითითებებს იღებდა. ერთ-ერთი ასეთი მითითება მრავალცოლიანობა იყო და კიდევ ის, რომ ცოდვილსულთა გადასარჩენად, მორმონები მიცვალებულებზე უნდა დაქორწინებულიყვნენ და ამ გზით მოენათლათ ისინი. ანგელოზმა მორონიმ სმიტს ორი ჯადოსნური ქვა აჩუქა, რის შემდეგაც სმიტმა სადღაც ნაპოვნო, ძველევგვიპტურ ენაზე დაწერილი ტექსტები გაშიფრა და მას „მორმონის წიგნი“ უწოდა. ეს წიგნი გახდა მორმონთა ბიბლია და მათი მოძღვრების ქვაკუთხედი.

სანამ მოკლედ მოგითხრობდეთ, თუ რა წერია „მორმონთა წიგნში“, ჯერ ჯოზეფ სმიტის ბიოგრაფია

დავასრულოთ. მრავალცოლიანობას მორმონებში ჯოზეფ სმიტმა დაუდო საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ იგი დაქორწინებული გახლდათ, თანაც კარგა ხნის, ერთ მშვენიერ დღეს 12 წლის გოგონას დაადგა თვალი. ბავშვის მშობლებს კი სმიტმა განუცხადა, რომ ზემოდან ჰქონდა გამოცხადება და 12 წლის გოგონა მისი მეორე ცოლი უნდა გამხდარიყო. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი — გამოცხადებები გამოცხადებებს მოსდევდა და საბოლოო ჯამში მორმონიზმის ფუძემდებელს 27-მდე ცოლი დაუგროვდა. მცირეწლოვანთა ჰარემს სმიტისთვის ხელი არ შეუშლია 1844 წელს ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში ეყარა კენჭი. წინასაარჩევნო კამპანიის დროს არა, მაგრამ ძალიან მალე მორმონების მამამთავარმა უცნაური განცხადებების გა-



კეთება დაიწყო მორმონების მსოფლიო ბატონობისა და მისი გამეფების შესახებ. ისტორიამ შემოინახა ამ ქადაგებათა ნაწილი. მაგალითად, სმიტის ეს სიტყვები: „ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნება ვერც პავლემ, ვერც იოანემ, ვერც პეტრემ და ვერც იესომ ვერ შეძლო. ვინც ეს გააკეთა, ეს ვარ — მე!“... ჯოზეფ სმიტი ნერვიულობდა, რა ეშველებოდათ მის ძმებს, რომლებიც მანამდე გარდაიცვალნენ, ვიდრე სმიტი მორმონი გახდებოდა. მან გამოაცხადა, რომ გამოცხადებაში ეუნყა, რომ გარდაცვლილი ახლობლები მოენათლა. მორმონთა შორის მკვდრების მონათვლის ცერემონია დაახლოებით ასე გამოიყურებოდა (და დღესაც გამოიყურება): ტაძარში შედის მორმონი და ამბობს, რომ ის გარდაცვლილ ნათესავს განასახიერებს. მას ნათლავენ და ასე ხდება უკვე გარდაცვლილი ადამიანი მორმონი. ბევრი რომ არ გაავარძელოთ, სმიტს მორმონების ნაწილი გამოეყო და ანტიჯოზეფსმიტიური კოალიცია შექმნა. ეს რომ სმიტმა გაიგო, თავის მომხრეებს განდგომილების დარბევა დაავალა და ორად გახლეჩილი მორმონები ერთმანეთს დაატაკა. 1842 წელს სმიტი და მისი 200 მიმდევარი მასონობაში გაწევრიანდა და ამ დროიდან მოყოლებული მორმონების „ღვთისმსახურებაში“ მასონური რიტუალები და რიტუალური საგნები შევიდა. თანდათან იუტას შტატში დასახლებულ მორმონებს ადგილობრივი მოსახლეობა დაუპირისპირდა და 1844 წელს, როცა ჯოზეფ სმიტი ციხეში ჩასვეს, გამძვინვარებული ბრბო ციხეში შეიჭრა და სმიტი და მისი ძმა მოკლა. ძმები სმიტები იმ გამომცემლობის გადანვისათვის დააპატიმრეს, რომელმაც ჯოზეფ სმიტის მოადგილის მიერ დანერილი მორმონიზმის მამამთავრის სიცრუისა და გარყვნილების მამხილებელი წერილი დაბეჭდა. ამერიკაში მე-19 ს-ში შემორჩენილ მრავალ დოკუმენტში, რომლებიც სმიტის პიროვნებისა და ქმედებების შესახებ ცნობებს შეიცავს და მისი უშუალო ნაცნობების მიერაა დანერილი, ვერ იპოვით ვერც ერთ გამამართლებელ საბუთს — ყველა მამხილებელია. თუმცა ამას მორმონები დღემდე მალავენ. ჯოზეფ სმიტის სიკვდილის შემდეგ მისმა მომხრეებმა იგი წამებულად გამოაცხა-

დეს, მის მაგივრად კი ბრიგამ იანგი აირჩიეს. ბრიგამ იანგს ჰყავდა 70 ცოლი და 56 შვილი. იანგმა არასასურველი პიროვნებებისაგან სექტის განწმენდის მიზნით, 1857 წელს 137 ადამიანი დაახოცინა ვინემ ჯონ ლის. ჯონ ლის მხოლოდ 20 წლის შემდეგ გაუხსნეს ეს დანაშაული და 1877 წ. სიკვდილით დასაჯეს. ბრიგან იანგისთვის ამას ხელი არ შეუშლია, ორგანიზაცია გაეზარდა. მეტიც, მორმონების მსოფლიო ბატონობისთვის მზადება დაიწყო. ვინაიდან ამერიკის კონსტიტუცია პოლიგამიას (მრავალცოლიანობას) კრძალავს, მორმონებმა ოფიციალურად აკრძალეს იგი, რათა ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონოდათ, არაოფიციალურად კი დღემდე დამკვიდრებულია.

მორმონობის მოძღვრების საწყისები უამრავ წინააღმდეგობასა და ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიას შეიცავს. ფორმალურად იგი ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს ახმოვანებს, განსაკუთრებით ქრისტიანულ ქვეყნებში ქადაგების დროს. მრავალმა რიგითმა მორმონმა კარგად არც კი იცის მორმონთა მოძღვრების არსი, რომელსაც იგი ქრისტიანული ფრაზეოლოგიით ნიღბავს. ამ არსს თუ ჩავწვდებით, აღმოვაჩინოთ, რომ სინამდვილეში მორმონობა უკიდურეს მკრეხელობასა და ქრისტიანობის უარყოფას ნარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყანაში მისიონერობის დროს მორმონები გვერდს უქცევენ თავიანთი სწავლების სპეციფიკურ პუნქტებს:

1. მორმონობა უარყოფს ქრისტიანულ სამებას:

მათი მამა ღვთისი არის სოკსილი და აფაიანის მსგავსი პიროვნება, ჰყავს ცოლი, შვილები. ცოლის სახელი გასაიდუმლოებულია, სოლო შვილები არიან — ქრისტე, ლუსიფარი და სხვები, როგორცაა ნინაპოლოზს ბიბლიური სახელის მქონე მოკრძეული ღვთაება ევლოქი.

2. მორმონობა უარყოფს მაცხოვარ ქრისტეს. სმიტის მიხედვით, ქრისტე არის ლუციფერის ძმა, არა მხსნელი, არამედ — ხსნილი, ერთ-ერთი მრავალ ღვთაებას შორის, შობილი მამის (იგივე ადამ-ევლოქისა) და მარიამის შეწყვილებით. სხვა მკრეხელური ვერსიით, ქრისტე დროში ნაშობია, ხოლო მარიამს ფიზიკური სიახლოვე არა მარტო ევლოქთან, არამედ ქმარი იოსებთანაც ჰქონდა და არ იყო ქალწული. მრავალცოლიანობის გასამართლებლად მორმონები ასწავლიდნენ, რომ ქრისტე ცოლიანი იყო, რომ ჰყავდა მრავალი ცოლი, მათ შორის მართა და მარიამი, ლაზარეს დები.
3. მორმონები მხოლოდ მორმონულ ნათლობას აღიარებენ. ამასთან, მიცვალებულთა მონათვლასა და მათზე ქორწინებასაც მისდევენ — მორმონს შეუძლია თავისი გარდაცვლილი წინაპრებისათვის რამდენიმეჯერ ნათელ-ილოს. მორმონის ცხოვრების მიზანია, გახდეს ღვთაება. იანგი წერდა: „ღმერთები არსებობენ და ყოველი ჩვენგანი უნდა მოემზადოს, რათა იქცეს ღვთაებად“.

4. მოკრძეული უოკალურად სწავნა ნიღბა ნაწილს, მგზავს უპირატესობას თავის „მოკრძეულ ნიღბს“, „ღოქტრინებსა და აღთქმებს“ და სხვ. ანიჭებენ;

5. სმიტი ამბობდა, რომ მრავალცოლიანობა მას გამოცხადებით ეუნყა და, მრავალი ცოლი რომ არ ჰყოლოდა, მოციქულებრივი წოდების დაკარგვისა და მარადიული სიკვდილის საფრთხე დაემუქრებოდა. ამიტომ სმიტს 20-ზე მეტი, ხოლო იონგს 30 ცოლი ჰყავდა. მათი მიმდევარი „წმინდანებიც“ მრავალცოლიანები იყვნენ. ამასთან, მორმონებს ცოლად არა მარტო გაუთხოვრი და ქვრივი ქალები მოჰყავდათ, არამედ გათხოვილი ქალების ღირსებასაც ხელყოფდნენ. მრავალცოლიანობა მორმონებმა ამერიკის ხელისუფლებაში მოსვლის გამო დათმეს. ამის შედეგად მორმონებს გამოეყვნენ „ძველმორმონები“, რომლებმაც არ მიიღეს მრავალცოლიანობის აკრძალვა.



6. მორმონები გამოიხატა მართლმადიდებელ ეკლესიას, მის სწავლებას, ტაძრებსა და ღვთისმსახურებას. სმიტი ამბობდა, რომ „ყველა ქრისტიანი მოძღვარი და მისი მიმდევარი ემშაკის შვილია და ემშაკების ხვედრს გაიზიარებს“. ამასვე ამბობდა იანგი. ამასვე ამბობენ მათი მემკვიდრე მორმონები.

7. მორმონთა ეკლესიაში მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურული სქემა არსებობს. ეკლესიას სამოცდაათა საბჭო მართავს, რომლის შემოთ დგას 12 მოციქულის საბჭო. მოციქულთა საბჭოს განაგებს პრეზიდენტი თავისი ორი მრჩეველით. თორმეტი მოციქული და სამი შემდგომი პირი დიდ თხუთმეტეულს ქმნის. თხუთმეტეული ყოველ ხუთშაბათს იუტას შტატის დედაქალაქ — სოლტ-ლეიკ სიტის მორმონთა დიდ ტაძარში იკრიბება. ეკლესიის პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ მის პოსტს პირველი მრჩეველი იკავებს, მეორე მრჩეველი კი ყველაზე გავლენიანი პირი ხდება. მორმონები საკუთარ თავს ქრისტიანებს უწოდებენ, მაგრამ მორმონთა წიგნს საღვთო წერილის მსგავსად აღიარებენ.

8. რიგითმა მორმონებმა არ იციან, რომ დღემდე არსებობენ ე.წ. სიკვდილის ანგელოზები, რომლებსაც მათი სექტისათვის არასასურველ პირთა მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი მოჰყავთ სისრულეში.

მორმონები საქართველოში

შეიძლება ბევრმა არც იცის, როგორია მორმონთა პრეისტორია საქართველოში, რომელთა „ოფიციალური“ არსებობა 2005 წელს იღებს სათავეს. მორმონთა ეკლესია თბილისში სამასამდე წევრით ოფიციალურად 2005 წელს დარეგისტრირდა. მაშინ ყოველ კვირას ქართველი მორმონები რელიგიურ შეკრებებს „აჭარასთან“ მდებარე ახლადამენებულ ორსართულიან სახლში ატარებდნენ. ჩემს ახლობელს, პროფესიით ადვოკატს, ასეთ შეკრებაზე დასწრების შესაძლებლობა მიეცა და მომიყვა, როგორ გამოიყურებოდა ქართულ-მორმონული შეკრებები. თეთრ ორსართულიან შენობაში, უზარმაზარი თეთრი დარბაზის ცენტრალურ კედელზე ქრისტეს პორტრეტი ეკიდა, სკამე-

ბი და კათედრა ისე იყო განლაგებული, რომ პროტესტანტულ ეკლესიას მოგაგონებდათ. ქადაგებას მაშინ ქართველ მორმონთა პირველი პრეზიდენტი, ამერიკელი პენსიონერი ჯოზეფ ჰომერი ატარებდა. იგი თბილისში მეუღლესთან — არლინ ჰომერთან ერთად იყო ჩამოსული და ქართულ მისიას თითქმის ერთი წელი უხელმძღვანელა. ჯოზეფ ჰომერი ბულალტერი გახლდათ, არლინ ჰომერი ექთანი და მათ რამდენიმე პროექტი განახორციელეს საქართველოში. მათ შორის ყველაზე დიდი სასჯელალსრულების დაწესებულებებში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა იყო. ჰომერების შემდეგ საქართველომ კიდევ რამდენიმე მორმონი პრეზიდენტი გამოიცვალა, მაგრამ 2008 წელს, მას მერე რაც ბუშის მთავრობამ მორმონებს დიდი ხნის სურვილი აუსრულა და სექტის სანაცვლოდ ოფიციალური ეკლესიის სტატუსი მიანიჭა, ქართველი მორმონები საბურთალოს სპორტის სასახლესთან მდებარე ორსართულიანი სახლიდან გადავიდნენ და ავლაბარში, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის სიახლოვეს საკუთარი ეკლესია ააშენეს. დღეს მორმონთა სექტა საქართველოში „იესო ქრისტეს წმინდანთა ბოლო დღეების ეკლესიის“ ოფიციალური სტატუსით მოქმედებს და რეზიდენცია ავლაბარში აქვს. საქართველოს ხელისუფლების, კერძოდ კი ჯანდაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს ხელშეწყობით ყოველ წლიურად მისიონერთა დიდი ჯგუფი ჩამოდის და ე.წ. განმანათლებლურ საქმიანობას ეწევა ჩვენს ქვეყანაში. ამის შედეგია ის, რომ დღეს „საბურთალოელი მორმონები“ თეთრი მარმარილოთი და სპარსული ნოხებით განწყობილ ავლაბრის ოფისში ე. წ. ეკლესიაში მოღვაწეობენ. ბავშვებისა და მოზარდებისთვის მორმონთა ეკლესიაში ცალკე ადგილია გამოყოფილი და საკვირაო სკოლაც კი არსებობს. ენის სწავლება მათი ძირითადი სატყუარა და მნიშვნელოვანი იარაღია. არც არის გასაკვირი: მორმონები მსოფლიოში ამერიკანიზაციის დამყარებაზე მუშაობენ. მათი აზრით, მსოფლიო მოვლენათა ცენტრი მომავალში ამერიკა იქნება, რადგანაც ამერიკელები თითქოსდა ბოლო დროის საღვთო აღთქმის ხალხს — „ახალ ისრაელს“ წარმო-

ადგენენ. ამიტომაცაა, იუტას შტატში ისინი „ახალი იერუსალიმის“ აშენებას აპირებენ. ასევე ცოტამ თუ უწყის, რომ სექტას მსხვერპლშენიერვის რიტუალიც აქვს და იუტას შტატში ადამიანებს „შურისმგებელ ანგელოზთა“ მსხვერპლად ქცევის შიში დღემდე მოჰყვებათ. მორმონებს მარტო ამერიკაში ოთხ მილიონამდე წევრი ჰყავთ; ამას გარდა, ასიათასობით მიმდევარი — ევროპაში, ავსტრალიაში და ამჯერად უკვე საქართველოში. „ვარდების რევოლუციის“ ქართველთა მორმონიზაციას ყველაზე პირველად განათლების შესახებ კანონის მიღებამ შეუწყო ხელი, როდესაც სექტანტებს სკოლებში ყველაფრის კეთების საშუალება მისცეს. „ვარდოსნების“ კანონმდებლობით, მართლმადიდებლური რელიგია და სიმბოლიკა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან აბსოლუტურად გამოაძევეს, რითაც ამ კანონმა მართლმადიდებლობა, ფაქტობრივად, უკანონო მდგომარეობაში ჩააყენა.

ახლა კი შეპირებული, გრიფით „საიდუმლო“ მასალები, რომელიც ქართულ პრესაში პირველად ქვეყნდება. რა ხდებოდა აშშ-ში „ვარდების რევოლუციამდე“ სულ რაღაც რამდენიმე თვით ადრე.

2002 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების „ფბრ“-ს საინფორმაციო სამართველოს უფროსად დაინიშნა მორმონი დარვინ ჯონი. როგორც ამერიკის საინფორმაციო საშუალებებმა გააჟღერეს, მას დაეკისრა „მსოფლიო ტერორიზმთან“ ბრძოლის მისია. აშშ-ის ადმინისტრაციის მხრიდან ასეთი უცნაური ნაბიჯის გადადგმა იმით იქნა ახსნილი, რომ პენტაგონს არ გააჩნდა საკმარისი რესურსები ელექტრონული საინფორმაციო ქსელის მართვისთვის. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე, 11 სექტემბრის მოვლენებზე მთელი პასუხისმგებლობა სწორედ „ფბრ“-ს ხსენებულ საინფორმაციო სამართველოს დაეკისრა. (დებარტამენტს ბრალი წაუყენეს გადაჭარბებულ ბიუროკრატიზმსა და მონაცემთა სისტემური ბაზების უქონლობაში). და აი, ტრაგედიიდან ათი თვის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ მისი უსაფრთხოების სისტემა უვარგისია და ასეთ მაღალ თანამ-



დებობაზე, ანუ ამერიკის შეერთებული შტატების „ფბრ“-ს საინფორმაციო სამართველოს უფროსად ინიშნება დარვინ ჯონი, რომელიც მანამდე მორმონთა ეკლესიის საინფორმაციო სამსახურის დირექტორი გახლდათ. დარვინ ჯონს არ დაუყოვნებია და თავის პირველსავე საპრეზენტაციო სიტყვაში განაცხადა, რომ იგი აპირებს, ახალი თანამშრომლები ზუსტად იგივე ელექტრონული სისტემით აღჭურვოს, რაც მანამდე მორმონთა ეკლესიაში ჰქონდა; განსკუთრებული ყურადღება დაუთმოს შიდა საუწყებო ქსელებისა და ინტერნეტში შედენევადობის განახლებას. კერძოდ, ელექტრონულ ფოსტებს, ელექტრონულ დოკუმენტებთან მუშაობას, უზრუნველყოს ბიურო ცენტრალიზებული სისტემიდან ინფორმაციის მიღების სისწრაფით. ერთი შეხედვით, სრულიად არაფრისმთქმელი სიტყვებია, მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს, რა დამსახურებისთვის დანიშნეს დარვინ ჯონი, ეს მორმონების მთავარი ბიბლიოთეკარი ასეთ მაღალ პოსტზე.

საქმე კი შემდეგშია: დარვინ ჯონმა მორმონთა ეკლესიის ბაზაზე შექმნა ადამიანთა (მათ შორის არამორმონთა) მონაცემთა ბაზა, კერძოდ, მათი გენეალოგიური მონაცემები, რომელშიც შეყვანილი იყო 900 მილიონიდან 4 მილიარდამდე სახელი და გვარი, მათ შორის მე-17 საუკუნეში მცხოვრები პირები. როგორც გაირკვა, მორმონთა ეკლესია, ერთადერთი ორგანიზაციაა მთელ პლანეტაზე, რომელსაც დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა გენეალოგიის ყველაზე დიდი ბაზა გააჩნია. რაში სჭირდებათ მორმონებს ეს ფანტასტიკური ინფორმაციის შემცველი მონაცემები?

უკვე ვთქვით, რომ მორმონებს ამოძრავებთ მსოფლიო ბატონობის იდეა. მათ სწამთ აპოკალიფსის და საშინელი სამსჯავროსი, რომლის დროსაც გადარჩებიან მხოლოდ მორმონები. შესაბამისად, მათ აიღეს მისია თავის თავზე, რათა გადაარჩინონ კაცობრიობა, მოკრიფონ დედამიწაზე არსებული ყველა ცოცხალისა და გარდაცვლილის მონაცემები და მონათლონ იგი, ცხადია, მიცვალებულთა და მათ ახლობელთა ნებართვის გარეშე. ასე რომ, თითქმის მილიარდი ადამიანის მონაცემთა კოლოსალური ბა-



მრავალცოლიანი მორმონი

ზის შექმნა, რომელსაც ბუშის ადმინისტრაციამ დამსახურებად ჩაუთვალა მორმონ დარვინ ჯ, სხვა არაფერია, თუ არა პლანეტაზე ამჟამად თუ წარსულში ნაცხოვრები მოსახლეობის გადანათვლა. სწორედ ეს არის „უკანასკნელი დღეების წმინდანთა ეკლესიის“ მთავარი მიზანი — შეაღწიონ უცხო ქვეყანათა მონაცემთა ბაზაში და ამოილონ საარქივო დოკუმენტები. შემდგომ ხდება რიტუალური მონათვლა. მათვის სულერთია, რას წარმოადგენს ადამიანი — კათოლიკეს, მართლმადიდებელს და ა.შ. ხელსაც ვერაფერ შეუშლის, ვინაიდან მორმონი, დიდი ხანია, სარგებლობენ ისეთი მფარველების ხელშეწყობით, როგორიც არის „ფბრ“ და „ცრუ“. დარვინ ჯონს დავუბრუნდეთ. მან პოსტზე მოსვლისთანავე ამოქმედა პროექტი „ტრილოგია“, რომელიც მიზნად ისახავდა სამაგიდო სისტემებისა და ქსელების განახლებას. პროექტი „ტრილოგია“ საქართველოში 2004 წელს გადმოვიდა „იუსაიდის“ არასამთავრობო სექტორში (რომელსაც ვანო მერაბიშვილის არასამთავრობო უწოდებდნენ, იქ წლების განმავლობაში მუშაობდა თაკო სალაყაია), 2006 წელს კი „იუსაიდის“ მთელი შემადგენლობა სახელმწიფო საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობაში მოვიდა.

აშშ-ის სენატში ასი სენატორიდან ხუთი მორმონია, ქვემო პლატის იუტას შტატიდან ყველა წევრი მორმონია და, როგორც წესი, წარმოადგენენ რესპუბლიკურ პარტიას. გაზეთ „ტაიმსის“ მონაცემებით, მორმონების ეკლესიის ფინანსურმა რესურსებმა 30 მილიარდ დოლარს მიაღწია. ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, იგი სადღაც შუალედურ პოზიციას იკავებს მსოფლი-

ოს 500 ყველაზე მდიდარ კომპანიას შორის.

დარვინ ჯონი 2009 წელს მოხსნეს. მის ამ პოსტზე ყოფნის დროს მორმონებმა 200 მილიონი ადამიანი გადანათვლეს, მათ შორის ბუდა, მოსე, ქრისტე, შექსპირი, ჰიტლერი, ეინშტეინი, რომის ყველა პაპი, ელვის პრესლი. როგორც ამბობენ, დარვინ ჯონი ებრაელთა სკანდალს შეენირა. კერძოდ, ამერიკელმა ებრაელებმა აღმოაჩინეს, რომ მორმონებმა „ხოლოკოსტის“ 360 ათასი მსხვერპლი ერთ დღეს გადანათვლეს. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთო იუდეველთა სასულიერო საბჭო და მორმონები იძულებული გახდნენ რაბინებისთვის საშუალება მიეცათ, გადაეხედათ და ამოეშალათ მორმონთა მონაცემთა ბაზიდან ყველა ებრაული გვარი. თუმცა, როგორც ამბობენ, ებრაელებს ეს მაინც არ გამოუვიდათ ბოლომდე. მაგალითად, სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ 2000 წელს გადანათვლეს ვინმე დევიდ გრინი, რომელიც საბოლოო ჯამში დავით ბენ-გურიონის აღმოჩნდა, ისრაელის მთავრობის თავმჯდომარე, 1973 წელს გარდაცვლილი.

ახლა კი, ყველაზე მთავარი. 1992-1995 წლებში იუტას შტატის გენეალოგიურმა საზოგადოებამ დსთ ქვეყნების საარქივო სამსახურებთან, კერძოდ უკრაინის, ბელორუსის, საქართველოს, სომხეთისა და მოლდოვას ხელისუფლებასთან დადეს ხელშეკრულება, ამოღებული საარქივო დოკუმენტების 20%-ის მიკროფილმირება მოეხდინათ. 115 529-დან 22 283 ტომის მიკროფილმირება მოახდინეს, ხოლო საქართველოს მთავრობას თითო კადრ მიკროფილმში 10 ცენტი გადაუხადეს. საქართველოს არქივმა მოგების ნაცვლად საკმაოდ მცირე თანხა მიიღო, ვინაიდან ეს სამუშაო წლები გაგრძელდა და საბოლოო ჯამში, 1995 წლისათვის, ბიუჯეტში სულ რაღაც 40 ათასი დოლარი შემოვიდა. ეს ის თანხაა, რის სანაცვლოდაც ამერიკაში გაიყიდა ათეულ ათასობით ქართველის გენეალოგიური მონაცემები. 1995 წლის შემდეგ საქართველოს არქივში მორმონთა მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები ქრება, მაგრამ 2002 წელს მას „იუსაიდის“ მთელი შემადგენლობა აგრძელებს.

თავარ ქვენიშვილი



გიულდენუბადის მოგზაურობა საქართველოში

გაბრძელება (დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №2-3)

უცხოელ მოგზაურთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შესასწავლად დატოვებულ ცნობებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ცნობებში მოიპოვება უხვი მასალა ქვეყნის სოციალური ვითარების, პოლიტიკური წყობის, ეკონომიკური მდგომარეობის, გეოგრაფიული პირობების, ბუნებრივი სიმდიდრისა და სხვათა შესახებ.

ზემო ქართლი

ეს ქართული პროვინცია მდებარეობს მტკვრის ზემო ნელში და მის შენაკად მდინარეებზე, კავკასიონის სამხრეთსა და არარატის ჩრდილოეთ მთისწინეთს შორის.

200 წლის განმავლობაში ის იყო თურქთა ხელში. თურქი ფაშა, რომელსაც პორტა ჩვეულებრივ ამ პროვინციის ერთ-ერთი დიდებული გვარიდან ირჩევს, მთავარ, ანუ საგუბერნიო ქალაქში — ახალციხეში იჯდა, რომელიც მდებარეობს ზემოთ მტკვარზე. ფაშა არის ნაცვალის (გამგე) გურიის იმ ოლქებისა, რომლებიც ახლა თურქებს აქვთ მიტაცებული და მდებარეობენ შავ ზღვაში ჩამავალ მდინარე ჭროხზე.

მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველია და, რადგან თურქებმა მათ დაუტოვეს ეკლესიები, უმეტესობა ჯერ კიდევ ქრისტიანებია. მცირე რაოდენობა გამაჰმადიანდა და ყველა ესენი თავადები და უმთავრესად აზნაურები არიან. ქართველთა შორის ბევრი არიან თათრები, ამიტომ ქართული და თათრული, უმეტესად კი პირველი, იხმარება სალაპარაკოდ. თათრებს გარდა სომხებიც არიან, ამათგან კი ბევრია კათოლიკე. ესენი თავის რელიგიას ადგანან, ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე, ოღონდ ყველა ქრისტიანისათვის მხოლოდ ზარების რეკვაა აკრძალული. აქ არიან, აგრეთვე, ებრაელებიც.

მხარე ჯავახეთი

ჯავახეთი, არა გაკავეთი, არის ქართული მხარე, რომელიც ამჟამად მთლიანად თურქების ხელშია და ეკუთვნის ახალციხის გუბერნიას. მას მიაკუთვნებენ 5 სამხარეო ქალაქს, ესენია:

1. ახალქალაქი, თურქები უწოდებენ ახალქელექს, მდებარეობს კავ-

კასიის მთისწინეთსა და არარატის მთიანეთს შორის მდინარეზე; მას ეკუთვნის დიდი სოფლები — ვაჩიანი და ხულგუმი (არა ხუტურდო), აგრეთვე, გოგია (არა გოგუა), რომელიც მნიშვნელოვანი ციხე იყო, ახლა კი განადგურებულია;

2. გოლე, არა კოლა;

3. არდაჰანი (არა ატრაჰი), მას ეკუთვნის კარგი დასახლებული პუნქტი წყაროსთავი;

4. ჩილდირი, არა ხერდილი; იქვე არის იმავე სახელის ტბა; მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი ციხე ნაქალაქევი; არარატის მთიანეთიდან, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მომავალ მდინარეზე და მის შენაკადებზე მდებარეობს, რომელიც ახალქალაქიდან მომავალ მდინარეს უერთდება და მათი შერთვის კუთხეში ძვეს მეხუთე სამხარეო ქალაქი ხერთვისი; აქედან ეს მდინარე კიდევ 4 საათი მიედინება ჩრდილოეთით — ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთიდან მომავალ მტკვარს ერთვის. ხერთვისის ახლოს არის შემდეგი სოფლები: 1. ტოლოში; 2. კუკეთი; 3. აძგვიტა; 4. ქუნცა; 5. დადეში; 6. ბნელა; 7. ერკოტა; 8. ხიზაბავრა; 9. ნიშგორა; 10. სარო; 11. ნერაყინთა; 12. შადრევანთა; 13. თოკი; 14. ვარევანი; 15. ხანდო; 16. კოთელია; 17. ჩუნჩხა; 18. მურჯიხანი; 19. ფრთენა (პტენა); 20. ჩუნჩხა; 21. ალჯუა; 22. კვარშა; 23. ქილდა; 24. ფია; 25. ზედათმოგვი; 26. გელსუნდა; 27. ორხოპია; 28. ცხეკნელა; 29. დანიეთი; 30. შოლა; 31. ვანი; 32. დავითასუბანი; 33. გუნდა; 34. შალოშეთი; 35. თოლერთა და 36. ალანძია.

მხარე სამცხე

სამცხე, არა სომსკე, არის ქართული მხარე, რომელიც გადაჭიმულია მტკვარს აყოლებით სურამიდან და ქარელიდან მის (მტკვრის) სათავეებ-

თან მდებარე მხარემდე. მას ეკუთვნის შემდეგი სოფლები ქარელიდან ზევით: 1. ნრომი; 2. გვეძინეთი; 3. სამნერისი და 4. ხცისი და ციხეები; 5. კრისისხევი; 6. ღართა; 7. შვლისყური; 8. თაგოეთი; 9. ბრბონანა.

სურამიდან ზევით (მტკვრის მარცხენა მხარეზე) ბორჯომი, ახალდაბა (ციხე), ქიმერიტი, ნეძვი, კორტანეთი, ზანავი, ყვიბისი, თორი, ეშმაკუბანი, ჭალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვერბილი, პეტრესციხე, ჭობიხევი. ყველა ეს სოფელი განადგურებულია და ამასთან ქმნიან საზღვარს საქართველოსა და თურქებს შორის. შემდეგ, მტკვრის ორივე მხარეზე, თურქეთის ხელში არსებული დასახლებული ციხეებია: აწყური, ასპინძა, ჭეჭერეტი, ქვაბლიანი, ახალციხე, აბასთუმანი და ფოცხოვი; ყველა ეს სამხარეო ქალაქები საგუბერნიო ქალაქ ახალციხეს ეკუთვნის და მდებარეობს დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთით კავკასიის მთიანეთის სამხრეთ მხრიდან მომდინარე მტკვარზე.

მხარე სათარხნო

მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეს, მასა და ქციას ზედა წელის მარცხენა მხარეს შორის. მასაც ეკუთვნის ქართველებით დასახლებული, მაგრამ თურქეთის მფლობელობაში მოქცეული სოფლები.

მხარე საციციანო

სათარხნოს ზემოთ და მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. ის ყველაფერში ძალიან ჰგავს სათარხნოს და აქვს ქართველებით დასახლებული სოფლები, უმთავრესად კი გაპარტახებული სოფლები და ძალიან ნააგავს განადგურებულ უდაბნო ადგილებს.

მე დავინყებ ცნობების მოცემას მტკვრიდან, რადგან ის აქ გამოდის და არის ქართლის მთავარი მდინარე. ქართული პროვინციების — კახეთის, ქართლის, სომხეთის — ყველა



მდინარე ეკუთვნის კასპიის ზღვაში ჩამავალ მტკვრის სისტემას.

ეს არის კიროსი ძველი გეოგრაფებისა. ქართველები ეძახიან მას „კურ“-ს, ასევე „კურა“-ს და განსაკუთრებით მის ზედა ნაწილს — „მტკვარ“-ს.

ის სათავეს იღებს არარატის მთიანეთში, შავი ზღვის შენაკად ჭოროხის სათავეების ახლოს, რომელიც საქართველოს ძველ საზღვარს წარმოადგენდა, და საქართველოზე მიედინებოდა, მისი ძველი სრული განზომილებით. ამჟამად ის მიედინება (სათავიდან) ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით თურქეთის მიერ დამორჩილებულ და საქართველოსგან მოწყვეტილ ზემო ქართლში ახალდაბა-ბორჯომამდე.

ახალდაბის ქვევით მარჯვნივ, ანდა სურამს ზევით (მარცხენა ნაპირზე) მტკვარი უხვევს აღმოსავლეთით დაბლობზე, რომელიც მოთავსებულია კავკასიონის სამხრეთ კალთებსა და არარატის მთიანეთის ჩრდილო კალთებს შორის; არაგვს ქვევით მიედინება აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და ადგილ-ადგილ სამხრეთ-აღმოსავლეთით არაქსამდე, სადაც ის ამ მიმართულებით ხვდება მთისწინეთს, რომელიც ახლანდელ საქართველოს საზღვრავს სპარსული თავისუფალი სახელმწიფოსაგან, შირვანიდან, და რომელიც მას აბრუნებს სამხრეთის მიმართულებით, საითკენაც ის, საქართველოს გარეთ, ანუ ქვევით — სალიანთან, რამდენიმე ტოტით ჩადის დასავლეთიდან კასპიის ზღვაში. ამ მთავარი მდინარის მდებარეობა და მიმართულება ნაჩვენებია რუკაზე და, რაც მე შევნიშნე, მისი წყნარი დინების, წყალვარდნილების გარეშე, თხელი ადგილების, მღვრიე წყლის, თევზების, ნაპირების შესახებ, სადაც და რაც კი შენიშნული მაქვს, შეტანილია დღიურში. ახლა მე ვიტყვი მხოლოდ მისი ორივე მხარის შენაკადების შესახებ, მათზე და მტკვარზე მდებარე მხარეების შესახებ; ამასთან, ავყვები მდინარეს ქვევიდან ზევით, რადგან, ჯერ ერთი, ასე ვმოგზაურობდი; მეორეც, ამ გზას მივყავარ იმერეთის საზღვრებთან, სადაც რიონს დაყოლებით და შემდეგ ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ სამეგრელომდე მივდი.

მტკვრის ყველა შენაკადს, ადგილის მთავგორიანობის გამო, დინება

აქვთ ღრმა, ხან განიერ, ხან ვიწრო, ციაბო, ან დამრეც ხეობებში, რომლებიც ზოგჯერ შიშვენი ნაყოფიერ ველებს, ზოგჯერ დიდდებიან და ნაპირიდან გადმოდიან, ამიტომ ბევრი სანაპირო სოფლები ხეობებში მაღალ ნაპირებზე დგას.

არაქსი, რომელიც იწყება არარატის მთიანეთში, მტკვრისა და ჭოროხის სათავეების ახლოს, მიედინება ამ მთიანეთზე და საქართველოს მთელი საზღვრის მეზობლად. თავისი სიდიდით მტკვარს არ ჩამოუვარდება და ერთვის მას მარჯვენა მხრიდან, იქ, სადაც ის მთიანეთიდან გამოდის. ახლა ის მთიანად ქართული მხარეების გარეთ მიედინება, ადგილები დაუსახლებელია და მე არ მინახავს.

ალაზანი გამოდის კავკასიის მთიანეთის სამხრეთ კალთებიდან და მიედინება ქართულ პროვინცია კახეთში, კირიან მთებში; შემდეგ დაბლობზე, მას და მთისწინეთს შორის, სამხრეთით — სამხრეთ-დასავლეთისკენ და არაქსის ზემოთ ჩადის მტკვარში მარცხენა მხრიდან. მისი მთავარი შენაკადები ზევით კენ არის: ილტო, ქისტაური, ორვილი, ფშა, ხოდაშენი, თურდო, სტორი და თელავი. ის და მისი შენაკადები დასახლებულია ქართველებით; ხოლო აღმოსავლეთისკენ — საკმაოდაა ლეკებით.

იორი მიედინება ალაზნის დასავლეთით არც ისე შორს, პარალელურად და მთლად მას ჰგავს სათავეში, დინებაში, შესართავში; მხოლოდ იერთებს ნაკლებ შენაკადებს და, რადგან ის მთლიანად კახეთში მიედინება, ნაკლებ დასახლებულია.

ახსტაფა, არარატის მთიანეთიდან სომხეთში მიედინება ჩრდილო-აღმოსავლეთით და მტკვარში მარჯვნიდან ჩადის.

ძვია ანუ ნახატირი სათავეს იღებს სამხრეთ კავკასიის მთებში და მიედინება აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით; ახსტაფის ზევით ერთვის მტკვარს მარჯვნიდან და განეკუთვნება მის უდიდეს შენაკადებს. ქვევით ის მარჯვნიდან იერთებს მდ. დებედას, რომელიც იწყება არარატის მთისწინეთში და მიედინება სომხეთში. უფრო ზევით ის მარჯვნიდან, აგრეთვე, იღებს დიდ მდინარეს — მაშავერას, რომელიც თვით იერთებს დამბულატის ხევს, კაზარეთს, ფოლადაურს და ბევრ წყლებს, მაგრამ მცირედაა და-

სახლებული. ქცია და მისი შენაკადები მიედინებიან არარატის მთიანეთის ხეობებში, სადაც არის სპილენძისა და რკინის საბადოები.

არაბში, იორის მსგავსად, მაღალ მთებში იღებს სათავეს და მიედინება სამხრეთით — მტკვრისკენ, რომელსაც თბილისის ზემოთ აღწევს. ის მთლიანად შიდა ქართლში მიედინება; მისი ყველაზე დიდი შენაკადებია — გუდამაყარი, ფშავი, ნარეკვაი. მასზე ზემოთ არიან ოსურ-ქართული, ქვევით — ქართული მხარეები.

ქსანი არაგვზე დიდია, მაგრამ სხვა ყველაფერში მისი მსგავსია; მასზე და მის შენაკადებზე ზემოთ არის ქართულ-ოსური, ქვევით — ქართული მხარეები.

ლიხურა მიედინება ქსანისაგან, როგორც ეს უკანასკნელი არაგვისგან, მთავარი ქედის დასავლეთით, ქსნის პარალელურად, მტკვრის მარცხენა ნაპირისაკენ. პატარა სიგრძის გარდა, ყველაფერში ჰგავს ქსანს.

ლიახვი ორი მოზრდილი მდინარისაგან შედგება — აღმოსავლეთის პატარა (პატარა ლიახვი) და დასავლეთის დიდი (დიდი ლიახვი) მდინარეებისაგან. ორივენი სათავეს ფიქალიან მთებში იღებენ, თერგის შენაკად არედონისა და მტკვრის შენაკად ქსნის სათავეებთან ახლოს და, მიედინებიან რა პარალელურად სამხრეთისაკენ, მტკვართან მარცხენა მხრიდან შერთვის ადგილთან ახლოს ერთდებიან. მათი მიდამოები და თვით მდინარეებიც ყველაფერში ჰგვანან ამის წინ აღწერილ მდინარეებს. ასევე მათზეც და მათ შენაკადებზეც ზევით ოსური, ქვევით — ქართული მხარეები მდებარეობს. პატარა ლიახვის შენაკადებია ზევიდან ქვევით: შამბიანი და პოტნისი; დიდი ლიახვისა: ბირტოაული, კელიელი, ჯომახი და ფანა. მას შემდეგ, რაც ერთდებიან, ლიახვი მარცხნიდან იღებს მეჯუდას.

პატარა მდინარე **ფრონი**, ანუ ფრონა, იწყება მხოლოდ კირიან მთებში და მიედინება ლიახვის პარალელურად და მის დასავლეთით, მტკვრის მარცხენა მხარეზე. ამჟამად მასზე 6 დანგრეული და 4 დასახლებული ქართული დგას, ნაწილობრივ კედლებით გამაგრებული სოფლები.

პატარა მდინარე **სურამულა** იწყება კირიან მთებში და მტკვრის



მარცხენა ნაპირის პარალელურად მიედინება სამხრეთის მიმართულებით და ჩადის მტკვარში. მასზე და მის გარშემო არის ქართული მხარე **სანერეთლო**.

ქართლის სამეფო

ზემო და შუა ქართლს, კახეთსა და სომხეთს ამჟამად ერეკლე მეფის სახით ჰყავთ საერთო დამოუკიდებელი მბრძანებელი ან სუვერენი. მის ოჯახზე უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ. ახლა მოკლედ ვილაპარაკებთ სიდიდითა და მიწის ხარისხით არც თუ ისე უმნიშვნელო, მოსახლეობის, კულტურისა და მართვა-გამგეობის მხრივ ამჟამად უკიდურესად სუსტი სახელმწიფოს ნყობილებაზე.

ამ სახელმწიფოს არ ძალუძს თავი დაიცვას ნაწილობრივ უმნიშვნელო მეზობლების გამანადგურებელი თავდასხმებისაგან. ეს სახელმწიფო ვერ ახერხებს, განავითაროს, როგორც საქიროა, თავისი სამთამადნო საქმე, ვერ უწყობს ხელს სკოლების, კულტურის, ხელოვნების ანდა მრეწველობის საერთო განვითარებას; უცხო და, განსაკუთრებით, რუსეთის მფარველობა გახდა აუცილებელი მისი არსებობის შენარჩუნებისათვის.

ამასთანავე, ქართლის მეფეს, როგორც საქართველოს სხვა მბრძანებლებს, მცირედ შეზღუდული ანდა სრულიად შეუზღუდველი ბატონობა აქვთ კანონებზე, თავისი ხელქვეითების სიცოცხლეზე, სიკვდილსა და ქონებაზე, მაგრამ, უპირველესად, მას სჭირდება თავისი ძლიერი თავადების მეგობრობა, ურომლიოსოდაც მისი ტახტი ადვილად შეირყვება, განსაკუთრებით, თუ ესენი (თავადები) პორტის (თურქეთის) მხარეს დაიჭერენ. მაგრამ, არა მარტო თავისი თავადები, არამედ მისი რიგითი ქვეშევრდომებიც კი თავიანთ მოქმედებაში არ გამოხატავენ იმ შიშს, რომელიც გამონვეული უნდა ყოფილიყო მეფის ძალა-უფლებით. მაგრამ მეფე ბოროტად არ იყენებს თავის ძალაუფლებას, თუ გამოვრიცხავთ მძიმე გადასახადებს და უამრავ ლაშქრობას, რომლებიც ხშირად გარდაუვალია.

მეფის ტიტული არის „მეფე ქართლისა, კახეთისა“, ე.ი. მეფე, ანუ ხელმწიფე ქართლისა და კახეთისა; ტიტული მეფის მეუღლისა არის „დედოფალი“, ხოლო პრინციებისა, ანუ მეფის ვაჟებისა, — „ცარევიჩი“.

ტიტულ „მეფე“-ს, ქართლის მბრძანებლის გარდა, ისე როგორც სხვა მბრძანებლებს, აგრეთვე, „ხელმწიფე“ ეწოდებათ, რაც რუსულ „გოსუდარს“, „მბრძანებელ ბატონს“ ნიშნავს.

ქვეყნის ბაბატონებელი ფენები არიან

თავადები, ქართულად „შილი“, „შილილი“, აგრეთვე, „შვილი“ და „ტაუატი“ (თავადი) და „აზნაური“.

თავადები კანონითა და სამხედრო ლაშქრობის წესით თუმცა ემორჩილებიან მეფეს, მის წინაშე აწარმოებენ სასამართლო პროცესებს და ა.შ., მაგრამ გადასახადს მას არ უხდებიან. ზოგიერთები ატარებენ „ერისთავის“ ტიტულს, რაც ნიშნავს ხალხის მთავარს ან დამოუკიდებელს. ისინი გარკვეულ მხარეებს მემკვიდრეობით ფლობენ (მაგ.: „ქსნის ერისთავი“, „არაგვის ერისთავი“).

აზნაურები არა მარტო მეფეს, არამედ თავადთა სამფლობელოებში თავადებსაც ემორჩილებიან და დიდს არაფერს წარმოადგენენ, თუმცა ზოგიერთ მათგანს, თავისი სიმდიდრის გამო, დიდი წონა აქვს.

კახეთის თავადები არიან: 1. ჩოლოყაშვილის გვარეულობა, მარტყოფში; 2. ჩერქეზიშვილი, ვეჯინში; 3. ანდრონიკაშვილი; 4. თუშიშვილი, ახმეტაში; 5. ტამიტიშვილი; 6. ნადარიშვილი, საბუეთში; 7. მაყაშვილი, რუისპირში; 8. ჩოკაშვილი, აგრეთვე, ახმეტაში; 9. ყორჩიბაშვილი, თელავში; 10. ჩოლაყიანიშვილი, მატანში.

ქართლის თავადთა გვარები: 11. არაგვის ერისთავი(ანი), არაგვზე; 12. ქსნის ერისთავი(ანი), ქსანზე; 13. მუხრან ბატონი, უფრო სწორად, ბაგრატიონი, რომლიდანაც ქართლისა და იმერეთის მეფეების გვარები წარმოდგება; 14. ამილახვარი, ჭალაში; 15. ავალიშვილი, ბრეთში; 16. ხიდირბეგიშვილი; 17. მაჩაბელი, დიდ ლიხვზე; 18. ფალავანდიშვილი; 19. თავთაქიშვილი, ქრცხინვალში; 20. ციციშვილი ანდა ციციანიშვილი; 21. თარხნიშვილი; 22. ჯავახიშვილი; 23. ყაფლანიშვილი, სომხეთში; 24. ბარათაშვილი ან ბარათიანიშვილი, სომხეთში; 25. სოლალაშვილი, სომხეთში; 26. ამირეჯიბი; 27. აბაშიძე; 28. დავითაშვილი; 29. ორბელიშვილი; 30. გურა-

მიშვილი, საგურამოში; 31. ხიმშიაშვილი, ბულაჩაურში.

თავადებს №11-დან №19-ის ჩათვლით თავიანთი სამფლობელოები და სოფლები აქვთ მტკვრის მარცხენივ ან ჩრდილოეთით, ხოლო თავადებს №20-21-დან მტკვრის მარჯვნივ ან სამხრეთით.

მთელი ხალხი, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, წარმოადგენს ყმა გლეხობას. ქალაქის ნოღება სრულებით არ არის. ხალხს, ჩვეულებრივ, ქონება არ აქვს, მან უნდა მისცეს და აკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ ბატონები. შეიძლება გლეხის დაგირავება, გაყიდვა, გაჩუქება; მას შეიძლება მოექცე სურვილის მიხედვით, მაგრამ ეს მოპყრობა არ არის სასტიკი.

2. პროვინცია ქვემო ქართლი

ის მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეზე, ზემო ქართლის ქვემოთ, არაგვის შესართავიდან (მტკვრის მარცხენა შენაკადია) ალმოსავლეთით ქვევით და სამხრეთით — მტკვრის მარჯვენა შენაკად ნახატირამდე; სამხრეთ-აღმოსავლეთით მას აკრავს თურქული ოლქი, დასავლეთით — ქართული პროვინცია სომხეთი და ჩრდილოეთით — მტკვარი, მასზე მომდგარი შიდა ქართლით.

მას ხშირად განუცდია თურქთა და სპარსთა გამანადგურებელი თავდასხმები და ამიტომ ის ახლაც საცხოვრებელთა ნანგრევებით სავსე უდაბნოს (ნაოხარს) უფრო ჰგავს, ვიდრე დასახლებულ მხარეს.

ამასთან, აქ არის თბილისი, დედაქალაქი არა მარტო ქართლის სამეფოსი, არამედ მთელი საქართველოსიც.

თრიალეთიც მხარე მდებარეობს ზედა ქციაზე და ჩრდილოეთით აქვს მხარე სათარხნო. ის მთლიანად სამხრეთ მთისწინეთშია, აქვს კარგი მდებარეობა, მაგრამ ძალზე გაპარტახებულია. ჩანან ნანგრევები ნალკის, ვედზანის, ფარვანიდშანისა და სხვა ბევრი ქართული ციხეებისა. მისი მცირეოდენი დასახლებული პუნქტების მოსახლეობა ქართველებია.

საჯავახო მდებარეობს მტკვარსა და ალგეთის მარცხენა ნაპირს შორის და მთლიანად ჰგავს თრიალეთს.



საბარათო მტკვრის მარჯვენა მხარეზეა, ნახატირის პირდაპირ და ალგეთის იქით. ამ მხარეშია: თბილისის რეზიდენცია, კუმისი, ბირთვისი, ლოუბანი, ვაშლოვანი. ყველა ესენი ციხეებია; ასურეთი, ენაგეთი, მონასტერი, კოყორი წინათ მეფის რეზიდენციას წარმოადგენდა.

ამ მხარეში არის ორი პატარა ტბა — **სამბასი და ქალა.**

3. პროვინცია სომხეთი

ის მდებარეობს არარატის მთისწინეთში, სახელი წარმომდგარია სომეხიდან, თავისი ძველი მცხოვრებლებიდან; იქ მცირე რაოდენობით ცხოვრობენ ქართველები. ნამდვილი და ისტორიული გარემოების მიხედვით წინათ ის იყო სომხეთის ნაწილი, მაგრამ რამდენიმე საუკუნეა, რაც

ის ქართველი მეფის სამკვიდროა და ახლაც ემორჩილება ქართლის მეფეს, თუმცა ორბელიანთა ქართულ თავადურ გვარს მეფეზე არც თუ ბევრად მცირე საკუთრების უფლება აქვს მასზე.

მას უჭირავს არარატის მთისწინეთის ჩრდილო ნაწილი, მტკვრის შენაკადებს ქცისა, ანუ ნახატირსა და ახსტაფას შორის.

აღმოსავლეთით მას ემეზობლება თურქმანულ-თათრული მხარე განჯა.

სამხრეთ-დასავლეთით მას ესაზღვრება თურქმანულ-თურქული მხარეები ყარსი და ერივანი.

დასავლეთით ესაზღვრება ზემო და ქვემო ქართლს, ხოლო ჩრდილოეთით — ქვემო ქართლსა და მტკვარს, რომელიც მას კახეთისგან ჰყოფს.

ეს პროვინციაც ძალიან გაჩანაგებულია, უმთავრესად ეს არის დასავლეთი ან ზემო ნაწილი; მაინც ის არის ისევე კარგად დასახლებული, როგორც ყველაზე უკეთესი ქართული პროვინცია.

მისი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ თარაქამა, ანუ თურქმანი თათრები, რომლებიც ლაპარაკობენ თათრული ენის თურქულ დიალექტზე და არიან მაჰმადიანები. მათ ქვეყანას არ აკლია არც კარგი ნიადაგი და არც ტყე; მაგრამ თათრები უმეტესად მისდევენ მესაქონლეობას და მეტი წილი თავის სოფლებში მხოლოდ ზამთრობით ცხოვრობს, ზაფხულობით კი ჩვეულებრივ დგანან იურტებში ან მიწურებში, რომელთაც, საერთოდ, წელიწადში ორჯერ იცვლიან. ამასთან, მათ აქვთ ხეხილის ბაღები, აგრეთვე, ხორბლის, უმთავრესად, ბრინჯის პატარა ყანები.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქართლის მეფის ნამდვილი ქვეშევრდომები არიან, უხდებიან მას გადასახადს, გამოჰყავთ ომში მეომრები, მაინც მათი რელიგია, ენა, მდებარეობა ქვეყნისა და მსუბუქი, ნახევრად მომთაბარული კანონმდებლობა ხდის მათ ძალიან მერყევე ქვეშევრდომება; სამაგიეროდ თურქეთის პარტიის მომხრეებს შეუძლიათ ისინი იოლად გადაიბირონ.

თურქმან (თარაქამა) თათართა შორის, აგრეთვე, ბევრია სომხური სოფლები. მათ შენარჩუნებული აქვთ თავიანთი რელიგია და ენა, მაგრამ ისე ცხოვრობენ, როგორც თათრები.

მხარე ყაზახი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა, ინჯიდან ქვევით ბორჩალოს მხარემდე და ნაწილობრივ განჯამდე; სამხრეთით აკრავს მხარე ბამბაკი. ამ მხარეში არის სპილენძის, რკინის და ტყვიის მადნები. აქ ითვლიან 6000 ოჯახს, რომელთაგან 2/3 თათრებია, 1/3 — სომხები; ეს შეფარდება მთელი სომხეთისთვისაცაა. ამ მხარის სოფლებია: 1. ვექილ ამადაგა, ყველაზე ზემოთა მტკვარზე, სადაც მხარის მმართველს, ანუ უხუცესს თავისი საჯდომი აქვს; 2. ჩაილი ქესამანი, ყველაზე ზემო სოფელი მტკვარზე, მდინარე ინჯაზე; 3. შახილი; 4. საჰაფალი; 5. ყაზახლი; 6. ფეიქანლი; 7. ფირილი და 8. ხალფალი. ახსტაფასა და მის შენაკადებზე, სახელდობრ: 9. ხილხინა; 10. ყარაჰასანლო; 11. დალქესამანი; 12. ყარაყონღუ; 13. დილბოსლო; 14. დმოსარლუ; 15. უზუნთალა სომხური; 16. სალდახი; 17. შალაღბაგი (ჩალ-დაგი); 18. ალჩაჩუ; 19. სეიკარა ყველაზე ზევითა ახსტაფაზე; 20. კაზანიშ; 21. აქსიბარა, ორივე სომხური... 24. კუნენი; 25. კილკახი; 26. გავაზანო (გიუზანი — გ.გ.); 27. ურკმაზლი; 28. დემურჩილარი სომხური და 29. დაშალოლი.

მხარე ყაზახი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა, ინჯიდან ქვევით ბორჩალოს მხარემდე და ნაწილობრივ განჯამდე; სამხრეთით აკრავს მხარე ბამბაკი. ამ მხარეში არის სპილენძის, რკინის და ტყვიის მადნები. აქ ითვლიან 6000 ოჯახს, რომელთაგან 2/3 თათრებია, 1/3 — სომხები; ეს შეფარდება მთელი სომხეთისთვისაცაა. ამ მხარის სოფლებია: 1. ვექილ ამადაგა, ყველაზე ზემოთა მტკვარზე, სადაც მხარის მმართველს, ანუ უხუცესს თავისი საჯდომი აქვს; 2. ჩაილი ქესამანი, ყველაზე ზემო სოფელი მტკვარზე, მდინარე ინჯაზე; 3. შახილი; 4. საჰაფალი; 5. ყაზახლი; 6. ფეიქანლი; 7. ფირილი და 8. ხალფალი. ახსტაფასა და მის შენაკადებზე, სახელდობრ: 9. ხილხინა; 10. ყარაჰასანლო; 11. დალქესამანი; 12. ყარაყონღუ; 13. დილბოსლო; 14. დმოსარლუ; 15. უზუნთალა სომხური; 16. სალდახი; 17. შალაღბაგი (ჩალ-დაგი); 18. ალჩაჩუ; 19. სეიკარა ყველაზე ზევითა ახსტაფაზე; 20. კაზანიშ; 21. აქსიბარა, ორივე სომხური... 24. კუნენი; 25. კილკახი; 26. გავაზანო (გიუზანი — გ.გ.); 27. ურკმაზლი; 28. დემურჩილარი სომხური და 29. დაშალოლი.

ბორჩალოს მხარე

მას უკავია ქციის მარჯვენა შენაკადის — დებედას ქვედა მიდამოები და აღწევს ქციას და მის შესართავს მტკვარს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და მასზე კი მტკვრის შე-

ნაკად ინჯამდე ქვევით. ამრიგად, ჩრდილოეთიდან მას აქვს ქცია და მტკვარი, აღმოსავლეთით ყაზახის მხარე, სამხრეთით — ბამბაკის მხარე, ხოლო დასავლეთით — ტაშირის მხარე.

მისი გარეგნული ვითარება საყოველთაოა, ხოლო შინა ვითარება ყაზახისას ჰგავს. ესეც უაღრესად გაჩანაგებულია და დასახლებულია მაჰმადიანი თათრებითა და სომხებითაც. მათი სოფლები და სადგომი ადგილებია: 1. ბოსანე; 2. ახშასლე; 3. ყარაჰასან; 4. ტაკელე (თაქიალო); 5. ახმენმეტე (ახმამადლო); 6. ქაჩაგანი; 7. ულაშტე (ულაშლო); 8. არავლე, ან არაპლი (არაფლო) შაჰ ნადირმა შეადგინა 50 თათრული ოჯახით; 9. სარალი; 10. მამაი კირიხლი. ნადირშაჰის მიერ ისპაჰანიდან გადმოყვანილი 10 ოჯახით იქნა შედგენილი; 11. ლალალო; 12. ალჯაყალა, ე. წ. ციხე. ყველა ესენი თათრებითაა დასახლებული.

სომხური სოფლებია: 13. შნაგი (აშაგა); 14. ტისგანგი (თაზაქენდი), რომლის მცხოვრებნი ლორიდან არიან გადმოყვანილნი; 15. სადახლე, ანდა, ჩვეულებრივ, სანგანა, სადახლე 1771 წ. შეიქმნა ალჯაყალას მცხოვრებთაგან და შეიცავს 40 თათრულ და 20 სომხურ სახლს; 16. ტერკუნ დებედაზე, 1767 წ. შედგა ალჯაყალიდან გადმოყვანილი 30 თათრული ოჯახიდან. 17. ქუმალი დებედაზეა, შედგა ყარაქლისიდან; 1772 წ. მას ჰქონდა 15 სახლი; 18. კაიყოჯალო შეიქმნა 1768 წ. დებედაზე და შეიცავს 20 თათრულ ოჯახს ერივანიდან და კახეთიდან გადმოყვანილს; 19. საკალ (სარალი) დებედაზე, აშენდა სპარსეთის შაჰის ნადირის ბატონობისას და 1772 წ. შეიცავდა 20 თათრულ ოჯახს.

თათრულ სოფლებში ზოგჯერ არიან სომხებიც და პირიქით.

ამ მხარის მოსახლეობა 2000 ოჯახს ითვლის.

რაც ითქვა ყაზახის შესახებ, იგივე ითქმის აქაც, რადგან ისინი მეფის ქვეშევრდომობაში არიან, მაგრამ გარემოებათა გამო ხან ყარსის თურქების, ხან ერევნის ხანის მხარეზე დგებიან.

მოამზადა
დარეჯან ანდრიასიძე

დასასრული შემდეგ ნომერში

ქორონიკონის კენტი და ლუნი, ანუ 329 და 357 წლების უკველასი ქართული ნარჩენები

ფირუზისა და ზურმუხტისფერ ნმინდად გათლილ და ფაქიზად მორგებულ ტუფის კვადრებში ჩამჯდარი ტაძარი: ნატიფი პერანგი, სამნავიანი ბაზილიკისათვის უჩვეულოდ, ერთიანი, დაუნაწევრებელი სახურავი, შვერილი აფსიდი, ტაძარში ჩართული სამკვეთლოს შვერილი კედელი, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მოშლილ-მორღვეული დერეფნები, სასანური ირანისა და ქართლის ნაზავი ხელწერით ნაკვეთი მხატვრული რელიეფები...
...ქართული ასომთავრული გრაფემები.



ვინ იცის, მერამდენედ უმზერს ბოლნისის „სიონს“ თვალი, უმზერს და მისტიკური სამყაროს სიმშვიდეში იძირება.

1937 წელს რომ დაადგინეს ტაძარიც და წარწერებიც V საუკუნის მიწურულისააო (493 წ.), მას შემდეგ კარგა ხანს არავინ დაეჭვებულა სერიოზულად და არც გადამოწმება უცდია. არადა, „მოქცევაი ქართლისაი“ ამბობს, რომ მირიანის შემდეგ მეფობდა ნილკნის ეკლესიის ამგები ბაკური, შემდეგ მირდატი და შემდეგ ვარაზ-ბაკური, რომლის დროსაც თბილისში შემოსულა სპარსთა მეფის პიტიახში ხუარბორზადი და ქართლთან ერთად, დაუხარკავს სომხითი, სივნიეთი და გუარუსპავანი. ვარაზ-ბაკურის შემცვლელი ყოფილა „ბაკურ ძეი თრდატისი. და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან ალაშენა ეკლესიაი ბოლნისს. და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის“. ამის შემდეგ უკვე ლეონტი მროველი ყვება საინტერესო ამბებს: „და დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაკურისა, ძმისწულის წული ფეროზისა სახელით ფარსემან, რამეთუ იგი უზუცესი იყო ძმათა მისთა. და მოკუდა ელია ეპისკოპოსი და დასვეს სვიმონი. ესე ფარსემან იყო კაცი მორწმუნე, მხედარი შემმართებელი. ეზრახა

მეფესა ბერძენთასა და ითხოვა მისგან შენევა. და აღასრულა თხოვა მისი კეისარმან. მაშინ განდგა და არღარა მისცა სპარსთა ხარკი და განამრავლნა ჯუარნი და ბანაახლნა ეკლესიაი ყოველსა ქართლსა შინა და ალაშენა ეკლესია ბოლნისისა და მცირედ ჟამ მეფობდა და მოკუდა“.

ყველაფერი ეს ხდება IV საუკუნეში.

როგორც ვხედავთ, ბოლნისის ტაძარი აგებულია ელია მთავარეპისკოპოსის დროს, რომელიც, სავარაუდოა, რომ არა მარტო ვარაზ-ბაკურის მეფობაში განაგებდა ქართლის ეკლესიას, არამედ მანამდეც. მაგრამ ამ დროს შემოსულან სპარსელები და ხარკი დაუდევთ ქვეყნისთვის. ამის გამო, ბუნებრივია, ზოგიერთი ეკლესიის მშენებლობა, უსახსრობისა და შიშიანობის გამო, შეჩერდებოდა, ზოგიერთი ეკლესია კი, შეიძლება, ნაწილობრივ დაინგრა კიდევ. ამ დროს რომ მიიმე მდგომარეობა შექმნილა ქართლში, რასაც შეშინებული ვარაზ-ბაკურის არმაზის ციხეში გამაგრებაც ადასტურებს.

მის ნაცვლად ქართლის ტახტზე მცირე ხნით ასულა მოხუცი ფარსმანი, რომელიც მანამდე შეიძლება პიტიახშიც კი იყო. იგი დანგრეულ ეკლესიებს აღადგენს და დაწყებულ

მშენებლობებს ასრულებს. სიტყვა „ალშენება“ ძველ წყაროებში არა მარტო ახლის აშენებას, არამედ ძველის აღდგენასაც გულისხმობს. მთავარია, რომ ეს ამბებიც IV საუკუნის მეორე ნახევარში ხდება და არა — V საუკუნის ბოლოს!

1937 წელს, როცა ბოლნისის სიონი არქეოლოგ ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით ნაყარი მინისაგან გაათავისუფლეს და მისი ფასადები გამოაჩინეს, მკვლევარებმა იმ დროისათვის ყველაზე ძველ ლაპიდარულ წარწერებსაც მიაკვლიეს, მიაკვლიეს და თითქმის ყველა მათგანი 493 წლით დაათარილეს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 3 რელიეფური წარწერა.

უმთავრესი წარწერა მოთავსებულია ჩრდილოეთ ფასადის აღმოსავლეთ მხარეს არსებული კარის ბალკონზე, რომელიც მაშინ გულდაღმა ეგდო მინაზე. იგი ასე ნაიკითხეს:

„[შენევითა ნმიდ]ისა სამებისათა, ო[ც წ]ლისა პერო[ზ მ]ეფი[საზე] [ვინყე შენებაი] ამის ეკლესიისათა და ათხუთმეტ წლის[ა შემდგომად განვასრულე. ვი]ნ აქა შინა თავიყანი სხცეს, ღ[მერთმა]ნ შეიწყალენ. და ვინ ა[მის] მაშენებელსა დავით ე[პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ[მერთმა]ნ შეიწყალენ. [იყავნ. იყავნ]“.

2. კიდევ ერთი, სამშენებლო წარ-



წერის შემორჩენილი ქვედა ერთი სტრიქონი ჩრდილოეთ ფასადის დასავლეთ კარის ბალავრზე: „[შენე]ნითა ქრისტიანთა მ[ე], ფარნ[ავაზ] და აზარუხტ შეხუა(ბ)თ ესე კარი სალოცველად ჩუენ[და და] [შვილთა ჩუენთა]“.

3. რელიეფური წარწერა ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, აფსიდის სარკმლის თავზე, ბოლნური ჯვრის გარშემო: „ქრისტი, დავით ეპისკოპოსი კრებულთურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავიყანისცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხენიე. ი.ი.“ ბოლო ორი ასო კორნელი კეკელიძემ რატომღაც წაიკითხა, როგორც „იყავნი იყავნი“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ტექსტში მუქი შრიფტით ის სიტყვები და ასოებია მოყვანილი, რომლებიც რეალურად დაინახეს პირველნამკითხველებმა, დანარჩენი სიტყვები და ასოები კი მხოლოდ სავარაუდოა, რადგან ეს ადგილები, თითქმის, ბოლომდე დამდნარია.

ბოლნისის წარწერების დათარიღების ამოსავალი წერტილი მათი პირველნამკითხველებისათვის შეიქნა პირველი წარწერა და მეცნიერული პოლემიკის მიზეზიც სწორედ ეს გახდა მოგვიანებით. საკამათოა პირველი სტრიქონის ეს მონაკვეთი: „ოც წლისა პეროზ მეფისაზე ვინე შენებაი“. ამ მონაკვეთში სიტყვა „ოც“ ნათლად არ იკითხება, რადგან ასომთავრული „ო“ კი ჩანს, მაგრამ მისი მომდევნო ასო — თვალნათლივ არს. პირველნამკითხველმა ეს ასო „ც“-დ მიიჩნიეს და მიიღეს „ოც“. ამის მიზეზი, შესაძლოა, ერთგვარი ცთუნებაც იყო: სახელმა პეროზმა, ალბათ, მათ სპარსეთის V საუკუნის მეფე და შესაბამისად ქართული აგიოგრაფიული ძეგლების დასაწყისიც გაახსენათ: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა, კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში“ („შუშანიკის ნამება“); „წელსა მეთესა ხვასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზპანობასა ქართლ-



ეპისკოპოს დავითის წარწერა


სა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით“ („ევსტატე მცხეთელის ნამება“).

V საუკუნეში მოღვაწე პეროზის მეფობის მე-20 წელი 478 წელია, ხოლო კიდევ 15 წელს, რომელიც ტაძრის მშენებლობას დასჭირდა, 493 წელთან მივყავართ. გარდა ამისა, ამავე წარწერაში, მესამე წარწერიდან გადმოიტანეს ეპისკოპოსის სახელი დავითი, მერე კი ეს დავითი სამართლიანად გააიგივეს 506 წლის დვინის საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოს დავითთან. ამით არათუ პირველი წარწერის თარიღი გახდა დამაჯერებელი, არამედ სხვა წარწერებშიც ამავე ჩარჩოებში მოექცა...

მაგრამ პარალელურად მოხდა სხვა რამეც — მეტი გასაქანი მიეცა ნატყუარ სომხურ ცნობას მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის V საუკუნეში შექმნის თაობაზე. და კიდევ — გაბათილდა „მოქცევაი ქართლისაის“ და ლეონტი მროველის თხზულების ცნობები ბოლნისის სიონის IV საუკუნეში აგების შესახებ. თითქოს, ვილაცის უხილავმა ხელმა ქართული ასომთავრული წარწერა სამუდამოდ დაუკავშირა V საუკუნეს და ასე გრძელდება ეს დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილმა დამწერლობათმცოდნემ, ანბანის მესაიდუმლე რამაზ პატარიძემ ჯერ კიდევ 25 წლის წინათ გამოაცალა ამ სამეცნიერო „ჭეშმარიტებას“ ნიადაგი და

ბოლნისის ტაძარი, თავისი წარწერებით, IV საუკუნეში დააბრუნა. მან, ბააღურ მჭედლიშვილთან ერთად, სხვაგვარად წაიკითხა ბოლნისის ლაპიდარული, რელიეფური ტექსტები.

1980-1984 წლებში ორივე მეცნიერი სისტემატურად აკვირდებოდა ბოლნისის სიონის წარწერებს, მეტადრე კი პეროზისას და გაარკვიეს, რომ „ოც“-ს ნაცვლად იკითხება „ოო“, რაც „უფალთ უფალს“ ნიშნავს. რამაზ პატარიძემ ასევე ამოიკითხა სიტყვა „ჟამეული“ და საბოლოოდ ტექსტი ახლებური შინაარსითა და მუსიკალობით გადმოგვცა: „შენეწითა წმიდისა სამებისათა. უფალთ-უფლისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა ხინყო წმიდისა ამის ეკლესიასაი... და ათხუტმეტ წლისა ჟამეულსა აღხუენა. ჯუარსა ქრისტისა ვინა აქა შინა თავყანისცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამისა ეკლესიასა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ. ამინ!“ რაც შეეხება „ნახპეტობას“, ეს იმდროინდელი ტიტულია და, სხვათა შორის, ბოლნისის სიონის ინტერიერის ერთ წარწერაშიც გვხვდება (ნახპეტი იგივე პიტიახში და ერისთავია). ტექსტის ამგვარი წაკითხვით ირკვევა, რომ წარწერაში ნახსენებია არა V საუკუნის სპარსეთის მეფე პეროზი, არამედ IV საუკუნის ქვემო ქართლის ცნობილი პიტიახში, ანუ ქართლის მეფეების ნახპეტი, უფალთ-უფალი პეროზი, რომელიც ამავე დროს მირიან და ბაქარ მეფეების სიძეც იყო. ეს ის პეროზია, რომელიც ხაზარებთან ომის დროს სპარსეთიდან მოიყვანა მირიანმა და „მან მოიტანა თანა სპა დიდი. და ამას პეროზს მისცა მირიან



ასული თვისი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკვარსა ორივე კერძი და დაადგინა იგი ერისთავად მუნ“ (ლეონტი მროველი). მაგრამ გამობდა ხანი და ბაქარ (ბაკურ) მეფემ, სომხეთთან დაპირისპირების გამო, „გაუცვალა ქუეყანა ფეროზს, დის-ქმარსა თვისსა, რომელსა აქუნდა რანი მირიანისაგან და მისცა სამშვილდე თავადმდე აბოცისა და ნათელ-სცა და ქრისტიანე ჰყო ერთთურთ და ბრძოდა სომეხთა“ (ვახუშტი).

წარწერაში რომ V საუკუნის სპარსეთის მეფე პეროზი და ეპისკოპოსი დავითი ერთად იყვნენ დასახელებულნი, აშკარა მკრეხელობაც იქნებოდა და ამ პერიოდში მოღვაწე ვახტანგ გორგასლის შეურაცხყოფაც, რომელიც სულაც არ ყოფილა სპარსეთის ვასალი. გორგასალი ხომ ქართული ეკლესიის მოამაგე და რეფორმატორიც იყო! წარწერაში დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ქართული დელეგაციის წევრის — დავითის დასახელება და არსსენება ამავე დავითის ეპისკოპოსად ხელდამსხმელი მეფისა ოდენ გაუგებრობა არ იქნებოდა. და კიდევ ორი წინააღმდეგობა: პირველი — მთავარი წარწერა თუ 493 წლისაა, რატომ იწყება მასში წლების ათვლა მაინცა და მაინც 484 წელს დაღუპული პეროზ მეფიდან? მეორე — თუ ეს პეროზი მაინცა და მაინც სპარსეთის მეფეა, რომელ ლოგიკაში ჯდება მისი ქრისტიანობა ქართული მართლმადიდებლური ტაძრისათვის? სხვა ქრისტიანთა კვალს ხომ არსად ჩანს, ხოლო მესამე წარწერაში ნახსენები დავით ეპისკოპოსის ქრისტიანობაზე მინიშნებაც კი არსადაა. მისი პირველ წარწერაში ხელოვნურად გადმოტანა, მშენებლის ფუნქციით, ძალზე არადაამაჯერებელია. სულ სხვა სურათი იხატება, როცა წარწერაში საქმე გვაქვს ბაქარის დროინდელი ქვემო ქართლის — სამშვილდის სპარსელ უფალთ-უფალთან ანუ ერისთავთ-ერისთავთან. ჯერ ერთი, იგი ვარსკენივით განარმარებული ქრისტიანი კი არ არის, არამედ პირიქით — გაქრისტიანებული წარმართია. გარდა ამისა იგი ბაქარისა და მამამისის — მირიანის მიერ მოწვეული სპარსი დიდგვაროვანია და ქართლის მეფეების თითქმის ტოლსწორი პიროვნებაა, მაგრამ მხოლოდ „თითქმის“. ასე იყო ეს რეალურად და ამიტომ ნაიკითხეს რ. პატარიძემ

და ბ. მჭედლიშვილმა წარწერის ეს ადგილი ასე: „მეფეთა თვისისა ნახტობასა“ იწყო ეკლესიის შენებაო. დიახ, ეკლესიის მშენებელ-ქტიტორი ქვემო ქართლის ნახტობი (პიტიახში) უფალთ-უფალი პეროზია. აქ ერთი საინტერესო საბუთიც უნდა მოვიშველიოთ. ისტორიისათვის კარგად ნაცნობმა ერისთავთ-ერისთავმა პეროზმა, როგორც ირკვევა, მცირე ქალაქი ბოლნისიც ააშენა. იგი დიდი ტაძრიდან ჩრდილო-დასავლეთით 800 მეტრში ყოფილა. ამ ადგილს „ლამაზ გორა“ ჰქვია. აქ, სხვა ნაგებობებთან ერთად, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მე-8 საუკუნეში გადაკეთებული გაცილებით ძველი ეკლესიის ნაშთები. მის ერთ-ერთ ნიშში ჩატანებული ყოფილა ორთავე მხრიდან გამოქანდაკებული ფილა, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ერთ მხარეს გამოკვეთილია ზუსტად ისეთივე „ძღვევის ჯვარი“ (ანუ, როგორც მერე ეწოდა, „ბოლნური ჯვარი“), როგორც ბოლნისის სიონის კედლებს ამშვენებს. ფილის მეორე მხარეს გამოსახულია დიდი საერო პიროვნება, რომელსაც სასანური ირანისათვის დამახასიათებელი დიდებულის ვარცხნილობა აქვს და ხელთ ინსიგნიები — სატევარი და ქარქაში უპყრია. ხელოვნებათმცოდნე ჯუანშერ ამირანაშვილი, მხატვრული ანალიზის საფუძველზე, ასეთ დასკვნამდე მივიდა: სასანურ სახვით ხელოვნებაში მაღალი დონის იერარქიული პიროვნების მარჯვენა პროფილით წარმოსახვა მისი აბსოლუტური დამოუკიდებლობის ნიშანია, მარცხენა პროფილით წარმოსახვა-ვასალობის ნიშანია, ხოლო ანფასით წარმოჩენა — სანახევრო დამოუკიდებლობისა. „ლამაზ გორის“ პორტრეტი ანფას-

შია. ჯუანშერ ამირანაშვილმა ივარაუდა, რომ ეს პიროვნება ვარსკენ პიტიახში შეიძლება ყოფილიყო, რამაზ პატარიძის აზრით კი, ის უფრო უფალთ-უფალ პეროზს მიესადაგება. ჩვენ ერთ გარემოებას დავაკვირდეთ: „ძღვევის ჯვარი“ (ბოლნური ჯვარი), როგორც ქრისტიანული სიმბოლიკა, 312 წელს დამკვიდრდა ბიზანტიაში. სწორედ ამ დროს, აჯანყებულებთან ბრძოლის წინ ეჩვენა იგი დროშაზე იმპერატორ კონსტანტინეს. ქრისტიანობის მოლაპატრე ვარსკენის არ მიესადაგება. „ლამაზ გორის“ ეს პატარა სტელის ფრაგმენტი ნიშში ჩაშენებული იყო პორტრეტის მხრიდან და ჯვრიანი ზედაპირი უჩანდა, ამან კი ჯ. ამირანაშვილს ასეთი დასკვნა გააკეთებინა — ვარსკენს დასკვნის გამო მოექცნენ ასეო. ვფიქრობთ, ეს წარმოსახვის ზედმეტი დრამატიზებაა — ტაძრის სამკაულად ჯვარი სჭირდებოდათ და ამიტომ მოექცნენ ასე! საერთოდ, ნიჭიერი ხელოვნებათმცოდნის ეს დასკვნაც ერთ ცნობილ ჩარჩოში ზის — ძველი ქართული დამწერლობის ნიმუშების მსგავსად, ქრისტიანული რელიეფებიც, გინდა თუ არა, V საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს?!. იგივე ითქმის ახლახან აღმოჩენილი IV საუკუნის კიდევ ერთი სტელის შესახებ, რომლის თაობაზე წერილის ბოლოს ვისაუბრებთ, ახლა კი, როგორც მემატრიანე იტყოდა, პირველსა სიტყვასა მოვიდეთ და ბოლნისის სიონის წარწერებს დავუბრუნდეთ. ძალიან საინტერესოდ შიფრავენ რამაზ პატარიძე და ბაადურ მჭედლიშვილი ჩრდილოეთ ფასადზე, დასავლეთ კარის ბალავრის ერთსტრიქონიან წარწერასაც, უფრო სწორედ ამ წარწერაში ფარნავაზს კი არა, ქვემო ქართლის იმ ერისთავ ფარსმანს კითხულობენ, რომელიც მოგვი-



„ლამაზგორა“. პიტიახში და მისი ჯვარი

ანებით მცირე ხანს მეფობდა კიდეც: „შენენითა ქრისტიანთა მე ფარნ ევმან (ე.ი. ფარსმან ერისთავმან) და აზარუხტ შეხუაბთ ეს კარი სალოცველად სულთა ჩუენთათვის“. ბოლო სიტყვის ასოების რიგითობის რიცხვების გაშიფრით პატარიძემ მიიღო თარიღი 394 წელი, ხოლო „შეხუაბთ კარისა“ მას მიაჩნია როგორც მშენებლობის ან აღდგენის დასრულება. თუ ჩვენ წერილის დასაწყისში ქვემო ქართლის IV საუკუნის მოკლედ მიმოხილულ ისტორიას გავიხსენებთ, ამ შემთხვევაშიც მემატეანეთა ნაწილის პარალელურად ვივლით.

მესამე დიდი და ძველი წარწერა, რომელიც აღმოსავლეთ ფასადზეა, რამაზ პატარიძემ პირველი წარწერიდან დამოუკიდებლად დაათარიღა. იგი ამბობს, რომ ტექსტის ბოლოში არსებული „ნი“ (რომელიც წარწერათა პირველმკვლევარებმა რატომღაც ჩრდილოეთის ფასადის დიდ და ძველ ტექსტსაც მიაბეს), არ შეიძლება იყოს ბიბლიური ლოცვა „იყავნ, აყავნ!“ რადგან, სხვა არა იყოს რა, ხანმეტი ტექსტით „ხიყავნ, ხიყავნ!“ უნდა ეწეროს. მაგრამ აქ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. რ. პატარიძის მტკიცებით წარწერის ბოლოში საგანგებოდ გამოყოფილი ბოლო ხუთი ასონიშანი „ნიეი“ წარწერის შესრულების თარიღია. იგი ქართული ქრისტიანული და რომაული ქრისტიანული ინდიქტორი წელთაღრიცხვებითაა გაცხადებული. „ნიე“ ანუ „ნილეული 5“ ქართული წელთაღრიცხვის მე-12 მოქცევის 284 წელს ნიშნავს, რაც თანამედროვე, ჩვენი წელთაღრიცხვის 532 წელია. „ნი“ ე.წ. რომაული ინდიქტორი წელთაღრიცხვის თარიღისაა. იგი ასე იკითხება: „ინდიქტი 10“. სხვათა შორის ეს „ნი“ ინდიქტიონის რიცხვებს რომ ნიშნავდა, ამის თაობაზე ადრე სარგის კაკაბაძემ და შალვა ამირანაშვილმაც გამოთქვეს მოსაზრება, მაგრამ ისინი სხვა ანგარიშს გაყვნენ. რამაზ პატარიძემ ინდიქტორი დაანგარიშებით მიიღო რომაული მე-15 თხუთმეტწლეულის, ანუ მე-15 ინდიქტიონის მე-10 წელი, რაც უდრის 220-ს. შემდეგ მან ეს ციფრი დაუმატა ახალი რომაული ათვლის თარიღს — წელთაღრიცხვის 312 წელს და ისევე როგორც ქართული წელთაღრიცხვით დაანგარიშებისას, ახლაც იგივე 532 წელი მიიღო. მაგრამ მთელი საიდუმლო ჯერ წინ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ორი ციფრი: ქართული 284 და რომაული



ბოლნისის სიონი. სამხრეთ-აღმოსავლეთი ხედი

220 საკრალური ციფრებია. რატომ? იმიტომ, რომ ქრისტე იშვა ქართული მე-11 მოქცევის 284 და რომაული მეორე მოქცევის 220 წელს! გარდა ამისა მათემატიკოსების დახმარებით დადგინდა, რომ ეს ორი ციფრი უპირველესი მეგობრული ციფრებია. საქმე ის გახლავთ, რომ 284-ის გამყოფთა ჯამი უდრის 220-ს, ხოლო თავის მხრივ, 220-ის გამყოფთა ჯამი უდრის 284-ს. თავისთავად ხომ 532-იც საინტერესო ციფრებია — ერთი სრული მოქცევაა.

მაშასადამე, როგორც რამაზ პატარიძემ დაადგინა და ამით ქართულ მათიანებს მხარი უსწორა, ბოლნისის სიონი აშენებულია 342-357 წლებში, ქვემო ქართლის ერისთავის პეროზის ნახპეტობის ჟამს. ამის შემდეგ ტაძარი ნაწილობრივ დაწვრიულა, მაგრამ იგი 394 წელს შეუკეთებია და შესაძლოა გაუფართოვებია კიდეც ერისთავ ფარსმანს — მომავალ მეფეს.

532 წელს — ამ ქრისტიანული საკრალური ციფრების ურთიერთკვეთის ჟამს დავით ეპისკოპოსი ლოცავს მთელ თავის სამწყსოს. სავარაუდოა, რომ იგი დიდხანს ელოდა ამ თარიღს და ემზადებოდა. გარდა ამისა ეს მე-3 წარწერა კიდეც ერთ საიდუმლოებას ინახავს. მისი ბოლო ორი სტრიქონის შემდგენელი ასოების ანბანური რიგითობის რიცხვთა ჯამი შეადგენს 357-ს. ეს ის წელია, როცა ტაძრის მშენებლობა დასრულდა პირველი წარწერის თანახმად.

მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება ორი შეკითხვა:

1. რისთვის სჭირდებოდათ ძველ სასულიერო მოღვაწეებს ასეთი ლაბირინთებით სიარული თარიღების გამოყვანაში?

2. როგორ მოახერხა ამ საიდუმლოებათა ამოხსნა ბატონ არმაზ პატარიძემ, რომლის ღვაწლი დღეს რატომღაც მივიწყებული და დაუფასებელია?

პირველ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა იოლი არ არის, თუმცა შევეცდებით რამდენადმე მივუახლოვდეთ მას.

საქმე ის გახლავთ, რომ ოდითგან თარიღები დაკავშირებულია რიცხვებთან, რიცხვები — ანბანთან, ანბანი — უძველეს რელიგიებთან, რელიგიები — პლანეტების მოძრაობასთან, კალენდართან და საერთოდ, ასტროლოგიასთან.

ქართული ასომთავრული დამწერლობა და ანბანი უძველეს ქართველ ქურუმთა შემოქმედებაა და ბუნებრივია ქართული წელთაღრიცხვებიც მათი დადგენილია. ისინი ანბანიდან გამომდინარე გამოანგარიშებებს საიდუმლოდ ინახავდნენ — რაც იცოდა ქურუმმა, არ უნდა ცოდნოდა სხვას. საიდუმლოს შენახვაში ქურუმს ბადალი არ ჰყავდა. ქრისტიანობის შემოსვლიდან წარმართულ ანბანს თან გადმოჰყვა თავისი საიდუმლოებები, მაგრამ გაქრნენ ქურუმები. შემორჩა მათი მცირე ნაწილი, ის ვინც უფლის სამსახურში ჩადგა და ინამა. იმ მოსაზრებით, რომ ადამიანი ბოლომდე ვერასდროს ჩანვდება უფლის გამოცხადება-განკაცების და სამყაროს ჭეშმარიტებას, ძველ საიდუმლოთა მატარებელმა მღვდელმსახურებმა თავიანთი ცოდნა კიდეც უფრო გაასაიდუმლოეს და ბევრ საკითხს ტაბუ დაადეს. ეს ნესი, როგორც ჩანს, რატომღაც დაედო კალენდარსა და ზოგიერთ თარიღთა დაანგარიშებას. მრავალი საკითხი დროთა განმავლობაში სულ



უფრო მეტ ნისლში ეხვეოდა თვით ეკლესიისთვისაც კი, სადაც „ძველნიგნიერებათა“ მცოდნენი იშვიათად იყვნენ, ძველად კი წიგნიერება უწინარესად ასტროლოგიის ცოდნასთან ერთად, ანბანის ფონეტიკურ და რიცხვით საკრალურ ცოდნასაც ერქვა.

ასეთ მნიგნობართაგან ერთ-ერთი ბოლო უნდა ყოფილიყო 1608 წელს მოღვაწე ის ბერი, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ხელნაწერზე (S-4730), თარიღების დასადგენად, 5 ადგილზე, ისეთი სათვალავადი კრიპტოგრაფიული მინანურები გაუკეთებია, რომ ერთი შეხედვით სრულ უაზრობად გამოიყურება. დიხს, მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან რამაზ პატარიძემ ამ კრიპტოგრაფიის პრინციპიც ამოხსნა და მის ქვეშ ნაგულისხმევი ზუსტი თარიღებიც, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ისტორიულად დადგენილ თარიღებთან, მათ შორის ქართული დამწერლობის საკითხთანაც.

ახლა, რამდენიმე სიტყვა თავად რამაზ პატარიძეზე და მის „საიდუმლოზე“. ეს „საიდუმლო“ იმდენად მარტივია, რომ ძნელი დასაჯერებელი და ძნელი წარმოსადგენია. უფალი ათასგვარი ნიჭით აჯილდოებს ადამიანებს, რამაზ პატარიძეს კი ქურუმთა ფსიქოლოგიაში წვდომის უნარიც დაანათლა. მათემატიკის, დედუქციისა და წარმოსახვის ნიჭი, ფონემის ჩინებული ვოკალური სმენა, ასო-ნიშნის გრაფიკული წარმოსახვის უნარი, ისტორიისა და ძველი ქართული სალიტერატურო ენის ცოდნა რამაზ პატარიძეს საშუალებას აძლევს, ჩასწვდეს

ქურუმთა ნააზრევს. ის არ არის ჩვეულებრივი პალეოგრაფი, ის ანბანთმცოდნეა და მთელი თავისი ცხოვრება სხვადასხვა ანბანის შესწავლას მოახმარა. ის „ძველი წიგნიერი კაცია“. ეს არის და ეს და თუ დღეს, ჩვენდაჭირად, მაინც ძნელია მისი კვლევების ყურის მიგდება და გათავისება, ამის მიზეზიც მარტივია — ჩვენ არ გვესმის ქურუმების.

დღეს რომ ივანე ჯავახიშვილი, ან პავლე ინგოროყვა ცოცხალი იყვნენ, საქმე სხვაგვარად იქნებოდა.

ახლა შემოგთავაზებთ რამაზ პატარიძის ერთ-ერთი ბოლო კვლევის შედეგს: დმანისის რაიონში, სოფლეთვის განთიადისა და თლუს მომიჯნავე ტერიტორიაზე, არქეოლოგ კახა კახიანის ხელმძღვანელობით აღმოჩენილ იქნა ოთხი ეკლესიის ნაშთი და ძველი სამარხები. მიაკვლიეს საინტერესო წარწერისა და სტელის ფრაგმენტებს, ხოლო ერთი დიდი სტელა თითქმის უვნებელი იპოვეს. კახა კახიანი განათხარ არქეოლოგიურ ფენას IV საუკუნის მიწურულითა და VI საუკუნით ათარიღებს, ხოლო ხელოვნებათმცოდნეთა ერთი ჯგუფი თავად სტელას V-VI საუკუნეებს განაკუთვნებს. ქრისტიანული სტელის უფრო ადრინდელი ეპოქით დათარიღება ხელოვნებათმცოდნეებს ლამის აკრძალული აქვთ, რადგან ასეთი სტელების შექმნის ბიზანტიური ეპოქაც V ს-ის წინარე არ მიდის (?!).

სტელაზე გამოსახულია ორი პიროვნება — სასულიერო და საერო, მაღალი რანგისაა. ქრისტიან სასულიერო მოღვაწეს ჯერ კიდევ ქურუმის ტანსაცმელი მოსავს, ხოლო საე-

რო პირს, როგორც მხედარს, — მოკლე და წინ ჩაჭრილი კაბა. ორთავე პირის სამოსის ქსოვილს, V საუკუნის „დავითის სტელისაგან“ განსხვავებით და „ლამაზ გორის“ სტელის მსგავსად, პროფილი არა აქვს, გლუვია. სასულიერო პირს მარჯვენა ხელით ჯვარი აქვს აღმართული, საერო პირს — შროშანი. აქვე არის ვერტიკალური ასომთავრული წარწერა „დღეა“, რომლის ბოლო ასო-ნიშანი ოდნავ დაცილებულია. ერთი შეხედვით, წარწერა უაზროა, მაგრამ ამას ასე არ ფიქრობს რამაზ პატარიძე. მან შეაღმართულ ჯვარში უწინარესად დაინახა ასონიშანი „ქ“ და ქრისტეს იდეოგრამა, ხოლო შეაღმართულ შროშანში, როგორც ეს მიღებულია, — განახლების სიმბოლო. ამ ორი ნიშნით რამაზ პატარიძემ მიიღო წინადადება „ქრისტე აღდგა“. ერთსიტყვიან ვერტიკალურ წარწერაში მან ამოიკითხა ორი სიტყვა „დღე“ და „ა“ ანუ „დღე პირველი“ (ა-ს რიცხვითი და რიგითი ნიშანი ხომ ერთი და პირველია). მაგრამ აქვე იმალება თარიღიც: ზევიდან პირველი ასო „დ“ მზის ნიშანია ქართულ ასომთავრულში, ხოლო „ა“ — მთვარის ნიშანი. ასო „ლ“-ის რიგითი ნომერია 25, ხოლო „ქ“-ის — 5. მაშასადამე, აქ წერია: „მზის კალენდრით 25 და მთვარის კალენდრით მე-5 წელი“. მათემატიკის მეცნიერების დოქტორის ნოდარ კანდელაკის დახმარებით, რამაზ პატარიძემ „აღმოაჩინა“, რომ ეს არის ჩვენი წელთაღრიცხვის 329 წელი და აი რატომ: 532 წლიან ქართულ მოქცევაში მზის კალენდრის 25-ე და მთვარის კალენდრის მე-5 წელი ერთმანეთს ემთხვევა ერთადერთხელ — 81-ე წელს. ჩვეულებრივი მკითხველისათვის რომ გასაგები გაეხადოთ, ვიტყვი: მე-11 მოქცევის 532-წლიანი ციკლი დამთავრდა ჩვ. წ-ის 248 წელს. ამის მერე დაიწყო მე-12 მოქცევა, რომლის 81-ე წელი ჩვ. წ-ის 329 წელია (248+81=329). ასე რომ, სტელაზე წერია: „ქრისტე აღდგა. 329 წელი, დღე პირველი (ანუ კვირა, აღდგომა დღე)“.

ამდენად, რამაზ პატარიძე გვეუბნება, რომ განთიადის სტელის წარწერა შესრულებულია 329 წლის აღდგომა დღეს, ქრისტიანობის შემოღებიდან 3 წლის შემდეგ. იგი ჯერჯერობით ყველაზე ძველია და წინ უსწრებს ბოლნისის სიონის 357 და 394 წლის წარწერებს.

გელა ქოქიაშვილი



დმანისის რ-ნი. სტელა „ქრისტე აღდგა“



დმანისის რაიონი. სოფელ განთიადის სტელა „ქრისტი აღდგა“

სამშვილდის „სიონი“

